

ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი

№3 (39), 2014, მარტი

ფასი 3 ლარი

ისტორიანი



აღმოჩენა
ფაქტების
დასაბუთი
დინასტია

საქართველოს
მეცნიერებათა
თვითმნიშვნელობის
თვალთ

**არსენა
მარაბდალი**

(ტომი I)

**მიხეილ ჯავახიშვილის
ისტორიული რომანი**

3 წიგნად

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ივანე
ჯავახიშვილი –
ისტორიკოსის
დაბადება

ჯავახი
თამაშები

ფიანტი
ეივლომასის
ჩანაწახები
– სიღმეო
წახილები
შაბილზე

1972 წლის
„ანდების
სასწახილი“

აღწახანსი
მანქმწახი და
ახითუი ფუი



სახიჩუვი

ახალი აგბუი
 ფარაონთა უცნობი ღინასტია 6

მოხა აგბუი
 ცხენის კუდის მოკვეთა – უღიდესი
 შუპრაცხყოფა შუა საუკუნეებში 8

აფსაჟური ენციკლოპედია – ქართულ-
 აფსაჟური პროექტი 10

კველ ბრიტანელებს რკის ნაწარმი
 კვვარკვითი 10

ბაოსათხოვნი
 აბასალომ ვეკუა 11

ჩახუილი მონაბუი
 ალექსანდრე მაკედონელი და ქართული
 ფული 12

ჩახუილი ჯინოზოქანეაბი
 ფილე „კავკასიის დავყოზის“
 100 წლისთავი 17

საჩახუილქოს საბყოთო რუაქასიის იხტოიილან
 საქართველოს რუკავაცი
 თვითხილქველის თვალით 22

ჩახუილქუი უსო ქვეყნაბის აჩიუბუი
 თვილისელი თავადი – დამსახურებული
 კარავკავალი 30

ბასნიქოთა ბიოზაფიილან
 ივანე ჯავახიშვილი 34

ღივლომაბის ჩანაჩუი
 ვერცობ დე მონტენეგლოს საიღუმელი
 ფირილქუი შავილქუი 42



66



68



75



83



64



105



56

სახიჩვი

საახითვალის ჩიხონელი რუხეუბი უნიკალური ნიქთეპი სტალინის მუხეუშვი 50	ახახსხოლევი 1972 ზლის „ანდეპის სასჯაული“ 83
ახახსიის ხალხი ერთი მეთნოსი ღა ორი ხალხი 56	ასოლეიოქი სნოიჩი სიხე-ღახეუბი პოტალა 90
ახალი აბევი ფუნდამენტური შენაქენი ქართული მეცნიერებისთვის 64	საოხის ისტოქია თხილამურები 98
იხილე შურნალი „პარიბჟ“ 10 ზლისაა 66	სოოქია ბიორგი შენგელანია: „ქველავერი გლეხებისგან მამჟს ნასჯავლი“ 105
ახეახითთაქი ალექსანდრე სუპოროვი 68	აღ-აღ საუხის ვიხნაღ-ბუბეთევი მხიარული აბევი „ივერიიდან“ 110
აქუაქი თაეაქი პიტლეპული კუტქი ბუღაკუშვი 75	„ისტოქიანი“ ბაჟევისთვის ცოდნის საყვარო 114
	სკანვორდი 122

შურნალ „ისტორიანის“ ქველი ნომრების შექენა შეეიქლიათ „ბიბლუსის“ მადანიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ხელახლოვის სვები

საქართველო გამოეთხოვა გამოჩენილ ქართველ პალეონტოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, აბესალომ ვეკუას.


Self-Made Man, ანუ ადამიანი, რომელმაც თავად „შექმნა“ საკუთარი ცხოვრება — ასე აფასებენ ქართველი მეცნიერები მსოფლიოში აღიარებულ პალეონტოლოგს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იცნობს, როგორც პირველი „ქართველი ევროპელების“ (ანუ ჰომინიდების), ზეზვასა და მზიას პირველადმოჩენს.

„1983 წელს დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების ორმოებში ნაპოვნი ძვლებში პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ მარტორქის კბილს მიაკვლია, რომელმაც სხვა ნამარხებთან ერთად მას საშუალება მისცა, განესაზღვრა დმანისის ქვედა შრეების გეოლოგიური ასაკი — ადრე პლეისტოცენი“. ეს ფრაზა ადამიანის პალეონტოლოგიის მრავალსახელმძღვანელოშია შესული. სწორედ ამ ფაქტმა დაუდო სათავე დმანისის აღმოჩენებს, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს და თავდაყირა დაყენეს მყარად დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების პირველი განსაზღვების შესახებ.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჟურნალ „ისტორიანის“ პირველივე ნომერში ვრცელი ადგილი დაუეთმეთ ნარკვევს ამ უდავოდ მსოფლიო დონის მეცნიერის შესახებ. შემდგომშიც არაერთგზის ყოფილა ბატონი აბესალომი ჟურნალის სასურველი სტუმარი.

„პალეონტოლოგიასა და გეოლოგიაში დავსაქმდი ისე, რომ მუდამ მაქვს მიზანი, რომლის მიღწევაში ძალიან ხშირად ბედიც მწყალობს. მიმაჩნია, რომ ჩემს ადგილას ვარ. ჩემი სურვილი და ნატვრა ჩემი ხალხის კეთილდღეობა და საქართველოს ერთიანობაა. პირადად მე კი თითქმის ყველაფერს მივაღწიე“, — გვითხრა პირველ ინტერვიუში ბატონმა აბესალომმა.

ჟურნალის მკითხველთა სახელით თანავუგრძნობთ ბატონი აბესალომის ახლობლებსა და მეგობრებს, ქართველ მეცნიერებს.



აბესალომის აბესალომ ვეკუა იყო Self-Made Man, ანუ ადამიანი, რომელმაც თავად „შექმნა“ საკუთარი ცხოვრება

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩაუა, ნიკოლოზ ხოფერიანი

კორექტორები:
**ნანა მაჭუარაძე
ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარედაქციო განყოფილება
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge**

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გაერთიანების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრაშემდის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge



ფარაონთა უცნობი დინასტია

ამერიკულმა ექსპედიციამ, რომელიც ეგვიპტის ქალაქ აბიდოსში მუშაობს, აღმოაჩინა და ნაწილობრივ შეისწავლა ორი ფარაონის განსასვენებელი, რომელთა გასწვრივ კიდევ რამდენიმე ათეული სამეფო სამარხია. ისინი აქამდე უცნობ დინასტიას მიეკუთვნებიან, რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ თეორიულად მსჯელობდნენ, ახლა კი ჰიპოთეზის მატერიალური მტკიცებულებები გამოჩნდა. თანაც, მეტად მყარი — 60-ტონიანი სარკოფაგი.

ფარაონ უოსერაბრ სენეკაის სამარხი



გაძარცველ სამარხში კედლის მხატვრობა და წარწერებიც ნახეს



ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პენსილვანიის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი ჯოზეფ ვერნეგი ხელმძღვანელობს, 2013 წლის ზაფხულში სამარხსა და მასში ვარდისფერი კვარციტის სარკოფაგს მიაკვლია. მალე გაირკვა, რომ უკანასკნელმა მფლობელმა ის რომელიმე სხვა მფლობელს „წართვა“. რამდენიმე კვირაში მეცნიერთა ჯგუფმა გაარკვია, რომ 60-ტონიანი სარკოფაგი იქვე მდებარე ფარაონის, საბეკჰოპეტ პირველის საფლავიდან იყო ამოღებული. მე-13 დინასტიის დამფუძნებლის უკანასკნელი განსასვენებელი, ჩანს, აბიდოსის დინასტიის ერთ-ერთი მმართველისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად გამოიყენეს. მისი სახელი ჯერ უცნობია.

2014 წლის იანვარში კი, ვარდისფერი კვარციტის სარკოფაგის შორიახლოს კიდევ ერთ სამეფო სამარხს მიაკვლიეს. ფარაონთა განსასვენებლების უმრავლესობის მსგავსად, ისიც საუკუნეების წინ გაუძარცვავთ. წაუღიათ ოქროს და სხვა ყველა ღირებული ნივთი. მძარცველთა იარაღთან ერთად აქ კედლის მხატვრობა და წარწერებიც ნახეს. მიაკვლიეს გარდაცვლილის ნეშტსაც, რომელიც 40-50 წლის მამაკაცს ეკუთვნოდა. წარწერაში იგი

მოისხენიება როგორც სენებკაი, რომლის სამეფო სახელიც უოსერიბრაა, რაც ითარგმნება როგორც რას ძე. მმარცველების „წყალობით“, მისი ძვლები სამარხში მიმოფანტული იყო, თუმცა ჩონჩხის მნიშვნელოვანი ნაწილი აღდგა. ნაპოვნია მისი დასაკრძალავი ნიღაბიც.

ექსპედიციის ხელმძღვანელი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ვერნეი 2014 წლის იანვარში აღმოჩენილი კვარციტის სარკოფაგისა და კიდევ ერთი სამეფო სამარხის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ეს ფარაონები აბიდოსის დაკარგულ დინასტიას განეკუთვნებოდნენ, რომლის არსებობას აქამდე მხოლოდ ვარაუდობდნენ. მასზე მინიშნება ტურინის პაპირუსის ერთ-ერთ მონაკვეთშიც არის, რომელიც მეორე ე.წ. გარდამავალ პერიოდს ენება. ძლიერი დაზიანების მიუხედავად, რამდენჯერმე გვხვდება ტიტულის აღმნიშვნელი სიტყვის ფრაგმენტები, რომელიც იკითხება, როგორც „უოსერ...რა“. ვერნეის აზრით, სამეფო სახელის აღმნიშვნელი ეს ფრაგმენტები, დიდი ალბათობით, აბიდოსის დინასტიის ფარაონებს ეკუთვნით.

ტურინის პაპირუსი, რომელიც ძვ.წ. XIII საუკუნეში, რამზეს II-ის დროსაა შედგენილი, 1820 წელს იპოვეს. ის ერთ-ერთია იმ მნიშვნელოვან არტეფაქტებს შორის, რომელიც ეგვიპტის მმართველთა სიას შეიცავს და მათი ზეობის წლებია მითითებული. დაზიანებების მიუხედავად, პაპირუსი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. ის ამჟამად ტურინში ინახება და სახელწოდება — ტურინის პაპირუსი სწორედ ამიტომ მიიღო.

ჯოზეფ ვერნეისა და მისი კოლეგების გათვლებით, აბიდოსის სამხრეთში მეფეთა კიდევ 16 სამარხია, რომელიც ძვ.წ. 1650-1600 წლებით თარიღდება.

ქალაქი აბიდოსი თანამედროვე ეგვიპტის ცენტრში მდებარეობს. ფარაონების ეპოქაში ის ზემო, ანუ სამხრეთი ეგვიპტის დიდი დასახლებული პუნქტი იყო. სწორედ მის მიდამოებში მდებარეობს დინასტიებადგელი პერიოდის მმართველების სამარხები, პირველი დინასტიის მეფეების ნეკროპოლისი და მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, მათ შორის სეთ I-ის მონასტერი.

პენსილვანიის უნივერსიტეტის ექსპედიცია ქალაქში უკვე ნახევარ საუკუნეზე



მეცნიერები ფარაონ სენებკაის ჩონჩხთან



საბეკოპეტ პირველის ვარდისფერი კვარციტის სარკოფაგი 60 ტონას იწონის

მეტია მუშაობს. უკანასკნელ 20 წელიწადს მეცნიერები XX დინასტიის ნეკროპოლისს სწავლობდნენ. სწორედ ამ დინასტიის მმართველობასთან ერთად დასრულდა ეგვიპტის შუა სამეფოს „ოქროს ხანა“ და დაიწყო ომებისა და დაყოფის ხანგრძლივი ეპოქა.

მომზადებულია CNN-ის მიხედვით



წმინდა თომას ბეკეტის
შეურაცხყოფა. წმინდა თომასის
ტაძრის საკურთხეველის
მონატულობა, დაცულია
ჰამბურგის მუზეუმში. ავტორი
ფრანკე, 1424 წ.

სხენის ხელის მოხვეთა – ელიქის შუახასხყოფა შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეების ისტორიაში ნაკლებად შეხედვებით ცნობებს ცხენის კუდის მოკვეთის შესახებ, მაგრამ მაშინ ეს შეურაცხყოფის მიყენებისა და დამცირების ერთ-ერთი ხერხი ყოფილა. რაინდებისა და სასულიერო პირების მიერ ცხენის დასახინრების უამრავი მაგალითი მოკვავს ენდრიუ მილერს წიგნში: „სიმამაცის კუდი: რაინდები, ეკლესიის მსახურები და ცხენების დასახინრება შუა საუკუნეების ინგლისში“.

ერთ-ერთი უდიდესი კათოლიკური უნივერსიტეტის ლექტორი აღნიშნავს, რომ ეს ერთგვარი რიტუალი და სიმბოლური აქტი იყო — მეტოქის სიმამაცეზე ცხენის კუდით „შეტევა“ ფალიურ სიმბოლოს წარმოადგენდა.

მილერის ნაშრომი ნორმანების დაპყრობების შემდგომ ინგლისზე კონცენტრირებული. თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ ამ რიტუალს დანარჩენ ევროპასა და არაბულ ახლო აღმოსავლეთშიც იყენებდნენ.

შუა საუკუნეებში ცხენი ცხოველთა შორის საუკეთესოდ მიიჩნეოდა, როგორც მოხდენი-

ლი, ერთგული და მზრუნველი. ამასთან, იგი მფლობელის სტატუსსაც უსვამდა ხაზს.

ნორმანები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორ გამოიყურებოდა მათი ცხენი. „როგორც საკუთარი დიდებულების სიმბოლო, ცხოველის სიჯანსაღე და გარეგნული იერსახე პირველხარისხოვანი იყო. ლამაზი ცხენისთვის კომპლიმენტებს მხედარი იღებდა. შუა საუკუნეების ადამიანები ამჯობინებდნენ ცხენს გრძელი კუდი და ფაფარი ჰქონოდა, რადგან ეს აღიქმებოდა, როგორც სილამაზე“, — წერს მილერი.

ნორმანები მტრის ცხენისთვის კუდის მოჭრას მისთვის ისეთივე სასჯელად მიიჩნევდნენ, როგორც კასტრაციას ან თვალების დათხრას.

წიგნის ავტორი სწორედ ამას გულსიხმობდა, როცა წერდა პატრონზე შურისძიების მიზნით უენო ცხოველების დასჯაზე.

ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია 1170 წელს შობის დღესასწაულზე მომხდარი შემთხვევა, როდესაც რობერტ დე ბროკი და მისი ხალხი თავს დაესხა თომას ბეკეტის სახლს. ეს უკანასკნელი კენტერბერის არქიეპისკოპო-

სი იყო. თავდამსხმელებმა არქიეპოსკოპოსის ცხენს კუდი მოჰკვეთეს. როდესაც ბეკეტს ცხენი მიუყვანეს, მას შემდეგი სიტყვები აღმოხდა: „ფაშატს, რომელიც მემსახურებოდა, ჩემდამი უპატოვცემულობის ნიშნად კუდი მოჰკვეთეს — თითქოს მე უნდა შემრცხვეს პირუტყვის დასახინჩრების გამო“. არქიეპოსკოპოსმა რობერტი ეკლესიიდან განკვეთა. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში, 29 დეკემბერს, რობერტ დე ბროკი ჰენრი მეორის სასამართლოდან წამოსულ ოთხ რაინდთან ერთად კენტერბერში ჩავიდა. არქიეპოსკოპოსი მათ ტაძარში მოკლეს.

სასულიერო და საეკლესიო პირები ხშირად ხდებოდნენ ამგვარ თავდასხმათა სამიზნე. 1357 წელს ლინკოლნის ეპისკოპოსმა მაცნე გაუგზავნა პოსტიტალიერთა ორდენის რაინდ ჯონ დე პაველის და ეპისკოპოსთან წარდგომა სთხოვა. უკმაყოფილო რაინდმა მაცნე ჯერ წყალში ჩააგდო ისე, რომ სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. შემდეგ ასეთ მდგომარეობაში მყოფი დააფიცა, რომ არსად უჩივლებდა, მათ შორის არც მეფის სასამართლოში. ეპისკოპო-

სის წარგზავნილს ესეც არ აკმარეს, წყლიდან ამოსულს თავს დაესხნენ, დაჭრეს, მის ცხენს კუდი და ყურები დააჭრეს. ამის შემდეგ ქალაქში ბაზრობაზე ჩაატარეს და ადამიანები ყვირილით მიააცილებდნენ.

კუდის გარდა, ცხენებს ყურსა და ტუჩებსაც აჭრიდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ბოროტმოქმედები ტყვეს აიძულებდნენ, ცხენის დუნდულები დაეკონცა, ან ცხენის კუდზე გამოაბამდნენ და ათრევდნენ. 1313 წელს, ქალაქის მოსახლეობის ნაწილი თავს დაესხა კენტერბერის არქიეპოსკოპოსის სახლს, ტაძრის წინამძღვარი რიჩარდ კრისტიენი ცხენზე უკულმა შესვეს, პირუტყვის კუდის ხელში დაჭურა და ასე სიარული აიძულეს. წინამძღვარს მთელი ქალაქი სიმღერისა და ცეკვის ფონზე შემოატარეს. ქალაქის იძულებითი შემოვლის შემდეგ, ცხენს კუდი, ყურები და ტუჩები დააჭრეს, ხოლო თვით ტაძრის წინამძღვარი ყველაზე ბინძურ ადგილას მიაგდეს.

მოშადებულია medievalists.net-ის მიხედვით

ცხენის გამოსახულება — ბაიეს გობელენი



ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..



დარეკეთ: 219 60 13



მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

აფხაზური ენციკლოპედია ქართულ-აფხაზური ჰიოქსი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისიამ და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა ერთობლივი პროგრამით მრავალმხრივი სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებები დაგეგმეს. თემატიკით დაინტერესებულმა მეცნიერებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან: ლეილა ავიბა, ნინო ბერძენიშვილი, თეიმურაზ გვანცელაძე, ვაჟა იმნაიშვილი, გურა კვარაცხელია, ესმა კოკოსკერია, ივანე ლეჟავა, გურამ ქუთელია, ზურაბ შენგელია, ასმათ შერვაშიძე, ნინო ჩიქოვანი და რუსუდან ჯანაშია. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად ზურაბ შენგელია, ხოლო

პასუხისმგებელ მდივნად ნინო ბერძენიშვილი აირჩიეს.

ზურაბ შენგელია: პროგრამაში მონაწილეობის სურვილი აფხაზურმა მხარემაც გამოთქვა. საბედნიეროდ, სოხუმში აფხაზ კოლეგებთან შეხვედრა შეეძლო. მათთან პირველივე შეხვედრისას მიღწეულია ორივე მხარისთვის ხელსაყრელი შეთანხმებები შემდგომი მუშაობის პრინციპებისა და ზოგადად, კონცეპტუალურ საკითხებზე.

იმედი ვიქონიოთ, რომ სულ მალე ქართველი და აფხაზი საზოგადოება მიიღებს ქართველი და აფხაზი მეცნიერების ერთობლივ ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელსაც „აფხაზუთის ენციკლოპედია“ ერქმევა.

ლალი პაპასკირი

ძველ ბრითანელებს ხმის ნაწიხი ჰყვარებოდა...

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადამიანთა ძვლების ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ძველი ბრიტანელები ნანადირევსა და ზღვის პროდუქტებს რძის ნაწარმს არჩევდნენ.

ძვ.წ. 4600 წელს ბრიტანელები სამონადირეო მეურნეობას მისდევდნენ და ირემს, გარეულ ღორს, ასევე ზღვის პროდუქტებს მიირთმევდნენ. თუმცა ბრისტოლისა და კარდიფის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კუნძულებზე ცხოველთა მოშინაურება უკვე 6000 წლის წინ დაიწყო. მათი მოშინაურებიდან მალევე კი, ბრიტანელებმა ნადირობას და თევზაობას უკლეს. თევზეულმა მათ მენიუში პოზიციები მხოლოდ ვიკინგების მოსვლის შემდეგ დაიბრუნა.

ამ დასკვნამდე მეცნიერები ძვლების მილიონამდე ფრაგმენტისა და ფერმერთა ათასამდე ქოთნის გამოკვლევის შემდეგ მივიდნენ. ადრეული პერიოდის ფერმერთა ქოთნების ანალიზისას გაირკვა, რომ ზღვის პროდუქტებისა და თევზის საკვებად მოხმარება უკვე იმ დროს შემცირებული იყო.

„ჩვენ გვიყვარს თავის მოწონება, რომ თევზისა და ზღვის პროდუქტების მოყვარული ვართ და ეს ჩვენი ნაციონალური საკვ-



ჭურჭლის ფრაგმენტი, საიდანაც ძველი ბრიტანელები რძის პროდუქტებს შეეძებოდნენ

ბია. თუმცა ირკვევა, რომ ძველი ბრიტანელი ფერმერები ძროხის, ცხვრის ხორცსა და რძის პროდუქტებს ანიჭებდნენ უპირატესობას“, — ამბობს კარდიფის უნივერსიტეტის მკვლევარი ჯეკ მულვაილი.

ბრისტოლის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ლექტორი, დოქტორი ლუსი კრამპი ამბობს: „კვლევებმა მოგვცა მკაფიო სურათი, რომ ნეოლითის პერიოდის ფერმერთა რაციონში ზღვის პროდუქტები მეტად მცირე იყო. უჩვეულოა, მაგრამ ქვაბებში ზღვის პროდუქტები მხოლოდ ვიკინგების მოსვლის შემდეგ გამოჩნდა და ჩვენი რაციონის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა“.

მოშადაებულია theaustralian.com-ის მიხედვით

აბესალომ ვეკუა – Self-Made Man

ანუ ადამიანი, რომელიც თავად „შექმნა“ სახეთაში სმოვიჩება

ძალიან მიჭირს აბესალომ ვეკუაზე წარსულში წერა. ბოლო 20 წელიწადზე მეტია, ჩემი ცხოვრება გადაჯაჭვული იყო ამ ადამიანთან. პიროვნებასთან, რომელიც ადამიანური და პროფესიული ერთგულების მაგალითი გახლდათ. ხშირად ამბობენ, რომ ასაკი ფარდობითი ცნებაა, აბესალომ ვეკუას შემთხვევაში ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს. 88 წლისა, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი საყვარელი საქმის სამსახურს ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობდა.

განუზომელია აბესალომ ვეკუას წვლილი ქართული პალეონტოლოგიის განვითარებაში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია აშშ-ის, ინგლისის, ესპანეთის, რუსეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერულ გამოცემებში, მათ შორის მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში Nature-სა და Science-ში. მან აღმოაჩინა და შეისწავლა მეცნიერებისთვის მანამდე უცნობ ცხოველთა სახეები.

განსაკუთრებულია მისი წვლილი დმანისის ფაუნისა და ჰომინიდების შესწავლის საქმეში. „1983 წელს დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების ორმოებში ნაპოვნ ძელებში პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ მარტორქის კბილს მიაკვლია, რომელმაც სხვა ნამარხებთან ერთად მას საშუალება მისცა განესაზღვრა დმანისის ქვედა შრეების გეოლოგიური ასაკი – ადრე პლეისტოცენი“. ეს ფრაზა ადამიანის პალეონტოლოგიის მრავალსახელმძღვანელოშია შესული. სწორედ ამ ფაქტმა დაუდო სათავე დმანისის აღმოჩენებს, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა და თავდაყირა დააყენა მყარად დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების პირველი განსახლების შესახებ.

დღეს ხშირად ვიყენებთ ინგლისურ გამოთქმას – Self-Made Man, ანუ ადამიანი, რომელმაც თავად „შექმნა“ საკუთარი ცხოვრება. აბესალომ ვეკუა სრულად შეესაბამება ამ დახასიათებას.

სამაჟულო ომის მონაწილემ, გვიან დაიწყო სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ ძალიან სწრაფად აანაზღაურა გაცდენილი წლები.



სტუდენტობის პერიოდში სახელგანთქმულ მეცნიერთან, ბატონ ლეო გაბუნიასთან შეხვედრამ განსაზღვრა მისი მომავალი.

თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ საშუალება მქონდა, მონაწილეობა მიმეღო მათთან ერთად კვლევაში ჰომინიდების ახალი სახეობის — ჰომოგეორგიკუსის გამოყოფისას. ბატონი ლეო, ისევე როგორც ბევრი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი პალეონტოლოგი, აღიარებდა ბატონი აბესალომის გასაოცრად მახვილ თვალსა და ანატომიის საუცხოო ცოდნას. გადაშენებულ ცხოველთა მრავალი ახალი სახეობა გამოყოფილია სწორედ ბატონი აბესალომის მიერ. მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი გათხრები.

მისი გასაოცარი ორგანიზებულობა და საქმისადმი ერთგულება ყოველთვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდა მკვლევართათვის. ვისურვებდი, რომ ქართულ მეცნიერებას ჰყავდეს ისეთი ერთგული მსახურნი, როგორიც იყო ბატონი აბესალომ ვეკუა.

დავით ლორთქიფანიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი

ალექსანდრე მაკედონელი

და ქართული ფული



ალექსანდრე. ისოსის პროპოლის ამსახველი მოზაიკის ფრაგმენტი (დაახლ. ძვ.წ. 200 წ.)

არსებობენ ადამიანები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში ეპოქებს ქმნიან და ცხოვრებას ცვლიან მთელ მსოფლიოს მასშტაბით. ალექსანდრე მაკედონელი ასეთ ადამიანებს შორისაც კი გამოირჩევა. ისტორიაში პირველად სწორედ მას მიენიჭა სახელი — „დიდი“.

ალექსანდრემ (ძვ.წ. 336-323) თავისი ინტელექტითა და მოღვაწეობით საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ცივილიზაციის ხანგრძლივ, ურთულეს და უმშვენიერეს ეპოქას, რომელიც ისტორიაში ელინიზმის (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული — ძვ.წ. I ს-ის დასასრული) სახელით არის ცნობილი.

ალექსანდრემ, ისევე როგორც ანტიკური სახელმწიფოების ცხოვრების ყველა სფეროში, გადატრიალება სამონეტო საქმის ისტორიაშიც მოახდინა. აქემენიდური სპარსეთის დაპყრობის შემდეგ, მისი ფულადი სისტემა იმდროინდელ მსოფლიოში გაბატონდა. ალექსანდრეს ფულმა ბაზრიდან ყველა ადგილობრივი მონეტა განდევნა. იგი იქცა ფულის საერთაშორისო ერთეულად. მეტიც, ალექსანდრე მაკედონელმა ისტორიაში პირველმა

გაბედა და თავის მოჭრილ მონეტაზე დატანილი ჰერაკლე საკუთარი სახის ნაკვეთებით გამოსახა. ეს რეველუციური ფაქტია, რადგან მანამდე ფულებზე მხოლოდ ღვთაებებსა და გერბებს გამოსახავდნენ. ამით ალექსანდრემ თავი ღმერთებს გაუტოლა.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, მისი მხედართმთავრებიდან (დიადოხოსები) ერთ-ერთმა გამორჩეულმა, თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქემ (ძვ.წ. 306-282)



ალექსანდრე მაკედონელის სტატერი

ეს ოქროს მონეტა, ალექსანდრეს სახელით, ძვ.წ. IV საუკუნეში მოიჭრა; მისი საშუალო წონა 8,6 გრამია. მონეტის შუბლზე გამოსახულია მუზარადიანი ათენას პროფილი, ზურგზე — ფრთოსანი ქალღმერთი ნიკე და ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ ან ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ („ალექსანდრესი“ ან „ალექსანდრე მეფისა“).

ალექსანდრეს გამოსახულებით მოჭრა მონეტები, რომლებიც ასევე ფართოდ გავრცელდა იმდროინდელ სამყაროში. ალექსანდრესა და ლისიმაქეს მონეტები ძველ მსოფლიოში იმდენად პოპულარული იყო, რომ ამ მონარქების გარდაცვალების შემდეგაც, მათივე სახელით, კიდევ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში იჭრებოდა ორივე სამონეტო ტიპი — სხვადასხვა ქვეყნებში თუ ქალაქებში, სხვადასხვა მმართველების მიერ.

ალექსანდრეს შექმნილ ეპოქაში განვითარებული პროცესებიდან ძველი საქართველო განზე ვერ დარჩებოდა. კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაც სწორედ ალექსანდრეს სტატერების მასობრივ შემოსვლას უკავშირდება. როგორც ჩანს, კოლხურმა ვერცხლის ფულმა ვერ გაუძლო ბაზარზე სრულფასოვანი ოქროს მონეტების ექსპანსიას. მეტიც, მოგვიანებით, ძველი კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად სწორედ ალექსანდრესა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს უკავშირდება და მათ იმიტაციას წარმოადგენს.

ლისიმაქეს მონეტის ზუსტი ასლია აკის სტატერი, რომელიც სულ ორი ცალია აღმოჩენილი. მონეტა თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვისებებით პროტოტიპს არაფრით ჩამოუვარდება.

აკის მონეტების აღმოჩენების ტოპოგრაფია მათ ადგილობრივ, კოლხურ წარმოშობას ამტკიცებს — ისინი ნაპოვნია ქალაქ ტრაპეზუნტში (1865 წ.), რომელიც ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა და ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე, ზონის რაიონის სოფელ კინჩხაში (1946 წ.).

მონეტის რევერსზე დატანილი მეფის სახელი — ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ — ნათესაობით ბრუნვაშია ჩასმული და ქართულად ითარგმნება, როგორც მეფე აკესისა/აკასი, ან აკოსისა (სახელობით ბრუნვაში იქნება აკა, აკესი ან აკოსი). სხვა წყაროებში ასეთი სახელის მქონე კოლხეთის მეფე არ დასტურდება. პროფესორმა დავით კაპანაძემ მეფის სახელი აკესი/აკოსი „გააქართულა“ და გადმოიტანა, როგორც აკი. ეს უკანასკნელი კი ქართულ ონომასტიკონში გავრცელებული სახელია. სხვა ვერსიით, „აკუ“ იყო „ლისიმ-ახუ-ს“ დამახინჯებული ფორმა („ს“ შეცვლილია „კ“-თი). ეს მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — მონეტა იმდენად მაღალმხატვრულ დონეზეა მოჭრილი, რომ შეუძლებელია, ხელოსანს ასოთა ასეთი აღრევა დაეშვა.

კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად კი „აკუ“ შეიძლება იყოს ძვ.წ. II საუკუნის ბერძენი მწერლის, პოლიბიოსის მიერ მოხსენებული მეფე „აკუ-სილოზის“ შემოკლებული





ლისიმაქე (თრაკია-მაკედონის მეფე, ძვ.წ. 306-282)

ფორმა. მართალია, ხსენებული ავტორი არ აზუსტებს, რომელი ქვეყნის მეფეა აკუსილოზი, მაგრამ იგი ისეთ გეოგრაფიულ ნომენკლატურაშია მოხსენიებული, რომ კოლხეთი სრულებითაც არ არის გამორიცხული. პოლიბიოსის ცნობით, ეს მეფე ძვ.წ. II საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწეობდა, რაც მონეტის ემისიის თარიღს ემთხვევა (ძვ.წ. 195 წლის შემდგომი პერიოდი). მაშინ აკუსილოზის მეფობა და მონეტის მოჭრის სინქრონულობა არაერთარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა ამ მოსაზრებას ის ფაქტი ეწინააღმდეგება, რომ ელინისტური ხანის მონეტებზე მეფის სახელის არასრულად განთავსებას მხოლოდ მონეტის სიმცირე განაპირობებდა. ხოლო აკის სტატერზე მეფის სახელის შემოკლება არაერთარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან მონეტაზე თავისუფლად მოთავსდებოდა აკუსილოზის სრული სახელი.

აკის მონეტის შესახებ განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, აღმოჩენის ტოპოგრაფიის მიხედვით, იგი კოლხურ სამყაროს უკავშირდება. თუ მომავალი აღმოჩენები ამ ფაქტს ეჭვმიუტანლად დაადასტურებს, მაშინ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არგუმენტი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II საუკუნის 80-70-იან წლებში

სამეფოს არსებობისა, ვინაიდან მონეტაზე გამოსული პირი მეფის ტიტულითაა მოხსენიებული.

აკის სტატერი



აღწერა: ბაჯადლო ოქრო. წონა — 8,45 გრამი

დiameter: 17/18 მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება.

ზურგი: მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამითაა, რომლის ორსავე მხარეს პატარა დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან არის ბერძნული ზედწერილი — ΒΑΣΙΛΕΩΣ, ხოლო წინ — ΑΚΟΥ.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: სტატერი (8,45 გ).

თარიღი: ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისი (80-იანი წლები).

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 1 ცალი (ხონის რაიონის სოფელ კინჩხაში აღმოჩენილი ეგზემპლარი); პარიზი, მედლების კაბინეტი — 1 ცალი (ტრაპეზუნტში აღმოჩენილი ეგზემპლარი).

აკის სტატერს მოსდევს ადგილობრივად მოჭრილი ოქროს მინაბამთა მთელი სერია. ეს არის ალექსანდრესა და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები.



**ლისიმაქეს ტიპის სტატერაჰის
ქართული მინაბაჰები**



ალწმირა: ოქრო.

რემედიუმი: 1,1-7,9 გრამი

დიამეტრი: 18-24 მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული არანატურალისტური თავის გამოსახულება. თმის სოლარული ვარცხნილობა ბევრ ეგზემპლარზე შემაკვლია ჩიტების გამოსახულებით.

ზურგი: მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენას სქემატური გამოსახულება, რომელსაც ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს. ქვემოთ — სამითია.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: ოქრო. 1,1-7,9 გრამი

თარიღი: ძვ.წ. II საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდი — ძვ.წ. I საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

ისოსის ბრძოლა. გამოსახულია სარკოფაგზე (ძვ.წ. 311), რომელსაც ხშირად უწოდებენ ალექსანდრე მაკედონელის სარკოფაგს. თუმცა ის მაკედონელისთვის არ დაუმზადებიათ, არამედ ერთ-ერთი მისი თანამებრძოლისთვის, რომელიც ალექსანდრემ მეფედ აქცია



**ალექსანდრეს ტიპის
სტატერაჰის ქართული
მინაბაჰები**



ალწმირა: ოქრო.

რემედიუმი: 1,6-3,7 გრამი

დიამეტრი: 13-18/19 მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული არანატურალისტური თავის გამოსახულება.

ზურგი: ხარისთავიანი ან ვერძისთავიანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: ოქრო. 1,6-3,7 გრამი

თარიღი: ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

შემოადწერილი მონეტები სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან არის ცნობილი. მათ ქართულ წარმომავლობას აღმოჩენათა ტოპოგრაფია და სტილისტურ-ფაქტურული მონაცემები ამტკიცებს. დღეს უკვე საბოლოოდ დადასტურებულია მათი წარმოშობის ქართული ხასიათი, მაგრამ ამ მონეტებთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა კვლავაც დაუზუსტებელია. მაგ-



აკის სტატერი, აგრეთვე ლისიმაქესა და ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

ალითად, სრულიად გაუგებარია, ვინ ჭრიდა მათ — სახელმწიფო ხელისუფლება თუ სხვა რომელიმე ორგანო, ან კერძო პირი, ვისი კომპეტენცია იყო მათი ემისია და სხვ.

ალექსანდრესა და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძებიდან ყველაზე ადრეულია ზუგდიდის რაიონის სოფელ რეყეში 1920 წელს აღმოჩენილი ცალი, რომელიც ქალაქ ბიზანტიონში ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს ბაძავს, ან თვით აკის მონეტას. მონეტა სავარაუდოდ ძვ.წ. II საუკუნის 60-50-იანი წლებშია მოჭრილი და ძალიან ახლოს დგას ორიგინალთან, შესაძლოა აკის სტატერთანაც. მისი მოჭრის სავარაუდო თარიღი ძვ.წ. II საუკუნის 60-50-იანი წლებია. მონეტა 7,78-გრამიანი მაღალი სინჯის ოქროა.

დროთა განმავლობაში ალექსანდრესა და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძების გამოსახულებანი თანდათან გაუხეშდა (განსაკუთრებით ალექსანდრეს მინაბაძებისა), სქემებად იქცა და ძალიან დასცილდა ორიგინალებს. გარდა ამისა, გაუარესდა მონეტების სინჯი და შემცირდა წონაც.

კითხვზე — აქვს თუ არა მინაბაძებს ფულის ფუნქცია, მეცნიერთა საერთო პასუხი დადებითია. ამას მიუთითებს ცალკეული ცალკების შედარებითი სრულყოფილება, მაღა-

ლი წონა და სინჯი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმიტაციები განძებში აღმოჩენილია სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონიერ მონეტებთან ერთად. ასე რომ, მინაბაძების ეკონომიკური ბუნება დავას არ უნდა იწვევდეს.

სამეცნიერო წრეებში ამ ე.წ. „ბარბაროსული“ მინაბაძების წარმოშობასთან დაკავშირებით არავითარი უთანხმოება არ არსებობს. აღიარებულია, რომ როცა ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე იკლებს ფართოდ გავრცელებული და პოპულარული მონეტების შემოსვლა, „ვაკუუმის“ შევსება ადგილობრივი მინაბაძებით ხდება. სხვა საკითხია, ვინ ახდენს მათ ემისიას — სახელმწიფო ხელისუფლება თუ კერძო პირები, რომლებიც არაეკვივალენტური სუროგატებით ამარაგებენ ბაზარს. ამის პასუხი დღეს არ არსებობს. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ალექსანდრესა და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები კოლხეთში იჭრებოდა. ამ ფულების ემიტენტი დასავლეთ საქართველოში უნდა ვივარაუდოთ, რადგან ძვ.წ. II საუკუნიდან კოლხეთში ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ამას კი ინფლაციური ფულის გამოყენება დასჭირდებოდა. იმ დროის იბერიაში ასეთი საჭიროება არ იდგა, შესაბამისად, მონეტები კოლხეთში უნდა მოეჭრათ. ალექსანდრესა და ლისიმაქეს ქართულ მინაბაძებს სავარაუდოდ, კოლხი სკვპტუხები ჭრიდნენ. ფულები ვრცელდებოდა როგორც კოლხეთში, ასევე იბერიაშიც.

როგორც დავინახეთ, კოლხური თეთრის მიმოქცევიდან გამოსვლის შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ ალექსანდრე მაკედონელის მოჭრილმა ფულმა მსოფლიო ბაზარი დაიკავა, ძველი საქართველოს ტერიტორიაზე — კოლხეთსა და იბერიაში, ალექსანდრესა და მისი სარდლის მონეტების მინაბაძების სახით მაინც იჭრებოდა ფული, რომელიც ადგილობრივი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

„ქართული ნუმიზმატიკის კატალოგის“ (ნაწ. I. ავტორები: თედო ღუნდუა, გიორგი ღუნდუა; შემდგენლები ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნათია ფიფია, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი. თბ., 2013) და „ქართული ნუმიზმატიკის“ (ნაწ. I. ავტორები: გიორგი ღუნდუა, თედო ღუნდუა; თბ., 2006) მიხედვით მოამზადა ალექსანდრე ბოშიშვილმა

ფილმ „კავკასიის დაპყრობის“ 100 წლისთავი

რუსული საიუბილეო ფილმი ქართულ ბაზაზე 1913 წელს გადაიღეს

რუსეთში რომანოვების დინასტიის 300 წლისთავთან დაკავშირებით XX საუკუნის ათიან წლებში, სხვა საიუბილეო ღონისძიებებთან ერთად, მხატვრული ფილმების გადაღებაც დაიგეგმა. ერთ-ერთ კინოსურათში რუსეთის სამხედრო ძლიერება და კავკასიის დაპყრობა უნდა ასახულიყო. უნდა შექმნილიყო ფილმი 1817-1864 წლების ომზე, რომელშიც რუსეთი კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ იბრძოდა და საბოლოოდ, კავკასია შეიერთა.



ვალერიან გვინია

1909 წელს პირველმა ქართველმა კინოსცენარისტმა და კავკასიის ისტორიის უბადლო მცოდნე სიმონ ესაძემ გამოაქვეყნა ისტორიული ნარკვევი: „ღუნიბის აღება და შამილის დატყვევება. კავკასიელ მთიელთა ომი ჩეჩნეთსა და დაღესტანში“. რუსეთის კინოფირმა „დრანკოვი და ტალდიკინმა“ ამ წიგნში ფილმისთვის შესაფერისი მასალა

დაინახა და სცენარის დაწერაც სიმონ კილაძეს დაავალა.

„კავკასიის დაპყრობა“ (ზოგან მოიხსენიება, როგორც „კავკასიის დამორჩილება“) არსებითად რუსული წარმოების ფილმია, თუმცა სიმონ ესაძე იყო არა მხოლოდ ფილმის სცენარისტი, არამედ თანარეჟისორიც. 1913 წლის 8 ივნისის კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის უფროსის საგანგებო ბრძანებაში მითითებულია, რომ სიმონ ესაძის ჯგუფს უფლება ეძლევა, გამოიყენოს კავკასიის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში დაცული პორტრეტები და ნივთები; შეარჩიოს და გადაიღოს კავკასიის სახელოვანი ჯარების საგმირო საქმეებით ცნობილი ადგილები. ამდენად, ესაძე დაინიშნა გადაძლევი ჯგუფის ხელმძღვანელად, მოსამზადებელი პერიოდისთვის მას სოლიდური თანხა გამოეყო და უხელმძღვანელო კიდევ კინოგადაღებებს.



სიმონ (სპირიდონ) ესაძე

კინოფირმა „დრანკოვი და ტალდიკინმა“ თავდაპირველად ფილმის გადაღება იმ დროისთვის ერთ-ერთ გამოჩენილ რეჟისორს, ალექსანდრ ივანოვ-გაის დაავალეს, მაგრამ შემდგომ გადაწყვეტილება შეუცვლიათ და მიუწვევიათ მიუნხენის თეატრის ცნობილი რეჟისორის, მაქს რეინჰარდტის მოწაფე ლუდვიგ ჩერნი. გერმანელი რეჟისორი ცუდად იცნობდა კავკასიის ხალხთა ცხოვრებას

და არც რომელიმე უცხო ენა იცოდა. გაზეთ „კავკასის“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ რეჟისორი ჩერნი ხან გერმანულად, ხან მთარგმნელის დახმარებით, ხანაც დამტკრეულ რუსულ ენაზე გასცემდა განკარგულებებს გადასაღებ მოედანზე.

1913 წლის „ტიფლისკი ლისტოკში“ აღწერილია ესაძის, როგორც რეჟისორის მუშაობა ფილმის გადაღებისას. ამავე მასალაში სიმონ ესაძე ჩერნისთან ერთად მოხსენიებულია, როგორც რეჟისორი. ჟურნალ „ნოვოსტი სეზონასა“ და სხვა პერიოდული ორგანოების ფუცღლებზეც აღნიშნულია, რომ გადაღებებს ხელმძღვანელობდა სიმონ ესაძე და ფილმის თანარეჟისორი იყო. რუსული ფილმების ინტერნეტბაზაშიც რეჟისორად ჩერნი და ესაძე არიან მოხსენიებული.

სიმონ ესაძემ ფილმის სცენარი თავისი წიგნის მიხედვით ააგო. მას ფილმთან დაკავშირებით ბროშურაც კი გამოუცია. ესაძემ კარგად გამოიყენა საკუთარი ცოდნა მთიელთა ცხოვრების შესახებ. მისი სცენარი იწყებოდა რუსეთის ჯარების შემოსვლით საქართველოში, აღწერილი იყო მწერალ მიხაილ ლერმონტოვის მონაწილეობა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ ზაქარია ჭავჭავაძის (ამ უკანასკნელის როლს განასახიერებდა მისი ვაჟი როტმისტრი დავით ჭავჭავაძე) საქმიანობა და სხვა ეპიზოდები. სცენარი მთავრდებოდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლითა და შამილის დატყვევებით. სიმონ ესაძეს შესწავლილი ჰქონდა ლუნების შტურმით აღების ყველა დეტალი და შამილის დატყვევების ისტორია. ესაძე 1902-1903 წლებში ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატისთვის“ დოკუმენტურ მასალებს უგზავნიდა, რომლის დაწერას რუსმა მწერალმა რვა წელიწადი მოანდომა. ესაძემ ტოლსტოის სულ 151 ისტორიული დოკუმენტის ასლი გაუგზავნა. გარდა იმისა, რომ დოკუმენტურად დამუშავებული ჰქონდა კავკასიის ისტორია და კონკრეტულად შამილის დატყვევების დეტალები, მან 1909 წელს ვასილ ამაშუკელის გადაღებული დოკუმენტური კინოქრონიკა „ლუნების პოლკის ალღუმი“ შეიძინა. უცნობია, სად გამოიყენა ეს მასალა, შესაძლებელია ფილმ „კავკასიის დაპყრობაში“ ერთ-ერთ ეპიზოდში ჩართო კიდეც. ამ ფილმს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისე როგორც იმხანად გადაღებულ მრავალ კინოსურათს. „კავკასიის დაპყრობის“ შესახებ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ფონდებში დაცულია მხოლოდ სამი ფოტო. 1913-1914 წლების პერიოდულ პრესაში ფილმზე მოგონებათა სახით საკმაოდ დიდი მასალაა მოღწეული. საინტერესო დეტალებია მთავარი როლის შემსრულებელ ვალერიან გუნიას პირად დღიურშიც, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი. რეჟისორ შაქრო ბერიშვილის არქივში

ბოდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლითა და შამილის დატყვევებით. სიმონ ესაძეს შესწავლილი ჰქონდა ლუნების შტურმით აღების ყველა დეტალი და შამილის დატყვევების ისტორია. ესაძე 1902-1903 წლებში ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატისთვის“ დოკუმენტურ მასალებს უგზავნიდა, რომლის დაწერას რუსმა მწერალმა რვა წელიწადი მოანდომა. ესაძემ ტოლსტოის სულ 151 ისტორიული დოკუმენტის ასლი გაუგზავნა. გარდა იმისა, რომ დოკუმენტურად დამუშავებული ჰქონდა კავკასიის ისტორია და კონკრეტულად შამილის დატყვევების დეტალები, მან 1909 წელს ვასილ ამაშუკელის გადაღებული დოკუმენტური კინოქრონიკა „ლუნების პოლკის ალღუმი“ შეიძინა. უცნობია, სად გამოიყენა ეს მასალა, შესაძლებელია ფილმ „კავკასიის დაპყრობაში“ ერთ-ერთ ეპიზოდში ჩართო კიდეც. ამ ფილმს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისე როგორც იმხანად გადაღებულ მრავალ კინოსურათს. „კავკასიის დაპყრობის“ შესახებ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ფონდებში დაცულია მხოლოდ სამი ფოტო. 1913-1914 წლების პერიოდულ პრესაში ფილმზე მოგონებათა სახით საკმაოდ დიდი მასალაა მოღწეული. საინტერესო დეტალებია მთავარი როლის შემსრულებელ ვალერიან გუნიას პირად დღიურშიც, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი. რეჟისორ შაქრო ბერიშვილის არქივში



კავკასიის მთები. საქართველოს სამხედრო გზა



ნიკოლოზ
(კოლა)
ერისთავი და
ვალერიან გუნია
ახალგორის
სასახლეში
მეგობრებთან
ერთად

შემონახულია ლუდვიგ ჩერნის პორტრეტი, რომლის გერმანული წარწერიდან ვიგებთ, რომ ჩერნის პორტრეტი მიუძღვნია თავისი მოწაფე შაქრო ბერიშვილისთვის.

მთავარი გმირის — შამილის სახე შექმნა თეატრის ცნობილმა მსახიობმა ვალერიან გუნია. ვარდა ამისა, მან ფილმში ასევე ითამაშა ერეკლე II-ის, გენერალ ალექსეი ერმოლოვისა და სხვათა (სულ რვა გმირის!) როლები. ვალერიან გუნია თავის დღიურში, რომელიც 1913 წლის 7 ივლისითაა დათარიღებული, აღწერს, როგორ აიყვანეს მთავარი როლის შემსრულებლად. გუნიას თავდაპირველად ფილმის დასაწყისში შესთავაზეს ფილმში მონაწილეობა, მაგრამ ვიღაც ფარულად ხელს უშლიდა თურმე მთავარი როლის მიღებაში. ამიტომ მოლაპარაკება უსაშველოდ გაიწეა. მოგვიანებით ფირმის დირექტორი და მთავარი რეჟისორი საქართველოში ჩამოსულან მოსალაპარაკებლად. გუნია აღნიშნავს, კოლეგები უწუნებდნენ არჩევანს, — სისულელეა დრამის მსახიობის ფილმში თამაში. გუნია დღიურში წერს: „მე მტკიცედ ვიდექი ჩემს სიტყვაზე. ჯერ ერთი ძლიერ მაინტერესებდა კინემატოგრაფის ტექნიკა და მერე ჩემი თავის ნახვა მინდოდა ეკრანზე. სხვა თუ არაფერი, მე ვარ პირველი ქართველ არტისტებს შორის, რომელიც ფირზე გადაიღეს. ჩემი აზრით, ეს ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრე-

ბულ ადგილს დაიკავებს“. მსახიობს დღეში 10 რუბლი შესთავაზეს, საბოლოოდ 15 რუბლზე შეთანხმდნენ. სამდღიანი რეპეტიციების შემდეგ დაიწყო გადაღებები. გუნია აღნიშნავს, რომ როლების შესრულება ძალიან გაუჭირდა, რადგანაც ეს კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვდა, რაც 50 წელს გადაცილებული მამაკაცის ძალებს აღემატებოდა. მსახიობს ფილმში მოუხდა სირბილი, ცხენზე ჯირითი, მთაზე ასვლა და მდინარე ლიახვის გადაცურვაც კი...

ფილმში ქართველი მსახიობები თამაშობდნენ როგორც მთავარ და ეპიზოდურ როლებს, ასევე მასობრივ სცენებშიც მონაწილეობდნენ. ვალერიან გუნიას რეკომენდაციით ფილმში მიიწვიეს მსახიობები: გიორგი არადელი-იმშნელი, ვლადიმერ (ლადო) გვიშიანი, ა. ერაძე, გიორგი იორდანაშვილი, ი. ნიკოლეიშვილი, ირაკლი კალანაძე, დათუნა აბღუშელი, ს. მიქელაძე, ზაალ ტერიშვილი და სხვები. ფილმის გადაღებაზე მუშაობდა 23 წლის დამწყები ოპერატორი ვლადიმერ კერესელიძე (შემდგომში ფილმ „ელისოს“ დამდგმელი ოპერატორი), რომელმაც დამდგმელ ოპერატორებთან ერთად მრავალი კადრი გადაიღო მცხეთისა და კასპის მდამოებში. ფილმის გრემიორებად მუშაობდნენ ზაქარია ვახტანგიშვილი და გრიგოლ მხეიძე, რომლებიც შემდგომშიც რამდენიმე ათეული წლის

განმავლობაში ქართული თეატრისა და კინოს გრიმიორები იყვნენ. კინოსურათის გადაღებას ვრცლად აშუქებდნენ გაზეთები „გოლოს მოსკვი“, „უტრო რასიი“, „ნოვოსტი სეზონა“ „ტიფლისკი ლისტოკ“, „კაკაკაზ“, „კაკაკასკი რეჩ“... გადაღებები სამ ადგილას მიმდინარეობდა. ფილმისთვის ააშენეს აული, მეჩეთი და ხიდი. ხოლო ტულის ქარხანაში სპეციალურად ჩამოსახმევიეს ძველებური კონსტრუქციის ზარბაზნები. მასობრივ სცენებში ჩართული 20-ათასიანი არმიის მოძრაობას სამეგრელოს შენაერთის პორუჩიკი გიორგი სიამაშვილი ხელმძღვანელობდა.

„კაკასიის დაპყრობა“ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გახლდათ, რომელშიც ნაჩვენებები იყო ერეკლე II-ის მეფობის პერიოდი, ვიდრე XIX საუკუნის სამოციან წლებამდე. ფილმი აღწერდა რუსეთის არმიის ომებს თურქების, ირანელებისა და შამილის მეთაურობით აჯანყებულ კაკასიელ მთიელთა წინააღმდეგ. „კაკასიის დაპყრობაში“ ჩანდა მე-17 ეგერთა პოლკის რიგითი მეომარი გავრილ სიდლოროვი, რომელმაც მოითხოვა, მდინარეზე ჯარისკაცთა სხეულების გადახ-

გენერალი ალექსეი ერმოლოვი



ლართვით ხიდი აგოთ და ისე გადაეყვანათ ნიჟეგოროდის დრაგუნის ზაქარია ჭავჭავაძის პოლკი და ზარბაზნები. ფილმში ნაჩვენებები იყო ჯარისკაცი არხიპ ოსიპოვი, რომელმაც მტრის თოფისწამლის სარდაფი ააფეთქა და თვითონაც დაიღუპა. კინოსურათში ასახული იყო მუსლიმ მთიელთა წინააღმდეგობა, ე.წ. „საღმრთო ომი“ რუსებთან. ფილმში მაყურებელი ხედავდა ვალერიკთან მომხდარ შეტაკებას, რომელშიც მიხაილ ლერმონტოვი მონაწილეობდა.

ფილმის ქართული სცენები ქსნის ხეობაში ახალგორში, ნ. ერისთავის მამულში გადაიღეს. წინაპართა კოსტიუმებში გამოწყობილმა თავადმა ერისთავმა, მისი ოჯახის წევრებმა და სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა სცენებში. ფილმის გადაღების ერთი დღე დაემთხვა სამების დღესასწაულს. კინოოპერატორებმა ფირზე გადაიბრუნეს დღესასწაულზე მისული 8 ათასი გლეხი, რომელიც სამების მთაზე აღიოდა. ფილმში მოხვდა ასევე ხალხური თამაშობები და წეს-ჩვეულებები, ასპარეზობა და ცხენოსნობა, რომელშიც დუშეთისა და ქსნის ხეობის მცხოვრებნი მონაწილეობდნენ.

კინოსურათი შვიდი ნაწილისგან შედგებოდა. პრემიერა 1913 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა. ერთი წლის შემდეგ, ღუნიბის ალების 55 წლისთავისა და კაკასიის ომის დამთავრების 50 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებები დაიგეგმა. ალექსანდრ დრანკოვის ატელიემ თავისი ფილმი: „კაკასიის დაპყრობა“ ხელახლა დაამონტაჟა და კვლავ გამოუშვა ეკრანებზე ახალი სათაურით: „ღუნიბის ალება, ანუ კაკასიის დამორჩილება“. ფილმს არნახული წარმატება ხვდა წილად. რომანოვთა სამეფო ოჯახმა ფილმი მოიწონა და მას დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის ქალაქებსა და საზღვარგარეთ უჩვენებდნენ.

ღუნიბი — პლატო და სოფელია შუა დაღესტანში. 1859 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა შამილის უკანასკნელი დასაყრდენი — აული ღუნიბი აიღეს და იმამი დაატყვევეს. არსებობს შამილის ფოტო შვილთან ერთად, რომელიც გადაუღია ვინმე ი. ნოსტიცს ჩირიურტში ამავე წლის 4 სექტემბერს.

ცხადია, ღუნიბის ალება რუსების დიდ გამარჯვებად მიიჩნეოდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ეს სახელი კაკასიის მხარის დედაქალაქის მთავარ მოედანს დაარქვეს. ძველ თბილისში მეფისნაცვლის სასახლეს, პირველ



აულ ახულგოს შტურმი, 1839 წლის აგვისტო

გიმნაზიასა და ყოფილ პირველ არსენალს შორის მოედანს ღუნიბის მოედანი ერქვა. ბარნოვის ქუჩასაც ღუნიბისა ერქვა. ზოგან ღუნიბი მოხსენიებულია როგორც გუნიბი, რაც შეცდომა უნდა იყოს.

1913 წლის 9 ოქტომბერს კი ეკრანებზე გამოვიდა ალექსანდრ ხანჟონკოვის ატელი-ეს მიერ ალექსანდრ დრანკოვის ფილმთან საკონკურენციოდ შექმნილი ოთხნაწილიანი კინონაწარმოები „კავკასიის დამორჩილება — შამილის დატყვევება“. ამ ისტორიული დრამის სცენარის ავტორი იყო ნ. მამონტოვი, რეჟისორი კი — ვასილ გონჩაროვი.

„კავკასიის დაპყრობის“ შემდეგ სიმონ ესაძემ არაერთი ისტორიული მოვლენა აღბეჭდა ფირზე. მან კინემატოგრაფიული საზოგადოება „მინერვიდან“ მიიღო შემოთავაზება, გადაეღო ომის ამსახველი ეპიზოდები ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიებზე. მართლაც 1914-1916 წლებში სიმონ ესაძემ პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე განვითარებული მოვლენები: „არზრუმის დაცემა“, „ტრაპიზონის აღება“ და სხვა ბატალიები გადაიღო. მას დიდი სურვილი ჰქონდა, შეექმნა ფილმი შამილის თანამებრძოლ ჰაჯი მურატზე. ბევრი იმუშავა, მოაგროვა უამრავი

მასალა, დაწერა სცენარი, მაგრამ ფილმის გადაღება ვერ მოხერხდა. სიმონ ესაძე ეხმარებოდა გერმანე გოგიტიძესაც, რომლის თაოსნობით პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ გადაიღეს. ესაძე თავადაც მონაწილეობდა ერთ-ერთ ფილმში, რომელიც ვასილ ამაშუკელმა გადაიღო. ფილმს ერქვა „ღუნიბის პოლკის ალღუმი კაპიტან სიმონ ესაძის მეთაურობით“. ვასილ ამაშუკელს ესაძესთან ერთად სხვა ფილმების გადაღებაც სურდა, მაგრამ მათი შემოქმედებითი გაერთიანება ვერ შედგა.

„კავკასიის დაპყრობა“ რუსული წარმოების ფილმად მიიჩნევა, მაგრამ მთლიანად ქართულ ბაზაზე შექმნილი კინოსურათია. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო-ისტორიული განყოფილების რედაქტორი, ისტორიკოსი, კავკასიოლოგი, კინოოპერატორი და სამხედრო მუზეუმის დირექტორი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი და პოლკოვნიკი სიმონ ესაძე ისტორიაში შევიდა, როგორც სამხედრო კინოქრონიკის დამაარსებელი და პირველი ქართველი კინოსცენარისტი.

ლევან გილაშვილი

საქართველოს ოკუპაცია თვითმხილველის თვალით

ნაწილი I



გიორგი ნადირაძე

წინამდებარე მოგონებათა ავტორია ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და მწერალი **გიორგი ალექსანდრეს ძე ნადირაძე (1902-1960)**. ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მის ხელნაწერ მემუარებში ავტორი გადმოგვცემს საკუთარი თვალით დანახულ უძმომეს მონაკვეთს საქართველოს უახლესი ისტორიიდან — საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებულ ოკუპაციას, იძულებით გასაბჭოებასა და მის თანამდევ მოვლენებს. ტექსტი დათარიღებულია 1960 წლის თებერვალ-მარტით. ეს მოგონებები ავტორს დაუსრულებელი დარჩა, ვინაიდან იმავე წლის ივნისში გარდაიცვალა.

გიორგი ნადირაძე აღნიშნავდა, რომ თუ ჩანაწერში მოყვანილი ფაქტების სიმართლის გამო ვერ შეძლო მისი გამოქვეყნება, „დაე, ედღოს იგი ჩემს უჯრაში. სიკვდილის წინ არ შემიძლია არ ვთქვა აღსარება“.

ქვემოთ წარმოდგენილი ჩანაწერის მოწოდებისთვის მადლობას მოვანსენებთ ავტორის ქალაშვილს — ქალბატონ მარინე ნადირაძე-ჯაგაზიშვილისას.

პუბლიკაცია გამოსაქვეყნებლად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკო ჯაგაზიშვილმა.

ეს მოხდა 39 წლის წინ...
გარედან ქვემეხების გუგუნის მოისმოდა. მაშინდელი სამხედრო ტექნიკის კვალობაზე ბრძოლის ხაზი საკმაოდ შორს იყო.

იმ დილას თუ წინა დღით სასახლის აივნიდან ნოე ჟორდანიას სიტყვები მოვისმინე: „თბილისი ვერდენია! თბილისის მისადგომებთან საფლავი გაეთხრებათ საქართველოს მტრებს“.

ეს სიტყვები ისე დამაჯერებლად მეჩვენებოდა, რომ ქვემეხების გუგუნს გულდამშვიდებით ვუგდებდი ყურს. დედაჩემი გაბმით პირჯვარს იწერდა, ჩემი და ნინო (კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის დედა — რედ.) მე შემომცქეროდა და, როგორც ჩანდა, ჩემი მტკიცე გამომეტყველება უფრო მეტ გავლენას ახდენდა მასზე, ვიდრე დედაჩემის გაფითრებული სახე.

მოულოდნელად სასადილო ოთახის კარი გაიღო და მამაჩემი (ალექსანდრე ნადირაძე) შემოვიდა. ძალიან ადღევეებული ჩანდა. ყველანი კითხვის ნიშანივით მოვიკუნტეთ.

— არ შეგეშინდეთ! — წარმოთქვა მამამ დინჯად. მერე კი იკითხა, — სად არის ჩემი შაშხანა?

ყველანი შიშმა შეგვიპყრო.
— რა მოხდა? რატომ არაფერს ამბობ? — შემფოთებული შეეკითხა დედა.

— თბილისის ვტოვებთ!

ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, უკაცურ სასაფლაოზე რომ მოისმენ! დიახ, ყველას გვესმოდა ეს სიჩუმე! თბილისის დატოვება ხომ საქართველოს დატოვებას ნიშნავდა. მამა მიგვიხვდა მტანჯველ ფიქრს. — არ გეგონოთ, თბილისის სამუდამოდ ვტოვებთ, — წარმოთქვა მან, — ეს მხოლოდ ტაქტიკური მანევრია. ამიტომ ყველანი დარჩებით აქ... მე უნდა წავიდე...

დედაჩემი აფუსფუსდა. რამდენიმე წუთში მამამ კარი გაიკეტა და ჩვენ გაშეშებულნი მივაჩერდით ერთმანეთს.

დედაჩემი მტკიცე ნებისყოფის ქალი იყო. მან ერთბაშად მოიკრიბა შინაგანი ძალ-ღონე და თითქმის ბრძანების კილოთი მითხრა:

— გაეცალე აქაურობას. მე, ნინო და ტიტო აქ დავრჩებით!

მე გავეშხადე. ის-ის იყო, კარი უნდა გამეღო, რომ ქუჩიდან ძახილი მოისმა:

— ალექსანდრე, ალექსანდრე!

აივნის კარი გაუხსენი და ქუჩაზე გადავიხედე. დავინახე საერო ტანისამოსში გამოწყობილი სანდრო ახმეტელი (*რუჟისორი, გიორგი ნადირაძის დედის ბიძაშვილი*), მხარზე შამხანა გადაეკიდა.

— სად არის მამაშენი?

— წავიდა.

— შენ რას უზიხარ აქ? აბა, ჩქარა!

— შენ წადი, მე მოვდივარ, მოვდივარ ჩემს ამხანაგებთან ერთად.

— აბა, კარგად იყავით! მცხეთაში გნახავ.

მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა არჩილისთვის (*არჩილ ნადირაშვილი, გიორგი ნადირაძის ბიძა*) გამეგლო.

საჩქაროდ დავემშვიდობე ჩვენიანებს და ქუჩაში გავედი.

უჩვეული სიწყნარე იყო. ქვემეხების გაბმული გუგუნიც კი მიწყდა. ყუმბარების ხმაური იშვიათად არღვევდა სიმშვიდეს. პირველ ხანს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქალაქის მოსახლეობის უმეტესობამ არაფერი იცოდა ჯარისა და მთავრობის ევაკუაციის შესახებ. ქუჩაში არავითარი ტრანსპორტი არ მოძრაობდა. მე სწრაფი ნაბიჯით გავეშურე დიდუბისკენ. რაც უფრო მივიდიოდი წინ, მით უფრო ივსებოდა ქუჩა ხალხით. ყველა გარბოდა. მაშინ ასე მეგონა, რომ ყველანი ბოლშევიკებს გაუბრბოდნენ. ახლა უკეთ ვერკვევი ამ საკითხებში, ვიდრე მაშინ. ცხადია, ზოგიერთები ჩემს გზას მოკვებოდნენ, ზოგი ახალ მეპატრონეს ელოდა, ზოგიც — მარცვა-გლეჯისთვის ეშხადებოდა.

მირიანაშვილების სახლი ჩაბნელებული დამხვდა. ნუთუ წავიდნენ? მაინც ვსინჯავ. სასწრაფოდ ავირბინე კიბე და მთელი ძალით რახარუხი ავუტეხე კარს. მამიდაჩემის ხმა მომესმა. მადლობა ღმერთს, შინ ყოფილხარმეთქი. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო. შევედი და გავშემდი. ერთხანს ხმა ვერ ამოვიდე.

უცებ რატომღაც საშინლად დავიღრიალე:

— არჩილ!

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— თბილისს ვტოვებთ!

ეს ორი სიტყვა და არჩილის წამოფრენა ერთი იყო. სამ თვლახე ჩაიცვა. მეორე ოთახიდან საცვლების ამარა გამობარბაცდა დეკანოზი (*დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი, შემდგომში არქიმანდრიტი იოსებ მირიანაშვილი, გიორგი ნადირაძის მამიდის ქმარი. დახვრეტეს 1937 წელს*), ჩემს შორიახლოს გაჩერდა, ვერხვის ფოთოლივით კანკალებდა და გაუგებრად ბუტბუტებდა. ყველას მკვდრისფერი ელო.

— წადით, შვილებო, საჩქაროდ წადით! — წარმოთქვა სულიერმა მამამ.

რამდენიმე წამში ოთახი აივსო. თავები გამოყვეს ნინომ, ლიზამ, ვერამ, ელენემ...

გარეთ მცხეთისკენ მიმავალ შარავნაზე უკანდახეული ჯარისა და ქვემეხების ხმაური მოისმოდა. ქუჩა გუგუნებდა. როგორც ჩანს, მთელი ქალაქი ფეხზე იყო.

სწორედ ამ წუთში მახარაძის საარტილერიო ბრიგადა უკან იხევდა. ოფიცრები,



ნოე ჟორდანიას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



გიორგი ნალიდაძე
ჭაბუკობისას
(XX საუკუნის
ოციანი წლები)

რომელიც კარგად იცნობდნენ დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის უფროს ქალიშვილს, ხმადაღლა ემახდნენ:

— მირიანაშვილებო! ნინო, ლიზა! გამოდით გარეთ!

მე და არჩილმა საჩქაროდ ჩავიბრინეთ კიბე, სასაფლაო გადავჭერით და პირდაპირ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გავედით. აუჭალამდე მივყვებოდით ჯარს. განწყობილება ჩინებულ იყო. ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ თბილისს დროებით ვტოვებდით. „დროებითის“ ცნებაც მრავალნაირია. მაშინ ამ სიტყვის ქვეშ ვგულისხმობდი ორ-სამ დღეს. საიდან მოდიოდა ეს რწმენა, არაუადრე იცოდა. სად იქნება ახლა მამაჩემი? ნუთუ ისიც ფეხით მოპყვება უკანდახეულ ჯარს?

— ეი, ახალგაზრდა! — მხარზე ხელი დამადო ვიღაც ჯარისკაცმა. რამ მოგაფიქრებინა „კალოშები“?

ფეხებზე დავიხედე და ვიგრძენი, რომ სასაცილო გარეგნობა მქონდა... მაკლდა შლაპა და ქოლგა!

აუჭალამდე ყველა ჩემს „კალოშებზე“ ხარხარებდა.

მაგარი მუხლი მქონდა და შემეძლო ფეხით მევლო ბათუმამდეც. მაგრამ აუჭალაში არჩილმა ისტერიკა გამართა. ამასობაში თბილისიდან მატარებელი ჩამოდგა. ისე იყო გატენილი, რომ მისი დანახვაც კი შეშარავად მოგვეჩვენა. როგორ უნდა შევიდეთ ამ ვაგონებში? მაგრამ მაინც შევედით. უძირო ვაგონებია, გავიფიქრე, როცა ცალი ფეხი როგორც იქნა იატაკზე დაუშვი. მატარებელი დიდხანს არ გაჩერებულა. ამის საშუალებას არ იძლეოდნენ თბილისიდან ერთიმეორის

მიყოლებით წამოსული მატარებლები. თანაც არც ერთი შემხვედრი არ ჩანდა. საით მივდივართ? ეს კითხვა ყველას აწუხებდა. მე სანდრო ახმეტელის სიტყვები გამახსენდა და მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე მცხეთაში ჩამოსულიყავი. არჩილი თანახმა იყო. ხვალ ხომ ისევ თბილისში უნდა დავბრუნდეთ? სულ მალე მცხეთის ბაქანზე დავსერილობდით. აგერ, სანდრო ახმეტელიც! მხარზე შაშხანა გადაუკიდა და აწეული თავით მოაბიჯებს. დამინახა თუ არა, ხელი დამიქნია და „ღირექტივები“ მომცა: „ფეხი არ მოიცვალო! მე აქა ვარ და აქა ვრჩები! ამ ვიწროებში საქართველოს ჯარი გაუმართავს მტერს გენერალურ ბრძოლას“.

რა მშვენივრად ჟღერს: გე-ნე-რა-ლუ-რი ბრძოლა! მე მაშინ დეკადენტური პოეზია მიტაცებდა და სიტყვაში უფრო მისი ჟღერა მომწონდა, ვიდრე აზრი. ხანდახან ამ უკანასკნელს არაერთად ყურადღებას არ ვაქცევდი. რა მნიშვნელობა აქვს, რას გამოხატავს სიტყვა? *La musique avant tout* (მუსიკა უპირველეს ყოვლისა. ფრანგ.).

გენერალ გიორგი კვინიტაძის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის) შტაბი მოთავსებული იყო გედევანიშვილის სახლში, რომელიც სადგურის პირდაპირ ციცაბოდ აღმართული კლდის ერთ-ერთ პლატოზე იყო აშენებული. ცისფრად შედებილი შტაბი ციურ კოშკად მომჩვენდა (ისევე დეკადენტიზმი!). ციური კოშკი და ისეთი მიწიერი საქმე, როგორიცაა ომი! როგორ მოგწონთ ეს პოეტური კონტრასტი? პოეზია თავის ალაგას იყო, კონტრასტსაც ადვილად ვგრძნობდი, მაგრამ პრაქტიკული შედეგისა რა მოგახსენოთ.

— სად არის მთავრობა? სად არის ნოე ჟორდანიანი? — შევეკითხე ახმეტელს.

— ეს საიდუმლოა, — მოკლედ განმიმართა მან.

ლაპარაკი აღარ გავაგრძელე, რადგან მტკიცედ მწამდა, რომ ოლიმპელების ცხოვრების „წვრილმანები“ არ უნდა იცოდნენ უბრალო მოკვდავებმა. ეს წვრილმანები ეუწყება ხალხს მაშინ, როცა მათ ხავსი დაფარავს და ლეგენდებში გადავლენ. მეორე წამს თვითონვე ჩამეცინა, რადგან კარგად ვიცოდი ახმეტელის აზრი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა,

როცა მოულოდნელად შევეჩქებე ვანო ჯამას-პიშვილს, შესანიშნავ ქართველს.

საოცარია, რატომ მიყვარდა იგი გაგიჟებით? მას ხომ ჭირივით სძულდა ჩემსავით პოეზიით გადარეული ადამიანები? იქნებ ამ სიყვარულის მიზეზი იყო ჩემი ქვეცნობიერი სურვილი, მომეშორებინა თავიდან არსებითად ჩემი ბუნებისთვის უცხო დეკადენტიზმი? შეიძლება ეს ასეა, მაგრამ ვანო მე მიყვარდა პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მას თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო.

ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ, მერე ერთმანეთს ვებვევით, ერთიმეორის ამბავს ვეკითხებით.

ვანო კოჯრის გმირია.

გასაოცარი ამბები ითქვა... ეს ორი კვირაა თბილისის სამხრეთის მისადგომებს მხოლოდ იუნკრები იცავდნენ.

— ჯარის ნაწილებმა გუშინ დილიდანვე დაიწყეს დახვევა... ჩვენ არიერგარდში დაგვტოვეს. ეს-ესაა ჩამოყვანილი თბილისიდან. აუჭალაში გზა გადაგვიჭრეს, ბრძოლით გაუარღვიეთ გზა და, ხომ ხედავ, ერთი ნაკაწრიც არა მაქვს.

— ამის გამო თითო ჭიქა მაინც რომ არ გადაგვკრათ, ცოდავად ჩაგვეთვლება! — მივახალე მე.

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი! გაიცანით — ეს უნტეროფიცერი ხახუტაშვილია. წავიდეთ!

— წამოდით ჩემთან, — მოგემართა ახალგაცნობილმა ოფიცერმა. მამაჩემი სვეტიცხოვლის ეზოში ცხოვრობს.

— შესანიშნავია, — მოუწონა ვანომ.

სადგურის ბაქანი დავტოვეთ და შარავზისკენ გავედით, საიდანაც თბილისიდან მომავალი ლიანდაგი მოჩანს.

— მოიცათ, ბიჭებო! — წარმოთქვა ვანომ, — ეს სასაცილო ღონ კიხოტი რომ არ ვნახოთ, მგონი სრული წარმოდგენა არ გვექნება ჩვენს სამხედრო ბანაკზე.

ყველანი მივაჩერდით ლიანდაგს, რომელზეც დაღლილი, მაგრამ მაინც უნაგირზე ამაყად ამართული ცხენოსანი მოდიოდა. ხმამაღლა გაგვეცინა. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა იგი, მით უფრო იზრდებოდა ჩვენი გაოცება და ბოლოს სიცილი ღუმილად გადაიქცა. ცხენოსანი ზედ მოგვადგა.

— ივერიკო!.. — ერთხმად შეეძახეთ ყველამ, — საიდან? რანაირად?

ივერიკო (გიორგი ნადირაძის უფროსი ძმა) ჩვენზე მეტად იყო გაოცებული:

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამ შესვენებას კი ვერა!

ივერიკომ ორიოდე სიტყვით გვიამბო, რაც თავს გადახდა.

თურმე ორი დღე-ღამე მოდიოდა კახეთიდან. მთელი რაზმიდან, რომელიც ჯერ კახეთის მისადგომებს იცავდა, შემდეგ სიღნაღს, გურჯაანს, საგარეჯოს, მხოლოდ მან მოაღწია უვნებლად მცხეთას. დანარჩენები გზადაგზა შემოიფანტნენ.

ყველა ჩვენებისთვის ამ ამბავს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

— აბა, მეგობრებო, სვეტიცხოვლისკენ! — მოგემართა ხახუტაშვილმა და ყველანი შარავზაზე გავედით. ივერიკო ცხენიდან ჩამოქვეითდა და ჩვენს კომპანიას შემოუერთდა. სიცილი ამიტყდა, როცა ჩამოქვეითებულ ძმას შევხედე. სასაცილოდ მოაბოტებდა. ტარტარენ ტარასკონელივით შეჭურვილიყო... მე შინაური ამბავი გადავეცი, მან სამაგიეროდ მაჩხაანის სასაცილო სამხედრო ოპერაციები გამაცნო.



გიორგი ნადირაძის მამა, თამბაქოს ფაბრიკა „ალზიორას“ მფლობელი, ქველმოქმედი ალექსანდრე ნადირაძე. დაზვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის



გენერალი
გიორგი
კვინიტაძე

— კახეთი ბედის ანაბარად მიაგდეს. არც ჯარი, არც იარაღი, არც ხელმძღვანელობა. კრაწაშვილი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებული ქიზიყში) და მისი დამქაშები ისე გაქრნენ, რომ მათი ნაკვალევიც არ უნახავს არავის. საერთოდ, მთავრობას სრულიად გამორჩა სათვალავიდან მთელი კახეთი, რომელსაც შეეძლო გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ამ ომში. მაჩხანაში ნაძირლები გამოძვრნენ სოროებიდან. არაფერი არ ვიცი, რა მოხდა, ვიდრე კომუნისტების ჯარი შევიდოდა იქ.

მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე
ესაუბრება ქართველ ჯარისკაცს



მიუვახლოვდით სვეტიცხოველს. კარიბჭესთან ტაძრის გალავანს პატარა ორსართულიანი სახლი ჰქონდა მიდგმული. აქ ცხოვრობდა დეკანოზი ნახუტაშვილი. ოფიცერი წინ წაგვიძღვა და მეორე სართულზე ავედით. დეკანოზს ბავშვებით გაეზარდა შვილის ნახვა. ისეთი ხმით შეჰკივლა ცოლის მოსახმობად, რომ სიცილი ძლივს შევიკავეთ. რამდენიმე წუთში აივანი ქალებით აივსო. შეგვიპატიჟეს სასტუმრო ოთახში. ისეთ საამო სითბოში გავუხვით, რომ უცებ დაგვაიწყდა განცდილი უბედურება. თუნუქის ღუმელს შემა შეაყარეს... რამდენიმე წუთში სასიამოვნო სანახავი იყო ოთახი: გაშლილი სუფრა, შავთმიანი ბიჭები, ქარვისფერი ღვინით საყსე ჭიქები და პატრიოტული სადღე-რძელოების მრავალგვარი ვარიაციები. ვანომ თავისი საყვარელი მელიოღია წამოიღიდინა: „სიცოცხლე ჩალად არა ღირს, სიკვდილი — დანანებადა“.

უკვე შუაღამე იქნებოდა, როცა ქალებმა ამვე ოთახში საერთო ლოგინი გაშალეს. იმავე წუთს სუყველას მკვდარივით ჩაემინა.

რული არ მეკიდებოდა. ჭოტივით თვალი მქონდა დაჭყეტილი და კარებსა და ფანჯრებზე მოწოლილ ხმაურს ვუგდებდი ყურს. ქვემეხების გუგუნე თანდათან უფრო ახლოვდებოდა. მალე ხმაური გადაიქცა გაბმულ ღრიალად. ერთი ყუმბარა ტაძრის ეზოშიც დაეხეთქა. სახლი ატოკდა და ფანჯრებმა ზრიალი გამოიღო. მეორე ოთახიდან დეკანოზის ბუტბუტი მესმოდა. მეგონი ფეხზე უნდა ყოფილიყო. სმენა მოვიკრიფე და წინ და უკან სწრაფად მოსიარულე ნაბიჯების ხმა შემომესმა. მეურე კარი გაიღო და ისევ სასწრაფოდ მიიკეტა. ერთი წუთის შემდეგ ხმაური გამეორდა. ჩანს, დეკანოზი აივანზე გავიდა, მაგრამ ისევ სწრაფად შემოტრიალდა ოთახში. ყველაფერი მოწმობდა იმას, რომ აქ არავითარი გენერალური ბრძოლა არ იყო მოსალოდნელი. წითელი არმია უტევდა და ჩვენს ჯარი განაგრძობდა უკან დახევას.

— ივერიკო, ვანო, არჩილ! — ვყვირი, მაგრამ არაუვინ იღვიძებს.

— რას ღრიალებ! — შემომიტირა ვანომ, — გემინია, ბიჭო? როგორ გეტყობა, ჯერ ომში არ ყოფილხარ! მე ისე შევეჩვიე ყუმბარების მუსიკას, რომ უკეთესად მძინავს ასეთი აკომპანემენტის ქვეშ.

ფერიკომაც ორიოდ დამცინავი მუჯღუგუნი გამკრა.

იძულებული გავხდი, ხმა ჩამეკმინდა.

ქვემეხების გრიალი და ტყვიამფრქვევების კაკანი არ ცხრებოდა. ცაში ნათელი იყო ჩავარდნილი, როცა ეს სამხედრო ხმაური გაიშვიათდა და მერე სრულიად მიწყდა. რა მოხდა? ფანჯრებში მზის სხვები შემოიჭრა. ნამდვილი მცხეთური ზამთარია: გარეთ ყინვა, ოთახებში კი ჭახჭახა მზე.

ბიჭებს ისევ სძინავთ. წამოვიწიე და ოთახს თვალი გადავაუღე. ამდენი დაფრენილი პირი არასოდეს მენახა. ბრძოლის ველზე დახოცილებივით ყვარნენ.

ოთახის შუა კარი ფრთხილად გაიღო და ღეკანოზის წვერმა შემოიჭყიტა. მერე წვერი უკანვე გაძვრა და კარიც მიიხურა. ალბათ შემამჩნია, გავიფიქრე და ბალიშზე თავი მივდე... მეგობრების ძილს დაუთვრივარ და მეც ჩამძინებია. მაგრამ ძილის ბანგი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. სუყველას ერთბაშად გაგვეღვიძა. ვანო შემომჩერდა და სიცილისთვის მოემზადა... მივხვდი, დაცინვის ობიექტი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ ოთახის შუა კარი ისევ გაიხსნა და ღეკანოზი შემოფაჩუნდა წყნარად.

— დილა მშვიდობისა, ბიჭებო. როგორ გეძინათ? — შეგვეკითხა სულიერი მამა ერთობლივ.

— როგორც არასოდეს, მამაო, — ყველას მაგიერ უპასუხა ვანომ, — ოღონდ აი, ამ ჭახუკს (ჩემზე მიუთითა) თვალი არ მოახუჭინა ქვემეხების მუსიკამ.

ღეკანოზმა ჩაიხითხითა.

— ჰო, არ დამაფიცვდეს, — დინჯად მიაყოლა ხითხითს, — ჭკუით იყავით. ღვთის წყალობაა ჩემს სახლში, რუსები ხელს არ გახლებენ. მაგრამ ყველაფერი შეუსრულეთ.

— რაო? რისი რუსები?! — შევეკითხა ვანო.

— ბოლშევიკები, ყმაწვილო!

— შემოვიდნენ?

— შემოვიდნენ, აბა რა! სოფელი ვნახე უძაღლო და შიგ გავიარე უჯონოდო, ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა.

შემოვიდნენო?!

არ შემძლია აღვწერო ის აურზაური, რომელიც ოთახში დატრიალდა. ყველანი ელვის სისწრაფით წამოცვივდნენ ზეზე. წინდები, შარვლები, ხალათები ერთმანეთში აკვერია. არჩილი ინგლისურ ფრენჩს იცვამდა შარვ-

ლის მაგიერ და ვერ გაერკვია, ფეხები რომ არ ეტეოდა სახელოებში. დავსივებულვარ! — ისტერიკულად ყვიროდა შიშით აცახცახებული ბიჭი.

— შემოვიდნენო?! — ისეთი ხმით შეჰკვივლა ოფიცერმა, გვეკონებოდათ ოთახში ყუმბარა გასკდაო, — ო, შე ქოფაკო, სულძაღლო ბებერო! შე მატყუარა! — შეუტია მან ღეკანოზს, — მოგკლავ, მოგკლავ!

ამ სიტყვებთან ერთად ოფიცერი ზეზე წამოიჭრა და მამისკენ გაიწია. ოთახი აზანზარდა. მაგიდა ფანჯრებს ეცა, თითქოს გარეთ უნდა გამხტარიყო. ყველანი ოფიცერსა და მღვდელს შემოვხვებით. ზოგი გააფთრებულ ოფიცერს აკაუვებდა, ზოგი ანაფორით მიათრედა მღვდელს მეორე ოთახისკენ.

მღვდელი გავიყვანეთ, ოფიცერი ღვაშომ მინეთ.

— მაკრატელი! — მეორედ შეჰყვირა ოფიცერმა და ყველანი საგონებელში ჩაგვაგდო.

— ნამდვილად გაგიჟდა, — დინჯად წარმოთქვა ვანომ, — რად გინდა, ბიჭო, მაკრატელი?

ოფიცერს ისტერია დაემართა, მან ზედიზედ დაგვაყარა სიტყვები:

— ვირებო, პაკონები, ღილები, მოწმობა...



სანდრო
ამეტელი
(1922 წელი)



წითლარმიელი ოკუპანტები თბილისში (1921 წლის 25 თებერვალი)

მივხვდით, რომ მაკრატელი საჭირო იყო ღილებისა და პაგონების ასაჭრელად, მოწმობა — საერისკაცო ვინაობის დასადასტურებლად, ხოლო ვირები ჩვენ ვიყავით, რომ ეს ელემენტარული ამბები არ გვესმოდა.

არჩილმა დანა მიაწოდა.

ოთახის გარეკარი გაიხსნა და დეკანოზი ისევ შემობარბაცდა. უკან ჩია წითლარმიელი მოსდევდა.

— Здравствуйте, товарищи (სალამი ამხანაგებო)! — მოგვესალმა რუსი. ეს იყო პირველი ბოლშევიკი, რომელსაც პირისპირ ვუყურებდით.

ერთ წუთში ოთახი აკლდამას დაემსგავსა.

— Сдайте оружие, товарищи (ჩაგვაბარეთ იარაღი, ამხანაგებო)! — განაგრძო რუსმა, —

— Где у них оружие! (სად აქეთ მათ იარაღი!) — ყასიდად ჩაიხიტიხითა მღვდელმა — Это Студенты. Дайте-ка лучше угощу я вас грузинским белым (ესენი სტუდენტები არიან. უმჯობესია, თქვენ გაგიმასპინძლდეთ ქართული არყით).

არყის ხსენებაზე წითლარმიელმა ყველაფერი ადვილად დაიჯერა.

— Неплохо (ცუდი არ იქნება) — წარმოთქვა მან.

მღვდელმა სავსე ჩაის ჭიქა გაუწოდა და იმავე წამს ცარიელი უკანვე ჩამოართვა.

ჭაჭის არაყმა რუსს გველივით უკბინა და ოთახიდან გარეთ გააგდო.

— აბა, იარაღს მოუვაროთ! — ბრძანება გასცა ვიდაცამ და რამდენიმე წუთში ორი კაცი დაბლა დაეშვა. სვეტიცხოვლის შესასვლელ კართან მარცხენა მხარეს წერაქვები ამუშავდა. საკმაოდ ღრმად ამოთხრილ ორმოებში ტომარაში შეხვეული რამდენიმე მაუხერი ჩააწვინეს და მიწა მოასწორეს. „მესაფლავენი“ დარწმუნებული იყვნენ, რომ „დამარხვა“ კონფიდენციით იყო მოცული, მაგრამ იარაღი მესამე დღეს გაიტაცეს.

ისევ სასტუმრო ოთახში მოვიყარეთ თავი. ფოფოლიამ ჩაი შემოიტანა. არავინ არ იღებდა ხმას, ალბათ იმიტომ, რომ არავინ იცოდა, რაზე უნდა ელაპარაკა.

შორიდან კანტიკუნტად გვესმოდა ქვემეხების გრიალი და ტყვიამფრქვევების კაკანი. ჩაის სმა დავიწყეთ.

მეორე ოთახიდან დეკანოზის ბუტბუტი მოგვესმა.

— ვის ელაპარაკება ის წვერცამეტა? — შეეკითხა ოფიცერი ფოფოლიას.

— ლოცულობს, შვილო. დღეს ცისკრის ხარი არ დარეკილა.

— სულძალი! — ჩაილაპარაკა ოფიცერმა და თავი ხელეში ჩარგო.

— თქვენთვის ლოცულობს, სული არ წამიწყდება.

— რას გვშველის ლოცვა? — იღრიალა ოფიცერმა.

შეგვემინდა, რომ წედანდელი სცენა არ გამეორებულყო და ლაპარაკში ჩავერიეთ. ყველა ჩვენგანი ცდილობდა რამენაირად შეერბილებინა დეკანოზის დანაშაული.

ისეუ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

რატომღაც აზრად მომივიდა, რომ იქ ჩემზე ჭკვიანი არაუინ იყო და გადაწყვიტე საქმეზე ამელაპარაკებინა მეგობრები.

— მეგობრებო!.. ამრიგად ჩვენ აღმოჩნდით დეზერტირების თუ ტყვეების მდგომარეობაში. როგორც გნებავთ, ისე ჩათვალეთ. საქმის გამოსწორება შეუძლებელია. მეორე: ჩვენი მცხეთაში დარჩენა უგუნურება იქნებოდა. წინადადება შემომაქვს, დაუყოვნებლოდ დაუდგეთ თბილისის გზას. თუ რაიმე ტრანსპორტს ვიშოვით, ხომ კარგი, თუ არადა — ფეხით!

ჩემმა წინადადებას ყველანი ჩააფიქრა.

— რას გაჩემებულხართ?.. ბატონი ოფიცერი დარჩება თავის მშობლებთან... ჩვენ კი ჩვენს მიტოვებულ ბუდეებს უნდა დაგუბრუნდეთ.

— რით ასაბუთებ ამ წინადადებას? — შეეკითხა ვანო.

— თუ გნებავთ, იმ მოსაზრებით, რომ ახლა ჩვენ ტყვეები ვართ ჩვენი შეგნებით, მაგრამ თუ მოგვაგნეს, მაშინ ტყვეები აღმოჩნდებით ბოლშევიკების შეგნებითაც... უნდა დაგუბრუნდეთ!

ჩემმა მოსაზრებამ დამარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— თანახმა ვარ! — წარმოთქვა ვანომ და ყველანი აიშალნენ.

— თითო ჭიქა ღვინო მაინც მიირთვიეთ, თქვენი ჭირიმე, — აფუსფუსდა ფოფოლია.

— სიამოვნებით, — მოვასხენე ჩვენი საერთო აზრი და მეგობრებიც სუფრას დაუბრუნდნენ.

სუფრა ღარიბული მოგვეჩვენა გუშინდელთან შედარებით, მაგრამ რაკი შოთები და ღვინო უხვად იყო, საკმაო ენერგია მოვიმარაგეთ შორი გზისთვის.

(I ნაწილის დასასრული)



თბილისელი თავადი დამსახურებული პარაგვაელი



მდინარე პარანა

იასონ თუმანოვის ჩამოყალიბებულმა პარაგვაის სამდინარო ფლოტმა ბოლივიასთან ომში თავი გამოიჩინა

ეს ამბავი ერთ-ერთ ქართველს გადახდა თავს, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო შორეულ სამხრეთ ამერიკაში აღმოჩნდა. მას, როგორც ბევრ ჩვენს თანამემამულეს, მაშინ ყველგან რუსად მიიჩნევდნენ.

იასონ თუმანოვი 1924 წელს, ერთ-ერთმა სამხრეთამერიკულმა ქვეყანამ, პარაგვაიმ მიიწვია სამდინარო ფლოტის ჩამოსაყალიბებლად. თუმანოვს უარი არ უთქვამს და ბულგარეთის ქალაქ ბურგასიდან, სადაც იგი ცხოვრობდა, პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში გადაბარდა. იქ მისი ძველი ნაცნობები — ცნობილი თეთრი გენერალი ივან ბელიაევი

და თბილისელი რუსი კავალერისტი ალექსანდრ ერნი, პარაგვაელებს შეიარაღებული ძალების მოდერნიზებაში ეხმარებოდნენ. თუმანოვიც რესპუბლიკის პრეზიდენტმა სწორედ მათი რჩევით მიიწვია.

პარაგვაიში ჩასულმა თუმანოვმა შეიტყო, რომ ამ ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი არ ჰქონდა. მდინარე პარანა კი, რომელიც ქვეყანას შუაზე კვეთს, ნაოსნობისთვის გამოსადეგი იყო. ამავე მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ოლქი — გრან-ჩაკო ბოლივიასა და პარაგვაის შორის სადავო იყო და ასუნსიონში, ისევე როგორც ლა-პასში, კარგა ხნის წინ დაეწყოთ საომარი საშხადისი. ბოლივიაში, ძირითადად, გერმანულ ოფიცრობას ეკატიყებოდნენ, პარაგვაიში კი რუს თეთრგარდიელებსა და ბრიტანელებს. ასუნსიონში ჩასულ იასონ თუმანოვს მეფესავით დახვდნენ — ქალაქის პრესტიჟულ გარეუბანში უზარმაზარი მამული აჩუქეს და რასაც ითხოვდა, ჯამაგირად იმაზე ორჯერ მეტი არგუნეს.

1932 წლის 15 ივნისს, დილის 4 საათზე დაწყებული ჩაკოს ომი, რომელიც ოფიცია-



იასონ თუმანიშვილი (მარჯვნივ)

ლურად მხოლოდ მომდევნო წლის 10 მაისს გამოცხადდა, თავიდან ბოლოვებულა უპირატესობით მიმდინარეობდა. პარაგვაის არმიამ მდინარე პარანამდე დაიხია და სწორედ მაშინ ჩაება ბრძოლაში იასონ თუმანოვის შექმნილ-გაწვრთნილი სამხედრო-სამდინარო ფლოტი. ეს კი უკვე პარაგვაელთა უპირატესობა იყო, რამდენადაც მათი მოწინააღმდეგეები არ ელოდნენ, თუ სახმელეთო სახელმწიფოს ესოდენ ძლიერი და მობილური სამდინარო ფლოტი ეყოლებოდა. მეზღვაურთა წარმატებით გულმოცემული პარაგვაელი ქვეითები შეტევაზე გადავიდნენ და ბოლოვებულს უკან დახევაც მალე აიძულეს, თუმცა ამ უკანასკნელებმა მაინც მოახერხეს და ტყვედ იგდეს ხომალდი „სან-ისიდორო“.

პარაგვაის არმიამ მთელ ფრონტზე შეუტია ბოლოვებულს და ორ-სამ კვირაში გამარჯვებასაც მიაღწია. იასონ თუმანოვი შემდგომში, ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის პარაგვაის პრეზიდენტმა ეუსებო აიალამ ოქროს მედლით დააჯილდოვა.

თავადი იასონ თუმანოვი (თუმანიშვილი) შემდგომში გახდა პარაგვაის პრეზიდენტ ზოსე ესტიგარიბიას (1888-1940) ფლოტის მთავარი მრჩეველი.

თავადი თუმანოვი ფლობდა სამდინარო და საოკეანო ფლოტების შემადგენლობაში მიღებულ სამხედრო მოქმედებათა შესაშურ გამოცდილებას.

იგი დაიბადა 1883 წლის 2 ოქტომბერს, თბილისში, თავად კონსტანტინე მიხეილის ძე თუმანოვის (თუმანიშვილის) ოჯახში.

1904 წელს დაამთავრა კადეტთა საზღვაო კორპუსი, სანაღმო საქმისა და საარტილერიო დამატებითი მოკლევადიანი კურსი და 1913 წელს — ნიკოლოზის საზღვაო აკადემია.

1901-1917 წლებში მსახურობდა რუსეთის სამხედრო ფლოტში. გაიარა საზღვაო ოფიცრის ყველა საფეხური.

მონაწილეობდა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა ზურგსა და ხელში ნაღმის ნამსხვრევით, მოხვდა იაპონელთა ტყვეობაში. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ მსახურობდა ვახტის უფროსად ნაღმოსან კრეისერზე, პეტერგოფის საზღვაო დაცვის №2 კატერის მეთაურად, კასპიის ფლოტილის საკანონერო გემზე, საკანონერო გემის ვახტის უფროსად.

მონაწილეობდა 1914-1918 წლების პირველ



პრეზიდენტი ეუსებო აიალა



ჩაკოს ომის სამხედრო მოქმედებათა რუკა



პრეზიდენტი ზოსე ესტიგარიბია



პარაგვაის სამდინარო ფლოტის ხომალდები მდინარე პარანაზე, ჩაკოს ომის დროს

მსოფლიო ომში. ომის დროს ასრულებდა შავი ზღვის ფლოტის შტაბის ოპერატიული ნაწილის უფროს ფლაგოფიცრის მოვალეობას.

1916 წლის 30 დეკემბერს მიენიჭა II რანგის კაპიტნის საზღვაო წოდება.

1917 წლის აგვისტოში დროებითი მთავრობის მიერ დაინიშნა დამხმარე გემ „იმპერატორ ტრაიანეს“ მეთაურად.

საბრძოლო დამსახურებისთვის დაჯილდოვდა მრავალი მედლითა და ორდენით.

1918 წლის აგვისტომდე ამიერკავკასიაში მეთაურობდა სომხეთის რესპუბლიკის დაცვის ფლოტილიას (გოქჩის ტბაზე), შემდეგ სარდლობდა ასტრახანის სამხარეო მთავრობის ვოლგა-კასპიის ფლოტილიას.

ამის მერე მსახურობდა ჩრდილოეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში სამდინარო ძალების ერთ-ერთი დივიზიონის ფლაგკაპიტნად და შავი ზღვის ფლოტის სამმართველოს შტაბის უფროსთან დავალებათა შტაბოფიცრად. ასევე მსახურობდა შავი ზღვის პორტების სამხედრო კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსად.

1920 წლის 28 მარტს, გენერალ ვრანგელის ბრძანებულებით მიენიჭა I რანგის საზღვაო კაპიტნის წოდება.

ამავე წლის ნოემბერში ევაკუირებული იყო ყირიმიდან კონსტანტინოპოლში, შემდეგ სერბეთში, ხოლო 1924 წელს ჯერ ურუგვაიში, 1925 წელს კი — პარაგვაიში.

საკანონერო გემი „უმაიტა“, რომელსაც იასონ თუმანიშვილი მეთაურობდა, დღეს მუზეუმი





სახმელეთო ბრძოლების მონაწილე პარაგვაელი ჯარისკაცები ჩაკოს ომში

თავდაპირველად დაიწყო სამსახური სამხედრო ტექნიკოსად და ასწავლიდა საზღვაო სასწავლებელში.

1928 წლის ბოლოდან სამხედრო დაპირისპირების დაწყებისთანავე დაინიშნა სამდინარო ძალების სარდლის მრჩეველად. გაემგზავრა ფრონტის ხაზზე, სადაც უწევდა საკონსულტაციო დახმარებას პარაგვაელ მეზღვაურებს.

ამ მოვლენებს მიუძღვნა მან მოგონებათა წიგნი.

მონაწილეობდა სამდინარო ბრძოლებში ჩაკოს ომის დროს პარაგვაისა და ბოლივიას შორის (1932-1935) და ცალკეულ ექსპედიციებში. ძირითად მის ამოცანას წარმოადგენდა რიო-ვერდეს (მწვანე მდინარის) შესწავლა ჯარებისთვის ტვირთების გადაზიდვის მიზნით.

საბრძოლო დამსახურებისთვის მიენიჭა პარაგვაის II რანგის კაპიტნის წოდება (Capitan de fregata) და დაინიშნა ფლოტის პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსად. შემდგომ მიენიჭა პარაგვაის ფლოტის I რანგის კაპიტნის წოდება (Capitan de fregata principe) და სამსახურის გასაგრძელებლად ფლოტში დარჩა, სადაც ეკავა სამხედრო პრეფექტურის (ფლოტის მმართველობის ორგანო) მრჩეველის თანამდებობა. აქტიურად მონაწილეობდა რუსული კოლონიის ცხოვრებაშიც.

ცხოვრობდა ქალაქ ასუნსიონში, ასწავლიდა სამხედრო-საზღვაო სკოლაში.

1939-1954 წლებში მონაწილეობდა ასუნსიონის მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობაში, იბეჭდებოდა საზღვაო ემიგრანტულ

გამოცემებში, იყო „რუსული კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ საპატიო ვიცე-თავმჯდომარე, ამერიკაში რუსეთის საიმპერატორო ფლოტის ოფიცერთა საზოგადოების ისტორიული კომისიის წევრი.

ავტორია რუსულად გამოცემული წიგნისა „მიჩმანები ომში“ (1930 წელი).

გარდაიცვალა 1955 წლის 20 ოქტომბერს ასუნსიონში და იქვე დაკრძალეს.

ბოლო გზაზე მას მიაცილებდნენ არა მხოლოდ რუსული კოლონიის წარმომადგენლები, არამედ პარაგვაელი მეზღვაურებიც, რომლებიც არ ივიწყებდნენ მის დამსახურებას „მეორე სამშობლოს“ წინაშე.

გაფრთხილება

**ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პოლკოვნიკი**

იასონ თუმანიშვილის საფლავი ასუნსიონში



ივანე ჯავახიშვილი

ნაწილი II

მოწაფეობისა და
პეტერბურგში
სწავლა-მოღვაწეობის
ეპიზოდები



ივ. ჯავახიშვილი

„ისტორიანი“ განაგრძობს პუბლიკაციათა ციკლს დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამჯერად წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის მოწაფეობისა და პეტერბურგში სწავლა-მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებულ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა უცნობი რჩებოდა. აქვე პირველად ვაქვეყნებთ პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ და ქართულად ვთარგმნეთ.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (ახალი სტილით 23) აპრილს, თბილისში, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილისა (1844-1912) და სოფიო ათანასეს ასულ ვახვახიშვილის (1855-1928) ოჯახში.

ჯავახიშვილების ოჯახს ივანეს გარდა კიდევ ხუთი შვილი ჰყავდა: ეკატერინე (1872-1955); გიორგი (1877-1956); მიხეილი (1879-1899); ალექსანდრა (1881-1955) და დავითი (1883-1911).

1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზიის სრული კურსი.

პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ მომავალი მეცნიერი განსაკუთრებული ინტერესით ეუფლებოდა ჰუმანიტარულ საგნებს, კერძოდ, ისტორიასა და უცხო ენებს — ბერძნულს, ლათინურს, რუსულს.

ივანე ჯავახიშვილი იგონებდა: „გიმნაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვარელ საგნებს

ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდა... ისტორიის მასწავლებლად დ. საბინ-გუსი გვყავდა, განათლებული პიროვნება, რომელიც უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით არ კმაყოფილდებოდა და ახალ სამეცნიერო ლიტერატურასაც ადევნებდა თვალყურს... კლასში ამხანაგებს შორის ისტორიის საუკეთესო მცოდნის სახელი მქონდა მოხვეჭილი და ეტყობოდა, რომ საბინ-გუსიც ასე ფიქრობდა: როდესაც წამოყენებულ კითხვაზე კლასში დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა არავის შეეძლო, მაშინ საბინ-გუსი მე მეკითხებოდა ხოლმე. ეს იმით აიხსნება, რომ მთელს ჩემს დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი და თანაკლასელებზე მეტად გატაცებული ვიყავი მეცნიერებით. ამის წყალობით ისტორიასა და ჰუმანიტარული დარგების სფეროსაგან გაცილებით მეტი ვიცოდი სხვებზე, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენ“.

ზემოხსენებულ არქივში დაცულია ივანე ჯავახიშვილის სიმწიფის ატესტატი, რომელიც გაცემულია 1895 წლის 12 ივნისს. ამ ატესტატიდან ირკვევა, რომ მომავალი მეცნიერი, მესამე კლასის ჩათვლით სწავლობდა თბილისის მესამე გიმნაზიაში, ხოლო მეოთხე კლასიდან სწავლა თბილისის პირველ გიმნაზიაში განაგრძო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის პერიოდში გაცემულ რუსულენოვან დოკუმენტებში ივანე ჯავახიშვილი მოხსენიებულია, როგორც ჯავახოვი (ДЖАВАХОВ), რაც დამახასიათებელია იმდროინდელი რეალობისთვის.

თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორმა ლევ მარკოვმა თავის ყოფილ მოწაფეს საუკეთესო დახასიათება მისცა. რუსულად დაწერილი ეს დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

დახასიათებაში ვკითხულობთ: „მოწაფე ივანე ჯავახოვი გახლავთ ვაჟი ხელმოკლე ქართველი თავადისა (სასწავლებლის ზედამხედველისა). პატრიარქალურმა ოჯახმა კეთილისმყოფელი გაგლენა იქონია ჭაბუკზე, რომელიც ჩამოაყალიბა რელიგიურ, ზნემადალ, თავაზიან და ალერსიან ადამიანად. გაწონასწორებული ხასიათისა და ზრდილობიანობის გამო, მან საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ჯავახოვი დაჯილდოებულია საუკეთესო ბუნებრივი ნიჭიერებით, ხოლო

იმავდროულად, იგი ძალიან გულმოდგინე და შრომისმოყვარეა. უეჭველია, რომ მისგან შესანიშნავი სტუდენტი დადგება. გამოირჩევა ბუნებრივი ჯანმრთელობით, რომელიც ოდნავ შეერყა უკანასკნელ წლებში გულმოდგინე მეცადინეობის გამო. ის ბევრს კითხულობს და კარგი ცოდნით გამოირჩევა, ასევე, კარგად უკრავს ვიოლინოზე, რითაც გატაცებულია. ის გახლავთ თავისი ოჯახის შესანიშნავი შვილი, უზადოდ ზრდილი ყმაწვილი არა მხოლოდ უფროსებთან დამოკიდებულებაში, არამედ მეგობრების, თვით მასზე უმცროსების მიმართაც. პოლიტიკურად იგი კეთილსამედია“.

1895 წლის 27 ივლისს ივანე ჯავახიშვილმა თხოვნით მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს, რათა ჩაერიცხათ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-სპარსულ განყოფილებაზე და ჩარიცხეს კიდევ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ იმხანად, რუსეთის იმპერიაში არსებულ უნივერსიტეტებში მისაღები გამოცდები არ ეწყობოდა. უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხებოდნენ ახალგაზრდები, რომელთაც დასრულებული ჰქონდათ გიმნაზიის სრული კურსი.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ივანე ჯავახიშვილი ოთხი (1895-1899) წლის განმავლობაში სწავლობდა. იმ პერიოდში ამ ფაკულტეტის დეკანი გახლდათ გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი ვიქტორ როზენი. სწორედ მისი



პეტერბურგის
საიმპერატორო
უნივერსიტეტი
XX საუკუნის დასაწყისში
(იმდროინდელი საფოსტო
ბარათის ფრაგმენტი)



ვიზაზისტი ივანე ჯავახიშვილი

განცხადებით, რომელიც დასრულდა 1899 წელს. მისი სახელია: *Иван Явакхиашвили*. მისი მამის სახელია: *Иван Явакхиашვი*.

Армения

განცხადებით, რომელიც დასრულდა 1899 წელს. მისი სახელია: *Иван Явакхиашвили*. მისი მამის სახელია: *Иван Явакхиашვი*.

Иван Явакхиашვი

ივანე ჯავახიშვილის თხოვნა პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ

დეკანოზის დროს მოღვაწეობდნენ აღნიშნულ ფაკულტეტზე ცნობილი მეცნიერები: კარლ ზალემანი, ვასილი ვასილიევი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ვასილი ბარტოლდი, იგნატი კრაჩკოსკი, ვალენტინ ჟუკოვსკი და სხვები.

ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სანიმუშო სტუდენტად ითვლებოდა. სწორედ ამიტომაც, მას თავისი პროფესორ-მასწავლებლებისგან ხელშეწყობა არ მოჰკლებია.

რუსეთის იმპერიის დედაქალაქში გატარებული წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერისთვის, რომელმაც წარჩინებული სწავლისთვის საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ხოლო სანიმუშო სადაპლომონაშრომისთვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ — ოქროს მედალი დაიმსახურა.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა წარმატებით ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები და წარჩინებით დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილება.

იმავე წლის 20 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილის სახელზე გაიცა I ხარისხის დიპლომი, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ რა საგნები გაიარა მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს შუამდგომლობით მიმართა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, რათა მას ივანე ჯავახიშვილი საპროფესოროდ მოსამზადებლად დაეტოვებინა.

1899 წლის 22 მაისით დათარიღებულ შუამდგომლობაში ვკითხულობთ: „აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს აქვს პატივი იშუამდგომლოს სომხურ-ქართული განყოფილების I ხარისხის დიპლომით კურსდამთავრებულის, თავად ივანე ჯავახიშვილის საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვების შესახებ სომხური სიტყვიერების კათედრაზე (სომხურ-ქართულ განყოფილებაზე) ამა წლის 1-ელი ივლისიდან — ორი წლით, სტიპენდიის გარეშე.“

სპეციალისტის, პრივატდოცენტ მარის შეფასებით, ჯავახიშვილი, რომელმაც წარმატებით შეისწავლა სომხური ენა, იმაჯდროულად, არაერთხელ წარმოაჩინა თავისი გათვითცნობიერებულობა ქართველოლოგიის დარგში და

მისწრაფება, გამოიქმნას მკაცრი სამეცნიერო მიდგომა არმენისტიკის საკითხებისადმი.

ჯავახოვის ნაშრომი, რომელიც წლეულს ოქროს მედლით დაჯილდოვდა, წარმოადგენს ნათელ მაგალითს მისი კრიტიკული გონებისა და ცოდნისა, თუ როგორ უნდა მივიდეთ სამეცნიერო საკითხებს ეროვნულ მიკერძობათა გარეშე. რუსულ ენას იგი სრულყოფილად ფლობს. ოთხწლიანი კურსის განმავლობაში ჯავახოვი ისმენდა ასევე ლექციებს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, კერძოდ, ხელოვნების ისტორიაში, სწავლობდა სირიულ ენას და ცდილობდა შეეცო თავისი აღმოსავლეთმცოდნეობითი და ზოგადი განათლება ლექციებზე რეკომენდებული წიგნებით“.

იმევე წლის 23 მაისს პეტერბურგის უნივერსიტეტის ექიმმა გასცა ცნობა, რომლის თანახმადაც ამ უმაღლესი სასწავლებლის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ივანე ჯავახიშვილს ხელს უწყობდა ჯანმრთელობა, რათა იგი დაეტოვებინათ საპროფესოროდ მოსამზადებლად.

იმევე წლის 25 მაისს ქალაქ პეტერბურგის გუბერნატორის უწყებაში შემავალმა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსმა წერილობით აცნობა უნივერსიტეტის რექტორს, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულზე, თავად ივანე ჯავახიშვილზე გასცა „კეთილსამედლობის ცნობა“, ვინაიდან თავის უწყებაში ხსენებულ პირზე არ გააჩნდა არავითარი მაკომპრომეტირებული ინფორმაცია პოლიტიკური თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა დააკმაყოფილა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანატის ზემოხსენებული შუამდგომლობა და ივანე ჯავახიშვილი საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვა.

1900 წლის პირველი იანვრიდან ივანე ჯავახიშვილს დაენიშნა სამაგისტრო სტიპენდია, რომელიც შეადგენდა თვეში 50 რუბლს ოქროთი. ეს სტიპენდია მეცნიერს 1902 წლის 1-ელ ივლისამდე, ანუ ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში ეძლეოდა. იმ დროისთვის ეს სავსებით საკმარის თანხას წარმოადგენდა ერთი ადამიანისთვის.

1903 წლის პირველ იანვარს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის პრეზატლოცენტად



ДИПЛОМЪ.

Предъявитель сего, князь **Иванъ Александровичъ Джаваховъ**, изъ дворянъ, вѣроисповѣданія православнаго, родившійся 11 Апрѣля 1876 года, по весьма удовлетворительномъ выдержаніи въ ИМПЕРАТОРСКОМЪ С.-Петербургскомъ университетѣ полукурсоваго испытанія, и по зачетѣ опредѣленнаго уставомъ числа полугодій по Армяно-Грузино-Персидскому отдѣлу факультета Восточныхъ языковъ С.-Петербургскаго университета (отъ коего получилъ золотую медаль), подвергался испытанію въ испытательной комисіи Восточныхъ языковъ при С.-Петербургскомъ университетѣ въ Апрѣлѣ и Маѣ мѣсяцахъ 1899 года.

По представленіи сочиненія, и послѣ письменнаго отвѣта, признанныхъ весьма удовлетворительнымъ, оказалъ на устномъ испытаніи слѣдующіе успѣхи: по Армянскому языку, Армянской литературѣ, Грузинскому языку, Грузинской литературѣ, Персидскому языку, Русской словесности, Русской исторіи и Нѣмецкому языку—всѣма удовлетворительнымъ, по Персидской литературѣ, Исторіи Персіи и Общему курсу исторіи Востока—удовлетворительнымъ.

Посему, на основаніи ст. 81 общаго устава ИМПЕРАТОРСКИХЪ Россійскихъ университетовъ 23 Августа 1884 года, князь Иванъ Джаваховъ, въ засѣданіи испытательной комисіи Восточныхъ языковъ 20 Маѣ 1899 года, удостоенъ диплома первой степени со всѣми правами и преимуществами, поименованными въ ст. 92 устава и въ V п. ВЫСОЧАЙШЕ утверждѣннаго въ 23 день Августа 1884 года мнѣнія Государственнаго Совѣта. Въ удостовѣреніе сего и данъ этотъ дипломъ князю Ивану Джавахову, за надлежащею подписью и съ приложеніемъ печати Управленія С.-Петербургскаго учебнаго округа. Городъ С.-Петербургъ, Августъ 1899 года.



Испечатавъ С.-Петербургскаго учебнаго округа

Губернаторъ Иванъ Н. Соколовъ

Предъявитель испытательной комисіи Восточныхъ языковъ

Иванъ Джаваховъ

Приниматель Канцелярїи

С. С. Смирновъ

პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ივანე ჯავახიშვილი და მისი დიპლომი





პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ქართველები. სხედან (მარჯვნიდან): ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. დგანან: ივანე ნიჭარაძე და გიორგი (გოგლო) ყაზახაშვილი

И. Н. П.
ИМПЕРАТОРСКІЙ
С.-ПЕТЕРБУРГСКІЙ
УНИВЕРСИТЕТЪ.
ДЪСЪА ИЖЪ
ФІЛОЛОГІА
Восточныхъ языковъ.
22 Мая 1899 г.

Его Превосходительству Г. и. д. Ректора ИМПЕРАТОРСКАГО СПЕбургскаго Университета.

ქართველთა კურსდამთავრებული ქართველები. სხედან (მარჯვნიდან): ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. დგანან: ივანე ნიჭარაძე და გიორგი (გოგლო) ყაზახაშვილი

№ 79

Факультетъ Восточныхъ Языковъ имѣетъ честь ходатайствовать объ оставленіи окончившаго курсъ по армяно-грузинскому отдѣлу съ дипломомъ первой степени Кн. Ивана Жвахова при Университетѣ для подготовленія къ посевсорскому званию по кафедрѣ армянской словесности / по армяно-грузинскому отдѣлу / съ 1 Іюня сего года на два года ^{безъ отчисленія} и о продолженіи оного получаской имѣ степеней и Министеротва Народнаго Просвѣщенія по 1 Января 1900г. По отзыву спеціалиста, пр. доц. Марра, Жваховъ, оказавшій отличныя усилія въ армянскомъ языкѣ, въ то-же время неоднократно имѣлъ случаи показатъ осведомленность въ области грузиновѣдѣнія и горячее стремленіе выработать строго-на-

учное отношеніе къ вопросамъ арменистики. Работа Жвахова, награжденная въ текущемъ году золотомъ медалію, служить яркимъ образчикомъ его яснаго критическаго ума и умѣнія обладаться въ научныхъ вопросахъ безъ національныхъ предрасудковъ. Русскимъ языкомъ онъ владѣетъ въ совершенствѣ. Въ теченіе четырехлѣтняго курса Жваховъ слушалъ также лекціи по филологическому факультету, въ частности по исторіи искусствъ, занимался сирійскимъ языкомъ и старался пополнить свое ориентальное и общее образованіе чтеніемъ рекомендуемыхъ на лекціяхъ книгъ.

И. д. Декана *В. Смирновъ*
Секретарь *А. Мухоморовъ*

წიგნი უკვე მისულია და 1 წლის - სიძინა. სურათი უკვე მისულია და 1 წლის - სიძინა. წიგნი უკვე მისულია და 1 წლის - სიძინა.
ბუკალი

წიგნი უკვე მისულია და 1 წლის - სიძინა. სურათი უკვე მისულია და 1 წლის - სიძინა. წიგნი უკვე მისულია და 1 წლის - სიძინა.

ადმოსველურ ენათა ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობა ივანე ჯავახიშვილის საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვების შესახებ (1899 წლის 22 მაისი)

Во Превосходительству Господицу Ректору
Императорскаго Спетербургскаго Университета

41



Прив.-доц. кн. М. А. Шаваловъ

Прошение.

14 ноября текущаго года безвременно скончался почитаемый брат
Мин, оставленный при Спетербургскомъ Университетѣ по кафедрѣ фи-
зики права, кн. Давидъ Александровичъ Шаваловъ.
Подвѣщенный страшный несчастный случай жестоко поразила
наго Мин, прошу Ваше Превосходительство разрешити Минѣ
отпускъ для того, чтобы перевести тело усопшаго брата на родину
для погребенія въ сел. Ховне Тур. Губ. и въ томъ и въ томъ
губ. погребенія въ сел. Ховне Тур. Губ. и въ томъ и въ томъ

Прив.-доц. кн. М. А. Шаваловъ.

16 ноября 1911 г.
Литинская 9, кв. 5.

პრიატ-დოცენტ ივანე ჯავახიშვილის განცხადება ძმის ცხედრის საქართველოში გადასასვენებლად შევებულებაში გაშვების შესახებ (დიდი მეცნიერის კალიგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში)

აირჩიეს და წლიურ ხელფასად განუსაზღვრეს 1.200 რუბლი ოქროთი. ეს თანამდებობა მას 14 წელიწადს ეკავა.

1908 წლის დასაწყისში, პრიატდოცენტ ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაფუძნდა ქართული სამეცნიერო წრე, რომლის წესდებაც უნივერსიტეტის საბჭომ იმავე წლის 3 მარტს დაამტკიცა. წესდების თანახმად, ქართული სამეცნიერო წრის მიზანს წარმოადგენდა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა.

1911 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის უმცროსი ძმა — დავით ჯავახიშვილი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დატოვეს საფინანსო სამართლის კათედრაზე სპროფესოროდ მოსამზადებლად.

პრიატდოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა რექტორის სახელზე დაწერა შემდეგი თხოვნა: „მის აღმატებულებას, პეტერბურგის საიმპერატორო

უნივერსიტეტის ბატონ რექტორს პრიატდოცენტ ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახოვის

თხოვნა

ამა წლის 14 ნოემბერს, ოპერაციის შემდეგ ნადრუვად გარდაიცვალა ჩემი ძმა, დავით ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, რომელიც დატოვებული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის საფინანსო სამართლის კათედრაზე.

უეცრად თავს დამტყდარი საშინელი უბედურებით დათრგუნული, ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, მომცეს შევებულება, რათა გარდაცვლილი ძმის ცხედარი გადავასვენო



ივანე ჯავახიშვილის მეუღლე ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი ჯავახიშვილისა



ივანე ჯავახიშვილის შვილები (მარცხნიდან): კახა, ალექსანდრე (ლალი) და ნათელა ჯავახიშვილები



კიბა აბაშიძე — ქართული პროფესიული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელი

სამშობლოში, თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ხოვლეში დასაკრძალავად“.

დიდი მეცნიერის ასული ნათელა ჯავახიშვილი (1908-1983) იგონებდა: „მე პეტერბურგში დავიბადე. იქ მამა, დედა და მე 1915 წლამდე მარტოები ვცხოვრობდით... მასხოსს, ხშირად მოდიოდნენ მამასთან იოსებ და დავით ყიფშიძეები, აკაკი შანიძე, იოსებ ანთაძე, ნიკოლოზოური. მე ძალიან მიყვარდა მათი შეკრებები, თუმცა, რასაკვირველია, მათი საუბრის შინაარსი ჩემთვის გაუგებარი იყო.

მამას დაწესებული ჰქონდა, რომ მერე აუცილებლად უნდა გამასპინძლებოდა და მაშინ მეც ვიღებდი მონაწილეობას... ვიცოდი, რომ მათ ქართულად უნდა ესაუბრათ და თუკი ვინმე წამოიწყებდა რუსულად ლაპარაკს, მე ვამბობდი: — „ქართულად, ბატონებო, ქართულად!“

როგორც შემდეგ მივხვდი, ეს შეკრებები ქართული სამეცნიერო წრის სემინარები იყო და ამიტომაც იყო აუცილებელი ქართულად მეტყველება... „უნივერსიტეტი საქართველოში“ — ხშირად გაისმოდა ამგვარი სიტყვები.

კვირაში ერთხელ სტუმრად მივდიოდით ნიკო მარის ოჯახში...

წელიწადში ორჯერ მოვდიოდით თბილისში. კარგად მასხოსს, რა სიხარული იყო პეტერბურგის სიმარტოვით თავმოებურებული მთელი ჩვენი ოჯახისთვის საქართველოში წამოსვლის დროის მოახლოება. უკანასკნელ წუთამდე მამას სულ საქმეები ჰქონდა ხოლმე და ყოველთვის ბოლოს დროს მივდიოდით სადგურში. დედა დელავდა, რომ დაგვაგვიანდებოდა. ბარგი ყოველთვის ბევრი გვქონდა, რადგან მარტო მამას წიგნები და სამუშაო 2-3 დაწნული კალათით (ჩემოდნის მსგავსი) მიგვქონდა ხოლმე. ამიტომ, სადგურზე ყოველთვის გვაცილებდნენ იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და ელენე ჩიჯავაძე — ბიძაჩემ დათას საცოლვე...

თბილისიდან პეტერბურგში წასვლას სამი-ვინი ძალიან განვიცდიდით. მე თუმცა პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად ვგრძნობდი, როგორ უძმიძლათ ჩემს მშობლებს ეს წუთები“.

1916 წლის 30 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი თავის ქვისლს, კიბა აბაშიძეს სწერდა:

„საყვარელო ძმაო კიბა!.. 1 ენკენისთვის ცივ რუსეთისაკენ გავემგზავრები... უკუღმარ-

თობაა, რომ ჩვენს ქვეყანაში საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი არა გვაქვს და დამპაღს და ცივს პეტერბურგის სიბნელეში უნდა ვისხედეთ... ჩვენი გული და გონება კი სამშობლო ქვეყნისა და ბუნებისაკენ მოიწვევდეს“.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი დარწმუნდა, რომ დადგა დრო ქართული უმაღლესი სასწავლებლის შექმნისა.

23 მარტს რუსეთის დედაქალაქში მყოფი ივ. ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს ატყობინებდა: „პოლიტიკური უფლებების აღდგენისთვის მეტად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება და ისიც ვინ იცის, მივიღებთ რამეს თუ არა?“

იმავ თვეში დიდი მეცნიერი თავის მეუღლეს სწერდა: „მოგილოცავთ ნიკოლოზის დამზობას. ნეტავი საბოლოო და მკვიდრი გამოდგეს ეს რევოლუცია... ახლა გაბედული მოქმედებებისა და პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედების დროა და თუ ჩვენმა ერმა საამისო ნიჭი და უნარი გამოიჩინა, მაშინ არა გეიჭირს რა“.

1917 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში დაბრუნდა.


აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების პატრიოტულად მოაზროვნე ნაწილის მსგავსად, ივანე ჯავახიშვილიც სკეპტიკურად იყო განწყობილი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ქართველი სოციალ-დემოკრატების (როგორც მენშევიკების, ასევე ბოლშევიკების) მიმართ.

საქართველოში დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილისთვის მეგობრებს უკითხავთ, თუ რა აზრისა იყო იმ ქართველების შესახებ, რომლებიც იმხანად მომხდარი „რუსეთის რევოლუციის პირველ რიგებში იდგნენ“.

ივანე ჯავახიშვილს წინასწარმეტყველურად უპასუხია, — ძვირად დაუჯდება საქართველოს მათი პამპულაობაო.

ვფიქრობთ, აღნიშნული მოვლენის ამაზე კვალიფიციურად და ლაკონურად შეფასება შეუძლებელია.

ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა ზრუნვას თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებისთვის, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ასეთია მოკლედ ივანე ჯავახიშვილის მოწა-



ნიკო მარტი — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი და მეგობარი

დიდი მეცნიერი უფროს შვილიშვილთან, ნათელა ჯავახიშვილის ასულ დალი გერსამიასთან ერთად (თბილისი, 1933 წელი)



ფეობისა და პეტერბურგში სწავლა-მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდი.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

ჰერცოგ დე მონტენაპოლის

საიდუმლო წერილები შამილზე

ნაპოლეონ-ოგიუსტ ლანი — ჰერცოგი მონტენაპოლი (1801-1874) — ნაპოლეონის გამოჩენილი მარშლის, ოგიუსტ ლანის ვაჟი იყო. ის ნაპოლეონ III-ის იმპერატორობის დროს დიდი ბონაპარტეს ვაჟმა (პოლონელი მარია ვალევსკასგან), საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ ვალევსკიმ რუსეთში ელჩად გაამწესა. ელჩი ხშირად ხვდებოდა ხოლმე იმ დროს პეტერბურგში მცხოვრებ შამილს და საინტერესო წერილების სახით, რომელსაც იგი თავის მინისტრს უგზავნიდა, საყურადღებო მოგონებები დაგვიტოვა.

ჰერცოგი მონტენაპოლი, საფრანგეთის ელჩი რუსეთში



შამილი: „ისევე, როგორც დროთა განმავლობაში თაფლიც კი მწარდება, უაზრო ხდება ომიც“

ჰერცოგ მონტენაპოლის პირველი წერილი 1859 წლის 14 ოქტომბრით თარიღდება:

„შამილის დამორჩილებით თავადმა ბარიატინსკიმ ბრწყინვალედ დაასრულა ვედენოს აღებით დაწყებული მიმდინარე კამპანია. რუსის ჯარებით გარშემორტყმული, მთიანი ადგილებიდან უკუგდებული შამილი იძულებული გახდა, ავართა მდინარე კოისუდან უკან დაეხია და თავის ერთგულ 400 მიურიდთან ერთად აულ ღუნიბში გამაგრებულიყო. ოცი კილომეტრის სიგრძის მაღალ პლატოზე განლაგებული ამ სოფლის ნაყოფიერი მიწები პატარა მდინარით ირწყვება. სოფელი მიუდგომელია, მხოლოდ ერთ ციცაბო ფერდობზე ადის ბილიკი.

იმამს უკვე დაჰკარგვოდა მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი, რადგან ხალხი დაღალა მისმა დესპოტიზმმა და მეტად აღარ სურდათ ამ უთანასწორო ომის გაგრძელება. რუსი მხედრობა დარწმუნებული იყო, რომ ახლა უკვე უნდა გადავიღებოდა მისი დამარცხება და შეუპოვრად დაიწყო პლატოზე შეტევა. შამილი იძულებული გახდა მოლა-

პარაკებები დაეწყო, რომლებიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. მალე გაირკვა, რომ შამილი დროს წელავდა, რასაც მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — დრო მოეგო მკაცრი ზამთრის დაწყებამდე, და რუსები, რომელთაც საჭმელ-სასმელი შემოაკლდებოდათ, იძულებული გახდებოდნენ თავის ბაზას დაბრუნებოდნენ. ამ უსარგებლო მოლაპარაკებების დასრულების მიზნით, თავადმა ბარიატინსკიმ შამილს ჩაბარება მოსთხოვა, რომელსაც სიცოცხლის გარანტიას აძლევდა. გარდა ამისა, თავადი შამილს ჰპირდებოდა მექაში გამგზავრებაზე ნებართვის მიცემასაც და 12 ათასი რუბლის პენსიას.

ამ ყველაფერზე უარის მიღების შემდგომ ბარიატინსკიმ გადაწყვიტა, წარმატებისთვის ძალის გამოყენებით მიეღწია. მან ერთ-ერთ ოფიცერს პლატოს მისადგომების შესწავლა უბრძანა.

მოწინააღმდეგის ბანაკში გადაადგილება შამილმა მოსალოდნელი ბრძოლებისთვის მზადებად მიიღო. ამიტომ მან მთელ ძალებს იმ ადგილას მოუყარა თავი, რომელიც

ყველაზე დაუცველად მიაჩნდა. ასევე იხმო მზვერავები და მათი სამკაცნიანი რაზმები პლატოს ირგვლივ განალაგა. ამასობაში რუსებმა პლატო რაკალში მოაქციეს. რამდენიმე რუსმა ჯარისკაცმა ზევით ასაძრომი ზვრელიც იპოვა და რადგან ახლომხლო მტერს თვალი ვერ მოჰკერეს, თოკისა და კაუჭების დახმარებით ზევით აძვრნენ. როცა მთიელებმა ისინი შეამჩნიეს და ბრძოლა გაუძართეს, პლატოზე უკვე სამ როტას (ასეულს) მოესწრო გამაგრება. თავადმა ბარიატინსკიმ მოულოდნელობის ეფექტი გამოიყენა. მან მოწინააღმდეგეს ძირითადი ძალებით შეუტია, რომლებიც ნაპოვნი ზვრელიდან მალა ავიდნენ. შეტაკება მხოლოდ ცვი იარაღით მიმდინარეობდა. 360-მა მიურიდმა ძვირად გაყიდა თავისი სიცოცხლე. რუსი ოფიცრები არ მალაუდნენ, რომ ამ ბრძოლაში, რომელიც უფრო ჩხვას წააგავდა, მათ 600-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს. ადამიანთა სისხლისგან მდინარე გაწითლებულიყო. წყალი იმდენად მოიწამლა, რომ სამი დღის განმავლობაში ცხენები ვერ სვამდნენ.

თავადი შეეცადა ბრძოლის შეჩერებას, რადგანაც ემინოდა, რომ შამილს ცოცხლად

ვერ შეიპყრობდა და საპატიო ტყვის ნაცვლად, ხელთ მართოდენ მსხვერპლი შერჩებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ გმირული სიკვდილით შამილის მიერ დაკავებულ ბელადის ადგილს ვაკანტურად აქცევდა. დატყვევების შემთხვევაში კი შამილი სიკვდილამდე შეინარჩუნებდა ამ ადგილს და რუსეთისთვის საშიში აღარ იქნებოდა. საჭირო იყო ბარიატინსკის ყოველნაირად აეცილებინა თავიდან ის, რაც მოხდა ყაზი მულახის შემთხვევაში (იგულისხმება ჩეჩნეთისა და დაღესტნის პირველი იმამი გაზი-მაგომედი (1794-1832), რომელმაც მთიელებს 1828 წელს ურწმუნოების, ანუ რუსების წინააღმდეგ წმინდა ომისკენ მოუწოდა. — ა.გ.), რომელიც მოკლეს გიუმრის აღებისას 1831 წელს და რომელიც დაუყოვნებლოდ შეცვალა მასზე გაცილებით საშიშმა მემკვიდრემ.

როცა ბრძოლები მიწყნარდა, თავადს მოახსენეს, რომ შამილი თავის დარჩენილ 40 უერთგულეს მებრძოლთან ერთად სახლში გამაგრდა. მას დანებება შესთავაზეს და მოსაფიქრებლად 24 საათი მისცეს. დღის ბოლოს იმამი მიურიდებთან ერთად ცხენზე ამხედრებული, იარაღასხმული გამოვიდა სახლიდან.

„აული ღუნბი დაღესტანში“. ფან აფაზოუსკი (1869 წელი)





იმაში შამილი



ღუნების შტურმი

გენერალი ვრანგელი მას მიუახლოვდა და დაარწმუნა, რომ არაფრის შიში არ უნდა ჰქონოდა, ოღონდ მთავარმართებელთან თანმხლებთა გარეშე უნდა მისულიყო. შამილი დათანხმდა, მაგრამ მიურიდები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ბელადს სიკვდილამდე არ მოსცილდებოდნენ, უარს იყვნენ. შამილმა ძლივს დაარწმუნა ისინი, თან არ გაჰყოლოდნენ.

შამილი თავად ბარიატინსკისთან იარაღით შეუშვეს. თავადი დაინტერესდა, რატომ არ ჩაბარდა ის რუსებს ადრე, როცა გაცილებით ღირსეულ პირობებს სთავაზობდნენ.

— მე ვალდებული ვიყავი, — უპასუხა შამილმა, — ჩემი მიზნისა და ჩემს მომხრეთა ინტერესების გათვალისწინებით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაგნებობდით, მხოლოდ მაშინ, როცა გამარჯვების ყოველგვარი შანსი ამოიწურებოდა. ახლა მე არჩევანში თავისუფალი ვარ. ისევე, როგორც დროთა განმავლობაში თაფლიც კი მწარდება, უაზრო ხდება ომიც.

შამილმა გაიმეორა თავისი თხოვნა, რომ მექაში გამგზავრების საშუალება მიეცათ, რაზეც თავადმა უპასუხა, რომ გვიანაა ამაზე ლაპარაკი, ახლა მისი ბედი მთლიანად იმპერატორის ხელთაა, რომელსაც შამილს მიჰგვირან. ბარიატინსკიმ დასძინა, რომ შამილს დაუტოვებენ ოჯახს, იარაღსა და მის ხაზინას, დაახლოებით 300 ათას რუბლს.

ასე დასრულდა შამილის ბატონობა, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში რუსულ არმიას წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას. მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს შამილი მთელ ამ მთიან ქედზე ბატონობდა. სინამდვილეში შამილის ხელისუფლება არ გაგრძელებულა სამხედრო გზის იმ მხარეს, რომელიც ვლადიკავკასის თბილისთან აერთებს. მისი გავლენა და მისი ხელისუფლება არ გაცდენია დაღესტანსა და ჩეჩნეთს. წმინდა ომი რომ მოეგო, მან რელიგიური, პოლიტიკური და ტერორისტული მეთოდები გააერთიანა და აღმოსავლეთ კავკასიის მანამდე ერთმანეთთან დაპირისპირებულ თემთა კონფედერაციის შექმნა შეძლო.

მოსახლეობის მუსლიმური სულისკვეთების ასამაღლებლად შამილი შეეცადა მათში სუფიზმის განმტკიცებას. სუფიზმი დოქტრინა კი არაა, რომელიც რაღაცას უმატებს ან ცვლის მუსლიმურ დოგმებს; ეს თავისებური რელიგიური ორდენია, დამყარებული ბერულ დისციპლინაზე, რომლის ბელადიც შამილი იყო მურშიდის სახელით, ხოლო მის უახლოეს ადამიანებს მიურიდები ეწოდებოდათ. ორწლიანი საცდელი ვადის გასვლის შემდეგ მათ იღებდნენ ბელადის დაცვაში და მის ერთგულებაზე ადებინებდნენ ფიცს.

მაგრამ მთიელები დაღალა მკაცრმა დოქტრინამ, რომელიც ძალით მოახვიეს თავს.



„იმაში შამილი მთავარსარდალ ბარიატინსკის წინაშე, 1859 წლის 25 აგვისტოს“. ალექსეი კიეშენკო (1880 წ.)

ახლა ისინი მგრძნობიარედ რეაგირებენ იმ დარტყმებზე, რომელსაც რუსეთიდან იღებდნენ. მათზე მოქმედებდა ასევე რუსი აგენტების ჩაგონებებიც, რომლებიც მორჩილებისკენ მოუწოდებდნენ. ამიტომ მათ თანდათან გაუცვივდათ გული შამილზე, რომლისთვისაც მართვის ყველაზე ეფექტიან საშუალებას მცირე დანაშაულისთვისაც კი სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა. იშვიათად როდი ხდებოდა, რომ ერთი დამნაშავეს გამო სოფელი დაურბევიათ და გადაუწვავთ.

რუსულ ჯარებს ხშირად დაუპყრიათ დაბლობები, შეუცვლიათ იქ შამილის მომხრე ხელისუფლება, მაგრამ მათ წასვლასთან ერთად წყდებოდა მათი გავლენაც. ახლა ამგვარი რამ აღარ განმეორდება და ამ რაიონებს რუსეთი ხელიდან აღარ გაუშვებს. იმპერატორმა ალექსანდრემ ბარიატინსკის ისეთი სახსრები გადასცა და ისე გაუხსნა ხელი სამოქმედოდ, რომელთა მსგავსიც აქამდე არც ერთ მის წინამორბედს არა ჰქონია და უნდა აღინიშნოს, რომ გენერალი ამას წარმატებით იყენებდა კიდევ. ამაზე მის მიერ მიღწეული შედეგები მეტყველებს. როგორც ჩანს, სამხედრო საშუალებებმა ამოწურეს თავისი შესაძლებლობები კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილთან

დაკავშირებით. ახლა რუსეთი თავის მცდელობას იმ მთიანი ადგილებისკენ მიაპყრობდა, რომლებიც შავი ზღვის პირას მდებარეობენ. და თუმცა მათი რელიეფი გაცილებით მეტ სიძნელეებს ჰქმნიან, ვიდრე კავკასიის ის ნაწილები, რომლებიც რუსეთმა დაიპყრო, მაგრამ პეტერბურგი იმედოვნებდა აქ მდებარე წერილი სამთავროების შედარებით იოლად დამორჩილებას“.

„შამილი იმპერატორთან იარაღით ვაჭარავს“

ფრანგი ელჩი კვლავაც ინტერესდებოდა შამილის ბედით. მას პეტერბურგში შამილთან შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობაც მიეცა. ამაზე ელჩი მოუთხრობს მინისტრს, გრაფ ვალევსკის. ეს წერილი 1859 წლის 20 ოქტომბრით თარიღდება:

„დატყვევებული შამილი სწრაფად მოაშორეს იმ ადგილებს, რომლებიც უწინდელ ბრძოლებს მოაგონებდნენ და გროზნოს ციხესიმაგრეში გადაიყვანეს. რუსები მას ამზადებდნენ იმპერატორთან შესახვედრად, რომელიც ამ დროს რუსეთის სამხრეთ რაიონებში მოგზაურობდა. იძულებითი მოგზაურობის დასაწყისში შამილს ეშინოდა,



იმპერატორი ალექსანდრე II

რუსებს ციმბირში არ გადაესახლებინათ. ეს საშინელი სიტყვა კარგად იყო ცნობილი მის მთებშიც, რასაც მისტიკური სახით მოაგონებდა კომპასი, რომელიც შამილს სულ თან დაჰქონდა. ამიტომ მას ძალიან გაუხარდა, როცა შეიტყო (კომპასით), რომ მათი გზა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ არ მიემართებოდა. იმპერატორს იგი ხარკოვის გუბერნიის ქალაქ ჩუგუევოში შეახვედრეს. შამილს პატი-

ვი დასდეს და მასთან იარაღით შეუშვეს. ამან გაამხნევა შამილი, რომელსაც ეგონა, რომ ამ შეზღვედრის შემდეგ დასჯიდნენ. იმპერატორის შეკითხვაზე, რა რესურსებს ფლობდა ბოლო ხანებში, შამილმა უპასუხა, რომ მისი ხელი-სუფლება დასასრულისკენ მიდიოდა, მუდმივად წარმოქმნილი სიძნელებები მას ბრძოლის გაგრძელების საშუალებას უსპობდნენ და რომ ის გაცილებით ადრე თვად შეწყვეტდა წინააღმდეგობას, რომ სცოდნოდა, რა ძალას ფლობდა ქვეყანა, რომლის ნაწილის ხილვის საშუალებაც ამჯერად მიეცა.

მისმა უდიდებულესობამ განაცხადა, რომ მას საშუალებას მისცემს, საკუთარი თვალით იხილოს მოსკოვი და პეტერბურგი, შემდეგ მას წაიყვანენ კალუგაში, სადაც მიუჩენენ რეზიდენციას და მისცემენ პენსიას 12 ათასი რუბლის ოდენობით. მის ვაჟს ექნება საშუალება, კავკასიაში დაბრუნდეს და შამილს თავისი ოჯახი ჩაუყვანოს...

ხარკოვში მეჯლისზე შამილმა პირველად იხილა ერთ-ერთი ევროპული ხასიათის შეკრება. როცა დარბაზში შევიდა, იგი გაჩერდა, ლოცვა წაიკითხა და უკან გაბრუნება მოინდომა. მას შენიშვნა მისცეს, რომ ჩვენთან არ შეიძლება უკან გაბრუნება მანამდე, ვიდრე ამას იმპერატორი არ ინებებსო. შამილი დათანხმდა დარჩენას. ირგვლივ შეკრებილ ქალბატონებს მან ფილოსოფიური სევდით მიმართა: „მე ბედნიერი ვარ ახლა, რადგან ვმისობ, ჩვენ ვერ შევხვდებით სამოთხეში.“



შამილის დატყვევების ადგილი

თქვენ აქ გაქვთ ის ყველაფერი, რასაც წინასწარმეტყველი ჩვენ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გვპირდება“.

შემდგომ მონტენებლო თავის შებვედრასა და შამილთან საუბარს აღწერს.

„მისი პეტერბურგში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში მომეცა მასთან შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობა. იგი მაღალი, წყნარი და ღირსებით აღვსილი მამაკაცია. მისი სახე გამოხატავს ინტელექტს, ენერჯიასა და შეურყეველ სიმტკიცეს. მისი ქცევის მანერები და აზრების გადმოცემის ხასიათი გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს ადამიანთან, რომლისთვისაც ნათელია მისი ბედისწერის აღსასრული. ყალბი ფატალიზმის გარეშე იგი წყნარად უდგება თავისი მოვალეობის აღსრულებას, ისევე როგორც ღირსეულ მარცხს. ის ლაპარაკობს არაბულად... და იმ ენაზე, რომელიც საერთოა დაღესტნისთვის, ლეკეთისა და ჩეჩნეთისთვის... შორს არის იმისგან, გამოავლინოს აღმოსავლელთათვის დამახასიათებელი გულგრილობა ცივილიზაციის მონაპოვართა მიმართ, შამილი შემთხვევას არ უშვებს, რაღაც ახალი დაინახოს და ისწავლოს, უსმენს და იძლევა კითხვებს, რომლებიც მის სიბრძნეზე მეტყველებს და რაც ხიბლავს მის მოსაუბრეთ (შამილის მახვილგონიერებაზე მეტყველებს ერთი შემთხვევაც: ერთ-ერთი წვეულების დროს შამილს დაუმთქნარებია. ეს ახლო მყოფ რუსს შეუნიშნავს და თანხლები ქალისთვის უთქვამს: არ გადაგველაპოსო. შამილს გაუგია და მის პასუხსაც არ დაუყოვნებია: ნუ გეშინია, მუსლიმი ვარ და ღორის ხორცს არ გეახლებითო. — ა. გ.).

დარწმუნებული ვარ, შამილი კარგად ერკვევა ევროპის სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდობაში. მას კარგად ესმის განუყრელობა ორ სახელს — საფრანგეთსა და ნაპოლეონს შორის. მე ვკითხე მას, იცის თუ არა, რომ საფრანგეთი და რუსეთი დღეს რომ ასე მჭიდროდ არიან დაკავშირებული, მცირე ხნის წინ ერთმანეთს ებრძოდნენ და რატომ არ გამოიყენა მან ეს მდგომარეობა. მან მიპასუხა, რომ იცოდა სევასტოპოლის ალყის თაობაზე, რომ რუსების მტრები იმ დროს ემისრებს აგზავნიდნენ კავკასიაში, თუმცა არც ერთი მათგანი არც მასთან მისულა, არც მის მოკავშირეებთან. ისინი შავი ზღვის პირას ტრიალებდნენ და იქაურ მთიელთა



შამილმა და მისი შვილებმა ვაზიმუჰამადმა (მარცხნივ) და მუჰამადშაფიმ (მარჯვნივ) რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს

ბელადებს უკავშირდებოდნენ, რომლებზეც შამილს გავლენა არ ჰქონია...

იმამმა რამდენიმე კითხვით მომმართა, რომლებიც აბდ-ელ-კადერს ეხებოდა (ალჟირის ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ლიდერი, რომელიც 1832-47 წლებში მიმდინარეობდა. მისმა ჯარებმა არაერთგზის მოიპოვეს გამარჯვება ფრანგთა ჯარებზე. აჯანყების ჩახშობის შემდეგ 1847 წელს იგი ტყვედ ჩაიგდეს და საფრანგეთში გაგზავნეს, სადაც 1852 წელს გაათავისუფლეს. სიცოცხლის ბოლომდე დამასკოში ცხოვრობდა. — ა. გ.). რაც შეეხება თვად მას, მან მითხრა, რომ ერთ დროს მისი დროშის ქვეშ 50 ათას კაცზე მეტი იდგა. შამილი უკანასკნელი საშიში მოწინააღმდეგეა რუსეთისა ამ მხარეში. ამიერიდან რუსეთს საბოლოოდ უპყრია ხელთ



ნიკო ფიროსმანი. „შეთუ ემბარება თავად ბარიატინსკის შამილის დაჭერაში“

მცირე აზიის გასაღები. მას შეუძლია თავისი არმია გადაისროლოს თურქეთსა და ირანს შორის საზღვარზე და თავისუფლად იმოქმედოს იქ, სადაც ვეროპელ არმიებს ხელი არ მიუწვდებათ“.

* * *

შამილის შემდგომი ბედი ყველასთვის ცნობილია. როგორც ჩანს, ნაპოლეონ III-ის კეთილშობილურმა მოპყრობამ დატყვევებულ აბდ-ელ-კასირისადმი გავლენა იქონია ალექსანდრე II-ზე. შამილს ღირსეულად ექცეოდნენ. შემდეგ, რაც შამილმა და მისმა ვაჟებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, იმპერატორმა დააკმაყოფილა იმამის თხოვნა მექასა და მედინაში მოსალოცად გამგზავრების თაობაზე. მისი ერთ-ერთი ვაჟი რუსი ოფიცერი გახდა, ხოლო მეორემ ფიცი დაარღვია და თურქეთში გაიქცა. სულთანმა მას გენერლობა უბოძა, შემდგომ კი იგი რუსეთ-თურქეთის ომშიც მონაწილეობდა.

რაც შეეხება პერცოგ მონტენებლოს, ის შამილის შემდეგაც დიდი ინტერესით აკვირდებოდა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს. ფრანგ ელჩს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მოკლე ხანში დასავლეთ კავკასიაც გაიზიარებდა აღმოსავლეთის ბედს და რუსეთის მპყრობელობაში გადავიდოდა. პარიზში გაგზავნილ თავის წერილებში იგი მიუთითებს, რომ აქ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა უკვე სხვა ტაქტიკას იყენებს — სამხედრო მეთოდებთან ერთად მოსახლეობას არწმუნებს, „თეთრი ხელმწიფის“ ბატონობა აღიაროს. ასეთი ტაქტიკის ინიციატორად და გამტარებლად მონტენებლო ბარიატინსკის მიიჩნევდა და ყოველმხრივ უწონებდა ამგვარ ქმედებებს. აი, ნაწყვეტი მისი 1859 წლის 29 დეკემბერს პარიზში გაგზავნილი წერილიდან:

„ზოგს მიაჩნია, რომ თავადი ბარიატინსკი მხოლოდ დათმობაზე წავიდა ამ ხალხთან, რასაც ჯიუტად და უაზროდ ეწინააღმდეგებოდა იმპერატორი ნიკოლოზი. იმასაც ამტკიცებენ, რომ რუსული იარაღის პრესტიჟი თანაბარი არ ყოფილა დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიაში. ეს თუნდაც მართალი იყოს, ბარიატინსკიმ (მნიშვნელობა არ აქვს, ბრძოლებითა თუ მოლაპარაკებებით) მიაღწია წარმატებებს, რომელსაც რუსეთი ამაოდ ესწრაფვოდა 30 წლის განმავლობაში და მისი მადლიერი უნდა ვიყოთ, რომ სხვა გენერლებისგან განსხვავებით, არ იბრძოდა მაშინ, როცა მოლაპარაკებები უნდა გაემართა იმ ხალხებთან, რომლებიც ახლახან დაიპყრეს. შავ ზღვამდე ჯერ კიდევ რჩება ძნელად მისადგომი დამოუკიდებელი ტერიტორიები, რომლებიც მებრძოლი ხალხითაა დასახლებული. ვფიქრობ, მათ მიმართ იმოქმედებენ უფრო პოლიტიკური, ვიდრე სამხედრო მეთოდებით“.

პოლიტიკური მეთოდების რა მოგახსენოთ, თუ აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობას რუსეთმა 42 წელიწადი მოანდომა, ბარიატინსკიმ მხოლოდ ხუთი წელიწადი (1859-1864) შესწირა დასავლეთ კავკასიის დამორჩილებას. კავკასიური ომების სიმბოლურ თარიღად მიჩნეულია 1864 წლის 21 მაისი, როცა რუსის ჯარმა აიღო ჩერქეზული აული კბაადა — ამჟამად კრასნაია პოლიანა, 2014 წლის ოლიმპიური თამაშების ადგილი...

*მომზადა
ამბროსი გრიშაკაშვილმა*

TIME

მე-20 საუკუნე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად, თვეში ორჯერ



შეაბროვე 16 წიგნად

ლეგენდარული ჟურნალის მიერ „ცხელ კვალზე“ მოპოვებული მასალები დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები

და შეეხე აპოქას!

10 მარტიდან

მსოფლიო ბესტსელერი!

წიგნი პირველი
დიდი ომიდან
დიდ ლეკრისიამდე

შემოღები წიგნი
ფაშიზმი

წიგნის ფასი: **7 ლ**

გაზეთთან ერთად: **8 ლ**



ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია • ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

უნიკალური ნივთები სტალინის მუზეუმში



ინდოეთიდან სტალინისთვის გამოგზავნილი ბრინჯის მარცვალი
სპეციალურ კოლოფში ინახება. ნიღო გმპმმის ფოტოები

ფოტომესპურსია, ნაწილი III

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№1-2 (37-38))

იარაღი

სამწუხაროდ, სტალინისთვის მიროთმეული მრავალი სახის ძვირფასი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ნიმუშებიდან მუზეუმს გადაეცა მხოლოდ ერთი ვგზემპლარი — ვერცხლით

მოსევადებული ხმალი წარწერით: „პირველი ცხენოსანი არმიისგან მის შემქმნელს — იოსებ სტალინს. 1919 წ.“. მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ ისტორიკოსები სტალინს არ მიიჩნევენ პირველი ცხენოსანი არმიის შემქმნელად.



სტალინისთვის მიროთმეული იარაღის ნიმუშებიდან მუზეუმს გადაეცა მხოლოდ ერთი ვგზემპლარი — წარწერით, ვერცხლით მოსევადებული ხმალი

უნიკალური ნივთები

გორის მუზეუმის სტალინის საჩუქრების კოლექცია უნიკალური ნივთებისგან შედგება, მაგრამ მათ შორისაცაა გამორჩეული და იშვიათი ნამუშევრები. ესენია: ინდური ბრინჯის მარცვალი, ურალში დამზადებული ლამპა, ქვიშის პორტრეტი უკრაინიდან და თამბაქოს ფურცლებით შექმნილი სურათი რუმინეთიდან.

1979 წელს მოსკოვის რევოლუციის ცენტრალურმა მუზეუმმა (ამჟამად რუსეთის თანამედროვე ისტორიის მუზეუმი) გორის მუზეუმის თანამშრომლებს გადასცა ბრინჯის მარცვალი, რომელიც სტალინს 1939 წელს გამოუგზავნეს ინდოეთიდან, ქალაქ დელის დერულფალაქის მუზეუმიდან. მარცვალზე გაკეთებულია ინგლისურენოვანი წარწერა 382 ბეჭდური ნიშნით. წარწერა ასე ითარგმნება: „ო, უფალო, მიანიჭე საბჭოთა კავშირში უსაყვარლეს და სახელოვან ი. ბ. სტალინს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდივანს — ხანგრძლივი და ძლევამოსილი სიცოცხლე, წარმატებითა და ბედნიერებით სავსე. დაე, იყვნენ მისი მეგობრები და თანამებრძოლები სანდონი და ერთგულნი მისი და მისი საქმისა, რომელსაც ის ეწევა თავისი ხალხის სასარგებლოდ. დაე, საბჭოთა კავშირის მტრები დანებდნენ და თაყვანი სცენ მის პროგრესულ ზრახვებს. ო, უფალო, გაამრავლე მისი გამარჯვებები“.

ქვიშის პორტრეტი

უნიკალურ ექსპონატად მიიჩნევა თვითნასწავლი უკრაინელი მხატვრის, დიმიტრი



პორტრეტი ფერადი ქვიშისგან. უკრაინა. ავტორი დიმიტრი დანილიშინი

დანილიშინის მიერ სხვადასხვა ფერის ქვიშისგან შექმნილი სტალინის პორტრეტი. ავტორს ეკუთვნის ოგალური ვერცხლისფერი ჩარჩოც, რომელიც ვარსკვლავითა და ხორბლის თავთავებითაა გაფორმებული. მხატვარს მხოლოდ ექვსი კლასის განათლება მიუღია. მაგრამ კიევში კიევო-პეჩორის ლავრაში გამო-



მოსკოვში, კრემლის იარაღის პალატაში ინახება სტალინისთვის ნაჩუქარი ეს პისტოლეტი



სამჯერ გაჩუქებული ლამაზი

ფენილია მისი არაჩვეულებრივი ნამუშევრები. მათ შორის ვარდი — ადამიანის თმის ღერში (ვარდის დანახვა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება).

სამჯერ გაჩუქებული ლამაზი

ეს ექსპონატი ყოველთვის იწვევდა სტალინის მუზეუმის დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ინტერესს და მისი ისტორიაც შთამბეჭდვია. სამაგიდო ლამპის სადგამზე მოთავსებულია საფერფლე, ასანთის ჩასადები, კოლოფი სიგარეტებისთვის და პატარა შავი ბორცვი, რომელშიც ჩამონტაჟებულია რადიომიმღები და საათი. ბორცვზე აღმართულია ტანკის — „იოსებ სტალინის“ ოქროსფერი მაკეტი, რომელიც მუხლუხებით მუსრავს ფამისტურ არწივს სვასტიკით. ბორცვზე წარწერაა: „1945 წლის 9 მაისი“.

ეს ორიგინალური ნივთი სტალინისთვის დაამზადეს ჩელიაბინსკის სატანკო ქარხნის კონსტრუქტორებმა და გამომცდლებმა და საჩუქრად გამოუგზავნეს დაბადების დღეზე 1945 წლის 21 დეკემბერს. იმ დღეს ბერლინიდან დაბრუნდა მარშალი გიორგი ჟუკოვი, რომელიც სტალინთან მივიდა დაბადების დღის მისალოცად. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის თვითონაც მოეწონა საჩუქარი, მან შეამჩნია, რომ სტუმარი აღტაცებული იყო ამ ნამუშევრით, და მას სიურპრიზი მოუწყო. ერთი საათის შემდეგ, როცა ჟუკოვი შინ

მუზეუმის ცენტრალური ჭაღი



დაბრუნდა, ლამპა ტანკით ქუკოვის სამუშაო კაბინეტში მაგიდაზე იდგა. მარშალი დიდხანს ინახავდა სტალინის ლამპას და 1969 წელს, ზუსტად 24 წლის შემდეგ, ეს რელიკვია გორის მუზეუმს გამოუგზავნა. ლამპა და გიორგი ქუკოვის წერილი გორში ჩამოიტანა ფოტოკორესპონდენტმა იური მაღალაშვილმა.

მუზეუმის სარეზერვუარი

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სტალინის მუზეუმი დღემდე იღებს საინტერესო საჩუქრებს, რომელთა ნაწილიც მუდმივ ექსპონიციამია. მაგალითად, ირაკლი თოიძის ნახატის მიხედვით მომზადებული ინტარსია (ავტორი ჩხეიძე), რომელიც მუზეუმს 1979 წელს სტალინის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცა. ამავე პერიოდში კულტურის სამინისტრომ მუზეუმისთვის შეიძინა თბილისში დამზადებული ავსტრიული ბროლის ჭადი.

ინგლისის მუზეუმის სარეზერვუარი

ქალაქ ვოლგოგრადში (1925 წლიდან 1961 წლამდე — სტალინგრადი) არსებობს გრანდიოზული მუზეუმი-პანორამა, რომლის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს არაჩვეულებრივი წითელი ფერის ორლესული მახვილი. 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1-ელ დეკემბრამდე ირანში, თეირანში გაიმართა დიდი სამეულის — სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის პირველი შეხვედრა. 29 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა სტალინს გადასცა დიდი ბრიტანეთის მეფის, გეორგ VI-ის მიერ გამოგზავნილი მახვილი. აშშ-ის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის შვილი წიგნში „მისი თვალებით“ მოგვითხრობს, რომ ეს საპატიო მახვილი დამზადებული იყო თვით მისი უდიდებულესობის მიერ მოწონებული და შერჩეული ნახატის მიხედვით ინგლისელი ოსტატების მიერ, რომელთა წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ მახვილებს. მახვილზე ამოტვიფრული იყო წარწერა: „მეფე გეორგ VI-ის საჩუქარი ადამიანებს, რომელთაც ფოლადის გულები აქვთ — სტალინგრადის მოქალაქეებს ინგლისელი ხალხისგან დიდი აღტაცების ნიშნად“. ჩერჩილმა მახვილი გადასცა მარშალ სტალინს, რომელმაც მახვილი ტუჩებთან მიიტანა, მახვილის ვადას ეამბორა და ჩერჩილს მადლობა



ირაკლი თოიძის ნახატის მიხედვით მომზადებული ინტარსია (ავტორი ჩხეიძე)

სურათი თამბაქოს ფურცლებიდან





ინგლისის მეფის ნაჩუქარი ხმალი და მისი დაბოლოება ახლო პლანი



გადაუხადა. ელიოტ რუხველტის სიტყვებით, იმპერიის მეთაურმა ეს მახვილი გამოუგზავნა თავისი პრემიერ-მინისტრის ხელით მეწადის შვილს — პროლეტარიატის დიქტატურის ბელადს.

გამოფენების ისტორია

1949 წელი სტალინის ცხოვრებაში გამორჩეული იყო. 21 დეკემბერს მას 70 წელი შეუსრულდა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ როგორც ცნობილი, ასევე უბრალო ადამიანები, რათა სტალინისთვის იუბილე მიელოცათ და საჩუქრები გადაეცათ. მრავალი ნივთი კი მან ფოსტით მიიღო. მოსკოვში მიულოცეს მას

იუბილე მორის ტორეზმა, მათ ძე ღუნმა, ტოლიატიმ და სხვა კომუნისტურმა ლიდერებმა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მთელი მსოფლიო მხოლოდ იმით იყო დაკავებული, როგორი გამორჩეული საჩუქრით მიელოცათ იუბილე სტალინისთვის. ძალიან ბევრი საჩუქარი სტალინის ბრძანებით მოსკოვის მუზეუმებში გამოიფინა. მხოლოდ პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში გამოიფინა 17 დარბაზი დაეთმო. წითელი ხავერდის ფონზე ნამდვილი საგანძური გამოიფინა. ყურადღებას იპყრობდა როგორც ძვირფასი ნივთები, ასევე გამოყენებითი ხელოვნების შედეგები. მათ შორის 800-ზე მეტი უნიკალური ხალიჩა.

გამოიფინა კურიოზებიც ახლდა. სტალინმა არ მოინდომა მისთვის მიძღვნილი გამოფენის ხილვა, რადგან მისმა შვილებმა ვასილიმ და სვეტლანამ მუზეუმში ნახეს მარმარილოს, ბრინჯაოსა და გრანიტის სტალინის 250 ფიგურა, 500-მდე ბიუსტი და მათ შორის 150 — ერთნაირი. საჩუქარი მატერიალური კულტურის უცნაური ფენომენია. უჩვეულო და ორანჯოვანი იყო რუსი დეკაბრისტ ივან ანენკოვის შვილიშვილის მიერ სტალინისთვის მიღებული სამაჯური, რომელიც ბაბუის ბორკილებით იყო დამზადებული. ერთმა ქალმა სტალინს გამოუგზავნა ყველაზე ძვირფასი ნივთი, რაც ჰქონდა. ეს იყო ფაშისტების მიერ დახვრეტილი მისი გოგონას ქული. საჩუქრებს შორის იყო საფრანგეთიდან გამოგზავნილი ვერცხლის „მშვიდობის მტრედი“ წიგნით, რომელშიც 2 მილიონმა ფრანგმა ქალმა მოაწერა ხელი. საინტერესო იყო ავსტრიიდან გამოგზავნილი საწერი მაგიდა საიდუმლო მექანიზმით, რომლიდანაც გრაფინი და ჭიქები ამოდიოდა. რუსმა სამხედროებმა სტალინს აჩუქეს სხვადასხვა კალიბრის ვაზნებისგან დამზადებული საწერი მოწყობილობა. ასევე ორიგინალური იყო ბელორუსიაში 2 ათასი ბუმბულისგან შექმნილი სტალინის პორტრეტი.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ უნიკალური კოლექციები იმავე მუზეუმების ფონდებში აღმოჩნდა, სადაც გამოფენილი იყო, ხოლო ნივთები ძვირფასი ქვებითა და ლითონით — ძირითადად იარაღი, კრემლის იარაღის პალატას გადაეცა. წლების განმავლობაში საგანძური მუზეუმების თანამშრომლების გარდა

არაგის უნახავს. სწორედ ამიტომ საჩუქრების ნაწილი საქართველოში, გორის მუზეუმში გამოაგზავნეს (ძირითადად 1958 წელს), სადაც მათი გამოფენა შეიძლებოდა. რუსეთში სტალინის საჩუქრებისა და ნივთების ჩვენება 2006 წლიდან დაიწყო. თუმცა დროებით გამოფენებზე მხოლოდ მათი მცირე ნაწილი მოხვდა. საჩუქრებისადმი ინტერესს არა მარტო რუსი ეროვნებისა და სტალინისადმი კეთილგანწყობილი ადამიანები იჩენენ, არამედ ისინიც, ვისაც უკვირთ, რატომ ცდილობდნენ მათი ქვეყნების ხელმძღვანელები ან უბრალო მოქალაქეები, სტალინისთვის რაღაც განსაკუთრებული საჩუქარი მიეძღვნათ.

შეუძლებელია ერთ წერილში მოგითხროთ ყველა ნივთზე, რომელიც მუზეუმში ინახება. მაგრამ მკითხველებს ალბათ შეექმნათ წარმოდგენა სტალინის მუზეუმის კოლექციებზე.

სტალინის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო, მისი მუზეუმის დამთვალიერებლებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ტურისტებისთვის, რომელთა დრო შეზღუდულია, სტალინის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება, თუმცა მუზეუმის ექსპოზიციით უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილი რჩებიან. გარდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტებისა, მუზეუმი მასპინძლობს უამრავ ოფიციალურ სტუმარს, კინო- და ტელეგადაღებებ ჯგუფებს, ჟურნალისტებს, ისტორიკოსებს, პოლიტიკოსებს, მწერლებს, სტუდენტებს. 2012



მოზაიკა მუზეუმის ვესტიბიულში

წელს მუზეუმი დაათვალიერა 32 ათასამდე ვიზიტორმა, ხოლო 2013 წელს ეს რიცხვი 11 ათასით გაიზარდა.

ლარისა გაჯაშვილი

სტალინის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემების სპეციალისტი



ერთ-ერთი სავამოფენო დარბაზი. გობა ჩანაღირის ფოტო

ერთი ეთნოსი და ორი ხალხი



იალბუზი ვარაჩისა და
ბალყარეთს შუაზე ჰყოფს...

ყარაჩაელებისა და ბალყართა წინაპრები ყივრალეებიც ყოფილან და... სვანეებიც

ძირძველ კავკასიურ ეთნოსებთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში თურქულენოვანი ხალხებიც მკვიდრობენ, მათ შორის ყარაჩაელები და მათი უახლოესი მონათესავე ბალყარები. ყარაჩაული ენა ალათაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ყივჩაღურ ქვეჯგუფს განეკუთვნება. ყარაჩაელები და ბალყარები იალბუზის გარშემო მკვიდრობენ. ეს მთა თითქმის ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთი ნაწილი ყარაჩაელებს უკავიათ, აღმოსავლეთი — ბალყარებს.

მკვლევართა აზრით, ბალყარეთისა და ყარაჩაის მოსახლეობის 20-30% ქართული წარმომავლობისაა (სვანეთიდან გადასახლებულნი). ისტორიულად არც ერთ ყარაჩაელსა და ბალყარს საქართველოს წინააღმდეგ ომებში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო იქაურ საგვარეულოთა ერთი ნაწილი თავს დღესაც ქართველთა შთამომავლად მიიჩნევს და საქართველოსთან დიდი სიყვარული აკავშირებთ.

თაშულები და ბასიანები

ყარაჩაელები და ბალყარები თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორიაზე — ბაქსანის ხეობაში ერთმანეთის გვარდიგვერდ ცხოვრობდნენ. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ყარაჩაელები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ყუბანის სათავესა და თებერდის აუზში გა-

დასახლდნენ. ამიტომაც დღეს ყარაჩაელები ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ხოლო ბალყარები — ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკებში აღმოჩნდნენ.

ახლანდელ რუსეთის ფედერაციაში ყარაჩაელთა რაოდენობამ 170 ათას კაცს გადააჭარბა, ცალკეული ჯგუფები ცხოვრობენ აგრეთვე შუა აზიაში, ყაზახეთში, თურქეთში, აშშ-ში (20 ათასი კაცი). ბალყართა რიცხვი კი შედარებით ნაკლებია. ყაბარდო-ბალყარეთში 104 ათასამდე ბალყარი მკვიდრობს.

ყარაჩაელებს დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე 1937 წლიდან აქვთ. შედარებით ადრე, 1924 წელს (თავდაპირველად ლათინურ, შემდეგ რუსულზე დაყრდნობით) შეიქმნა ბალყარული ანბანი.

ანთროპოლოგიური მონაცემებით, ყარა-

ჩაელთა და ყაბარდოელთა ფიზიკური ტიპი ევროპეიდული რასის მაღალმთიან კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნება.

ყარაჩაელთა თვისახელწოდებაა ყარაჩაილილა. ამას გარდა, ისინი ისევე როგორც ბალყარები, საკუთარ თავს თაულს (თულუს, თაულულს) უწოდებენ, რაც მათ ენაზე მთიელს აღნიშნავს. ყარაჩაი თურქული სახელია (ყარა — შავი, ჩაი — მდინარე), თუმცა ყარაჩაელთა გადმოცემით, ამ სახელს ისინი უკავშირებენ წინაპარს, წინამძღოლ — ყარჩას, რომელმაც თავისი ხალხი ყირიმიდან თუ ოქროს ურდოდან გამოიყვანა.

რუსულ წყაროებში ყარაჩაელები პირველად 1639-1640 წლებში მოიხსენიეს. ამავე პერიოდში მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ იტალიელი არქანჯელო ლამბერტი წერდა: „ლაპარაკობენ თურქულად, ოღონდ ძალიან სწრაფად“. 1743 წლის რუსულ დოკუმენტში კი ყუბანის სათავეში განსახლებულ „თათრულ ენაზე“ მოლაპარაკე ხალხს მოხსენიებულია ეთნონიმით ხარაჩაი. საყურადღებოა, რომ სამეგრელოს მკვიდრნი მათ ალანებს უწოდებდნენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ყარაჩაელთა განსახლების ადგილზე თავდაპირველად ირანული მოდგმის ალანებს უნდა ეცხოვრათ.

ქართულ წყაროებში ბალყარებს ბასიანის სახელით მოიხსენიებენ, ხოლო ბალყარები მთის თათრებად იწოდებოდნენ.

ყარაჩაელთა და ბალყართა წინაპრები —

ციფჩალები ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებსა და სამხრეთ უკრაინაში ბინადრობდნენ. XIII საუკუნის ავტორი იბნ ალ ასირი წერს მონღოლთა შემოსევების დროს (1223 წ.) ციფჩაელთა ნაწილის მთებში გაქცევაზე. სწორედ ამ დროს ხდება თურქულენოვანი მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლა, ბარში მცხოვრები თურქების მთიელებად ქცევა, მათი შერევა ადგილობრივ ირანულენოვან მოსახლეობასთან და მოსულთა მიერ დამხვდურთა ენობრივი ასიმილაცია.

ისტორიული პარალელები

ყარაჩაელები სამხრეთით ესაზღვრებიან აფხაზებსა და ქართველებს (სვანებს); აღმოსავლეთით იალბუზის მთა ყარაჩაელებს ბალყარალებისა და ყაბარდოელებისგან გამოჰყოფს, ჩრდილოეთითა და დასავლეთით ესაზღვრებიან ჩერქეზები, აბაზები და ნოღაელები. ყარაჩაელთა და ბალყართა დასახლებული პუნქტები ზღვის დონიდან 1500 მეტრზე და უფრო მაღლა მდებარეობს. რთული იყო ყარაჩაელთა ეთნოგენეზი, უფრო სწორად, რთული ის მეცნიერებისთვის აღმოჩნდა, რასაც მათი ეთნოგენეზის შესახებ თერთმეტი ჰიპოთეზის არსებობაც ადასტურებს. ყველაზე გავრცელებულია ორი შეხედულება: 1) ციფჩაურ-ალანური და 2) ციფჩაურ-ალანურ-კავკასიური.

ყარაჩაელთა და ბალყართა ეთნოგენეზში თუ არა, ეთნიკურ ისტორიაში მონაწილეობა



ყარაჩაელები



ბალყარები



ყარაჩაელთა
ეროვნული
სამოსი



ბალყარების
ეროვნული
სამოსი

მიუღიათ დაღესტნელებსა და ქართველებს (სვანებს). ცნობილია, რომ მათი განსახლების არეალის სამხრეთ მონაკვეთში სვანთა დასახლებები იყო. ყარაჩაელთა კავკასიონური ანთროპოლოგიური ტიპი მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ კავკასიაში შემოსულმა თურქულენოვანმა მოსახლეობამ მოახდინა აქ მცხოვრები სვანების ასიმილაცია. აღნიშნულის დამადასტურებლად მიიჩნევენ აგრეთვე ლექსიკურ მონაცემებს, ტოპონომიურ პარალელებს, ფოლკლორს, გვარების მონათესაობას, ბალყარეთის ტერიტორიაზე სვანური კომპების არსებობას. ყარაჩაიში არის გვარი „ეზხელერ“. ხოლო „ეზხე“ ქართველების (სვანების) აღმნიშვნელი ყარაჩაული სახელწოდებაა. აქვე მკვიდრობს ოთარლარის გვარი, რომლებიც ბალყარეთში დადემქელაინების ერთ-ერთი განშტოების შთამომავალნი არიან. საისტორიო დოკუმენტებში ყარაჩაელთა, ბალყართა და ქართველ მთიელთა — სვანთა ქორწინების ფაქტებიცაა დადასტურებული. მეცნიერები წერენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან მოსახლეობას შორის XVIII საუკუნის 40-იან წლებში კვლავ ისმოდა სვანური მეტყველება. დამკვირვებელთა ცნობით, XVIII საუკუნეში აქ მცხოვრებ სვანებს კვლავ იმერულად ეცვათ და, სხვათა შორის, ყარაჩაელებსა და ბალყარებს თითქმის ისეთივე ქუდები ეხურათ, როგორსაც ძველად სვანეთში ატარებდნენ. ამდენად, ყარაჩაელთა (და ბალყართა) ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა კავკასიურმა ეთნოსებმა და მოსულმა ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ტომებმა. ამათგან ირანულენოვანი ალანების მოსვლა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა თურქულენოვანი ყოფილების მიგრაციას.

ყარაჩაელები და ბალყარები, ფაქტობრივად, ერთი ხალხია, ერთი ეთნოსია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ საერთო თვითშეგნება არ აქვთ.

ყარაჩაელები სარწმუნოებით მუსლიმი სუნიტები არიან. მათ საკმაოდ გვიან (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) მიიღეს ისლამი, დიდი ხნის განმავლობაში წარმართები იყვნენ. დროდადრო ყარაჩაელთა ერთი ნაწილი ქრისტიანდებოდა.

ისლამის გავრცელების მიუხედავად, შემორჩენილი იყო არაერთი წინარე რწმენა-

წარმოდგენა. ყარაჩაელთა უმაღლესი ღვთაება იყო ტეირი/ტენგრი, რაც ცას აღნიშნავდა. ყარაჩაელებმა იცოდნენ ხეების, ქვის ლოდების თაყვანისცემა. ყველა გვარს თავისი სალოცავი ქვა ჰქონდა. სწამდათ მფარველი სულებისაც. ნადირობის ღვთაება იყო ფსატი, ცხვრების მფარველი — ათმუში, მდინარეში კი წყლის დედა ცხოვრობდა.

ბალყარეთის ისლამიზაცია XVII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, თუმცა კარგა ხანს ბალყართა რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანობის, ისლამისა და წარმართობის ნაზავს წარმოადგენდა. ისლამის გავრცელებას თან ახლდა წარმართული და ქრისტიანული ძეგლების განადგურება, თუმცა სოფელ ბიზინგის ახლოს მდებარე ეკლესიაში შემორჩენილი იყო წმინდა გიორგის გამოსახულება XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. ადგილობრივები ეთაყვანებოდნენ წმინდა ქვებსაც და წმინდა ხესაც, რომელსაც ტრადიციულ ღვებელს უცხოვდნენ.

ერთი უღლის კმე

XVI-XVIII საუკუნეებში ყარაჩაელები წინააღმდეგობას უწევდნენ ყირიმის ხანებს, ჰქონდათ ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ ერთეულებთან, დიდ ყაბარდოსთან. დამოკიდებული იყვნენ დიდ ყაბარდოზე, ჰგავდნენ მათ სოციალური სტრუქტურითა და კულტურულ-ყოფით წეს-ჩვეულებებით. 1828 წელს ყარაჩაელები საბოლოოდ შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. 1870-იან წლებში მთიელ ყარაჩაელთა ერთი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. 1920 წელს შეიქმნა ყარაჩაის ოკრუგი, 1922 წელს — ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, 1926 წელს — ყარაჩაის ავტონომიური ოლქი, რომელიც გაუქმდა 1943 წელს ყარაჩაელთა შუა აზიაში დეპორტაციის გამო. გადასახლებებში ყარაჩაელთა დაახლოებით მესამედი დაიღუპა. 1957 წელს ისინი სამშობლოში დააბრუნეს და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი აღდგა, ამჟამად რესპუბლიკა, დედაქალაქ ჩერკესკით.

ყარაჩაელთა ბედი გაიზიარეს ბალყარებმაც. ისინიც შუა აზიაში გადასახლეს, სადაც ბევრი მათგანი დაიღუპა, 1957 წელს კი უკან დაბრუნების ნება დართეს და ყაბარდო-ბალყარეთის ოლქიც აღდგა, ამჟამად რესპუბლიკა, დედაქალაქ ნალჩიკით.



ჩეგემის ჩანჩქერი



ამირხანის კოშკი ჩერკესის ხეობაში, მიტოვებულ აულში



აბაეების კოშკი

მშურნეობა

ყარაჩაელთა და ბალყართა მთავარი სამეურნეო საქმიანობა იყო მეცხოველეობა. ყარაჩაელები პირუტყვს ზაფხულში მთის საძოვრებზე მიერეკებოდნენ, ზამთარში კი ტყის ნაპირებზე, მთების სამხრეთ ფერდობებსა და დაბლობში აბალახებდნენ. უხეშმატყლიანთა შორის ყარაჩაული ჯიშის ცხვარი საუკეთესო იყო, ხოლო ადგილობრივი ჯიშის ცხენი კავალერიაშიც გამოიყენებოდა. უგზოობის პირობებში მძიმე საპალნის გადასატანად სახედარი შეუცვლელი იყო.

ყარაჩაის მთის საძოვრების ძირითადი ნაწილი „ფეოდალთა“ ხელში იყო თავმოყრილი. საზამთრო საძოვრები მთელ გვარს ეკუთვნოდა, კომლები ფლობდნენ სარწყავ-სათიბებს. მდიდარი მესაქონლეები მთიბავებად გარე სამუშაოზე წასულ ქართველთა (სვანების, რაჭველების) შრომას იყენებდნენ. თავის მხრივ, ყარაჩაელები სამუშაოდ მიდიოდნენ კახაკთა სტანიცებსა და მეზობელ აულებში, სადაც ცხენის მეჯოგეებად (მერემეებად), მესაქონლეებად მუშაობდნენ.

მსხვილი მესაქონლეები პირუტყვს სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიის

დაბლობში ყიდდნენ. მატყლისგან ნაბადს, ქულებს ამზადებდნენ. ცხვრის ტყავისგან — ფაფახებს, ქურქებსა და ფეხსაცმელს.

ბალყარებიც ძველისძველი მეცხოველეები არიან. მისდევდნენ მეცხვარეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, მეცხენეობას, ჰყავდათ თხები. ისლამის გავრცელებამდე ღორებსაც უვლიდნენ. მაისიდან ოქტომბრამდე მთის საძოვრებზე იყვნენ, გვიან შემოდგომიდან კი ყაბარდოს ველის საზამთრო საძოვრებზე მიერეკებოდნენ პირუტყვს. ბალყარული პატარა ცხენები მთის პირობებში დღესაც შეუცვლელია.

ბალყარები საუკეთესო ქქეებსა და ნაბდებს ამზადებდნენ, განთქმული იყო აქაური ავეჯი და ჭურჭელი, ბეწვეული, რომელთაც ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და დასავლეთ საქართველოში ჰყიდდნენ. ასევე ვაჭრობდნენ თაფლითა და ცვილით. ფუტკარი მსუბუქ დაწნულ სკებში ჰყავდათ.

ყარაჩაიში (ასევე ბალყარეთშიც) მიწათმოქმედების განვითარებისთვის სათანადო პირობები არ იყო. ხორბალი ძალიან მცირე ოდენობით მოჰყავდათ და ძირითადად ყიდულობდნენ ან მეცხოველეობის პროდუქტებზე ცვლიდნენ.

მოზა და აღათ-ჟისები

ყარაჩაელები ტრადიციულ საცხოვრებელს ორფერდიანი მიწიანი სახურავით, სწორკუთხა სქელი მორებით აგებდნენ, რომელზედაც ბალახი იყო ამოსული. კედლებს ზოგჯერ გარედან თიხით ლესავდნენ. მიწის სახურავის სიმაღლე 70-დან 90 სანტიმეტრამდე მერყეობდა. საერთოდ, ყარაჩაელთა საცხოვრებელი მასიური კონსტრუქციისა იყო. ყარაჩაელთა ტრადიციული სოფელი შეჯგუფებული და დიდი გახლდათ. სოფელი გვაროვნული უბნებისგან შედგებოდა. გარს სახნავე მიწები და სარწყავი სათიბები ეკრა.

ბალყარულ სახლში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კერას, რომლის გარშემოც სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა. ოჯახის უფროსის გარდაცვალებისას კერაში ცეცხლს აქრობდნენ. პატარძალს მშობლიური სახლიდან გასვლამდე კერისთვის აუცილებლად სამჯერ უნდა შემოეყო. კერის შეურაცხმყოფელს ოჯახის მესისხლედ მიიჩნევდნენ.

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, ყარაჩაელებს, ისევე როგორც სვანებს, განსაკუთრებული წესით შეემოლოთ გოგირდის მოპოვება და თოფისწამლის დამზადება. ბალყარები კი სატევარ-ხანჯლების დამზადების ოსტატობით გამოირჩეოდნენ.

საუკუნეების განმავლობაში ყარაჩაელთა და ბალყართა ძირითადი საკვები მეცხოველეობის პროდუქტები იყო. შედეგებული რძე (აირან) ცვლიდა წყალსაც, ჩაისაც და წვნიანსაც. უმნიშვნელოვანეს და ძირითად

პროდუქტად ყველი ითვლებოდა. რძისგან ამზადებდნენ აგრეთვე არაჟანს, კარაქს, კაიმაკს. მიირთმევდნენ ხორციან, ყველიან, კარტოფილიან ღვეხელს.

ყარაჩაელები სიმინდის ფქვილისგან ფაფას ხარშავდნენ. სვამდნენ ე.წ. ყალმუხურ ჩაის რძით, კარაქითა და მარილით, ბალყარები კი ქერისგან (რომელიც შედარებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ) ლულსაც ხარშავდნენ.

მამაკაცთა თავსაბურავი ორგვარი ჰქონდათ: ფაფახი და თექის ფარფლიანი ქუდი, რომელიც ძალიან წაგავდა XIX საუკუნის სვანურ ქულს.

რუსეთთან შეერთებამდე ყარაჩაისა და ბალყარეთში მოსახლეობის უმაღლესი ფენა (ტაუბიები) მიწის დიდ რაოდენობას, ყმა-გლეხებსა და მონებს ფლობდნენ. მეცხოველთა ძირითად ნაწილს თავისუფალი გლეხები (მეთემეები) წარმოადგენდნენ. როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხში, აქაც მონობა პატრიარქალური ხასიათისა იყო. ყარაჩაელები მონებად, ჩვეულებრივ, ტყვეებს აქცევდნენ.

ყარაჩაიში თუკუმის (გვარის) შიგნით ქორწინება აკრძალული იყო, ე.ი. ყარაჩაული გვარი ეგზოგამიური იყო და ეს ეგზოგამიურობა აქ ისლამის გავრცელებამაც ვერ მოსპო. საქორწინო კავშირები მონოგამიური იყო. ერთი გვარის წევრობა თითოეულს განსაზღვრულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას აკისრებდა.

სისხლის აღება მოგვიანებით შეიცვალა სისხლის სხვადასხვა ფორმის გადასახადით.



ყარაჩაელებსა და ბალყარებს თითქმის ისეთივე ქუდები ეზურათ, როგორც სვანებს



აულ საუტუში საბჭოთა უშიშროების ჯარების მიერ 1942 წლის ნოემბერში დაზოცილი 470 ბავშვის, ქალისა და მოზუცის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი

შემორჩენილი იყო გვარში უცხო მძღების ტრადიცია. გვარში ხელოვნურად დანათესაებულს აუცილებლად ჯოხის ქვეშ უნდა გაეელო და ეს ჯოხი როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან გვარის უხუცესებს უნდა სჭეოდათ. ასეთი ნათესაეები „ჯოხის ნათესაეებად“ იწოდებოდნენ, სისხლის ნათესაეისგან განსახეეებად, რომელსაც ყარაჩაულად „მუეუზლის ნათესაეი“ ეწოდებოდა. ოჯახის გაყრის შემთხვევაში, ახალ სახლში გადასულ ძმებს ყერიდან მუეუზალი მიჰქონდათ.

XX საუკუნის დასაწყისში შემორჩენილი იყო გვაროვნული დამღები. დამღებს ცხენებსა და მსხვილფეხა პირუტყვს ასვამდნენ, საფლა-



ბალყარული ხინჩი ჩვენებურ ზაჭაპურსაც ჰგავს და ოსურ ზაბიზინასაც, იგი ხორბლის ფქვილის, ყველისა და კარტოფილისგან მზადდება

ვის ქეებსა და საყოფაცხოოებო საგნებზეც გამოსახადნენ.

ქორწილში ნეფე-პატარძალი არ მონაწილეობდა. პატარძალი სახლის კუთხეში მეგობრებთან ერთად ფეხზე იდგა. გარეშეთა თანდასწრებით, ქალი ქმართან არ დაჯდებოდა, მასთან ერთად არ ჭამდა და სახელით არ მიმართავდა. მაგრამ ყარაჩაიში ქალი შედარებით მაინც თავისუფალი იყო, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხებში, რასაც აქ ისლამის გვიან გავრცელებით ხსნიან.

ყარაჩაელთა მრავალრიცხოვან ხალხურ დღესასწაულებს თან ახლდა დოდი, ძალო-სანთა შერკინება, ქვის სროლა, სამასკარადო თამაშობანი, სიმძიმეების აწევა.

ბალყარეთში ქორწინება ეგზოგამიური იყო. ერთი გვარის შიგნით ქორწინება შეიდი თაობის შემდეგ შეიძლებოდა. საქმრო საცოლის მშობლებს ურვადს უხდიდა. მემკვიდრეობა მხოლოდ ვაჟიშვილებზე გადადიოდა და თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავდა, მაშინ უახლოეს ნათესავ მამაკაცებზე.

როლანდ თოფჩიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარელაქციო მინაწერი: პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ეთნოლოგიურ-შემეცნებითი სტატია-რეპორტაჟისთვის ექსკლუზიური ფოტოების მოძიებისას საინტერესო „კვალზე“ დაგვყენა პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა, რომლის „მოგვარე“ მარატ ტეკუევი ნაღიკელი მეცნიერია. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ მარატს ნაღიკში. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მისი საპასუხო წერილი (რუსულ ენაზე), რომლის თარგმანსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ.

„ბაბუასთან, აზრეთ ტეკუევეთან ვიზრდებოდი და პირველად სწორედ მისგან გავიგე, რომ ჩვენი წინაპრები წარმომავლობით სვანეთიდან ყოფილან. ბაბუამ მიაძმო, რომ ძალიან დიდი ხნის წინ სვანეთიდან მოსისხლეებს გამორიდებია და ბალყარეთში გამოქცეულა ოთხი ძმა გუჯეჯიანი. ამ ოთხიდან ერთ-ერთი ჩვენი გვარის წინაპარი ყოფილა. მახსოვს, ბაბუა ცდილობდა თავისი ნათესაეების მოძიებას საქართველოში, მიწერ-მოწერაც ჰქონდა, მაგრამ მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. სკოლას

რომ ვამთავრებდი, ბაბუა მაშინ გარდაიცვალა. მოგვიანებით იმ მასალების მოძიება დავაპირე, მას რომ საქართველოსთან აკავშირებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერსად მივაკვლიე. გული დამწყდა, მით უფრო, რომ მენსიერებაში ამოტივტივდა ბაბუას სიტყვები, როცა იგი თავის მამაზე, ისხაკზე მიყვებოდა. ჩემს დიდ ბაბუას ქართული ენა სცოდნია და როცა მე სულ მთლად პატარა ვყოფილვარ, ხელში ამიყვანდა თურმე და ქართულად მიმღეროდა. შვილიშვილიც ბვერი ჰყავდა და იმათი შვილებიც, მაგრამ ქართულად მხოლოდ შენ გიმღეროდაო...

მოგვიანებით, როცა ჩემი გვარის უხუცესებმა მთხოვეს, წინაპართა გენეალოგიური ხის შედგენაში დავხმარებოდი, ძალიან ბევრ სამეცნიერო ლიტერატურას გავეცანი. ერთხელაც ხელში ჩამიფარდა პროფესორ ალექსანდრ მუსუკაევის წიგნი, რომელშიც იგი ბალყარული გვარების წარმომავლობაზე წერს. აღმოჩნდა, რომ ჩვენი, ტეკუეეების წინაპარი სვანეთიდან ყოფილა, — ელმურზ გუჯეჯიანი. მერე მე დავიწყე გუჯეჯიანების ძებნა და... ასე შევხვდი როზეტას, ჩემს ქართველ დას (დღეს ჩვენი ოჯახებით ვმეგობრობთ და „ენათესაობთ“). როზეტამ სვანეთიდან გამოქცეულ გუჯეჯიანების ოთხ ძმაზე ზუსტად იგივე ისტორია მიაბო, როგორიც ბაბუასგან მახსოვდა...

საკუთარ თავს, რა თქმა უნდა, ბალყარად მივიჩნეე, ვლავარაკობ ბალყარულ ენაზე, მაგრამ საქართველო ჩემს გულში დაბადებულიდანვეა. „ვეფხისტყაოსანი“ მესამე კლასში წავიკითხე, მუდმივად ვკითხულობდი ჟურნალ „ლიტერატურაია გრუზიას“. ასე რომ, რუსულად ნათარგმნი ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებას ვიცნობ. დღემდე ვინახავ ბავშვობაში შეძენილ მარკებს ფიროსმანის ნახატებით, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ კი რამდენჯერმე წავიკითხე.

აი, სულ ეს არის ჩემი ურთიერთობა საქართველოსთან“.

მარატ ტეკუეევი დღეს საჭურვლის ისტორიის შეისწავლის, ტრადიციული ბალყარული დანების ესკიზებს ქმნის, რომლის მიხედვითაც მუშაობენ იქაური ოსტატები. სვანური იარაღითაც (განსაკუთრებით დანებით) არის დაინტერესებული და ქართველი კოლეგების დახმარების იმედი აქვს.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ბალყარ „თანამემამულეს“. აქვე მადლობას ვუხდით მას საინტერესო ფოტოების მოწოდებისთვის.



მარატ ტეკუეევი და მისი ესკიზით დამზადებული ბალყარული სატყევეარი სვანური ტიპის კოშკის ფონზე



ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი



საქართველოს ისტორიოგრაფია მნიშვნელოვანი გამოცემით გამდიდრდა. „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“ საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა მოამზადეს. ეს გახლავთ ფუნდამენტური ენციკლოპედიური ტიპის გამოკვლევა, რომელშიც თავმოყრილი და განმარტებულია „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული ტოპონიმები: ქალაქები, დაბები, სოფლები, ციხეები, სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები.

ფუნდამენტური შენაძენი ქართული მესნიერებისთვის

ლექსიკონს საფუძვლად უდევს აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი და გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. ნაშრომის ღირსებას ისიც განსაზღვრავს, რომ საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ ცნობების გარდა, თითოეულ ტოპონიმთან დაკავშირებით მოტანილია ყველა ქართული თუ უცხოენოვანი წერილობითი წყარო, რომელშიც ეს ტოპონიმი მოიხსენიება. ნაშრომში საქართველოს 650-ზე მეტი ტოპონიმი შევიდა. უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ გაცილებით მეტია მოხსენიებული, მაგრამ პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელ გელა გამყრელიძის წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ ავტორთა მიზანი იყო განეხილათ მხოლოდ დღევანდელ საქართველოში (გაეროს

მიერ აღიარებულ საზღვრებში) აღნუსხული ტოპონიმები. მიუხედავად ამისა, ლექსიკონში მაინც მოხვდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული პუნქტები საინგილოდან და ტაო-კლარჯეთიდან. ეს ის ტოპონიმებია, რომელთა იდენტიფიკაცია ეჭვს არ იწვევს.

საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ამგვარი ნაშრომი აქამდე არ შექმნილა. ტოპოარქეოლოგია საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგის გადაკვეთაზე არსებული სამეცნიერო კვლევის მიმართულებაა, რომელიც მოიცავს არქეოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკისა და წერილობითი წყაროების სინთეზურ სისტემურ შესწავლას. წარმოდგენილი ლექსიკონი უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი, ბურუსით მო-

ცული მონაკვეთის გარკვევისთვის, რადგან ტოპონიმების ნაწილი ლოკალიზებული არ არის ან დღეს სხვა სახელი ჰქვია.

ლექსიკონში თითოეულ ტოპონიმს, წერილობითი წყაროების გარდა, ახლავს უმთავრესი, ძირითადი კომპონენტი და ეს არის არქეოლოგიური სეგმენტი. დწვრილებითაა წარმოდგენილი თითოეული პუნქტის არქეოლოგიური ვითარების დახასიათება: სტრატეგრაფია, ქრონოლოგია, არქეოლოგიური ძეგლის შესწავლის მოკლე ისტორია. ისეთი ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების პარალელურად, როგორებიცაა მცხეთა, დმანისი, ძალისა, რუსთავი, ქუთაისი, ვანი, ფასისი, საირხე, შორაპანი, ურბნისი, სოხუმი, ბიჭვინთა, ანაკოფია, ახალქალაქი, ფიჭვნარი, ვარციხე, კლდეეთი, ბორი, ჟინვალი და სხვ. წარმოდგენილია ისეთი ძეგლების მონაცემებიც, რომლებიც შედარებით მწირადაა შესწავლილი.

ლექსიკონი უზვადაა ილუსტრირებული და მკითხველს საშუალება ეძლევა, იხილოს ამა თუ იმ ძეგლზე აღმოჩენილი არტეფაქტები თუ საკუთრივ ძეგლის გეგმა.

„ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის“ ძირითადი ავტორები

არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გელა გამყრელიძე (პროექტის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით მინდორაშვილი, ისტორიის აკადემიური დოქტორი მარინე კვაჭაძე და ისტორიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ ბრაგვაძე... მათ გარდა ცალკეული სტატია ეკუთვნის არქეოლოგიის ცენტრის ოცამდე თანამშრომელს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მიიღო მეტად საჭირო ნაშრომი, რომელიც ეჭვგარეშეა, სამაგიდო წიგნად იქცევა როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი თაობების ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისთვის. იგი ასევე ძვირფასი საჩუქარია ყველა იმ მკითხველისთვის, ვისაც უყვარს საქართველოს ისტორია.

ომარ ლანჩაბა

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი;*

პახაბჰმარ პახაბძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი





„კარიბჭის“ რედაქცია სტუმრად უწმინდესთან

ჟურნალი „კარიბჭე“ 10 წლისაა

უკვე ათი წელიწადია, ჟურნალი „კარიბჭე“ მართლმადიდებლური საეკლესიო ცხოვრების ამსახველ მასალებს აწვდის მკითხველს. ჟურნალის კოლექტივი ყოველთვის ცდილობდა, საკუთარი სიტყვა ეთქვა საზოგადოების მართლმადიდებლური განათლების სრულყოფისა და სულიერების ჩამოყალიბებისთვის. ჟურნალს არ მოჰკლებია მკითხველთა ინტერესი და სიყვარული, რაზეც მათივე წერილები და გამოხმაურებები მეტყველებს, რომელთაც ხშირად შეხვდებით „კარიბჭის“ ფურცლებზე.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჟურნალის შემოქმედებითი ჯგუფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ესტუმრა. უწმიდესმა დალოცა ჟურნალი, მისი

კოლექტივი, მკითხველები და მომავალშიც წარმატებები უსურვა.

„კარიბჭის“ კოლექტივმა საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში საიუბილეო შეხვედრა გამართა ერთგულ მკითხველებთან, სამღვდელოებასთან, სინოდის წევრებთან, ჟურნალის ყველა გულშემატკივარსა და მედიის წარმომადგენლებთან.

თამარ მამაცაშვილი (ჟურნალ „კარიბჭის“ მთავარი რედაქტორი): — ჩვენი ჟურნალის პირველი ნომერი 2004 წლის თებერვალში გამოიცა. თავდაპირველად ბევრი ეჭვიანად უყურებდა ამ შინაარსის ჟურნალის გამოცემის იდეას, მაგრამ, უფლის შეწევნით,



„კარიბჭის“ იუბილესთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა სამების ახალგაზრდულ ცენტრში

პროექტმა გაამართლა. „კარიბჭემ“ შეძლო, შეეკოს წლების განმავლობაში გაჩენილი სიცარიელე მრევლსა და ეკლესიას შორის, მკითხველისთვის გასაგებ, მარტივ ენაზე გადმოეცა რთული საღვთისმეტყველო წერილები, ადგილი დაეთმო თვით მკითხველისთვის... და რაც მთავარია, ჟურნალი ბევრისთვის მართლაც იქცა იმ კარიბჭედ, რომლის გავლითაც ახალი, სულიერი ცხოვრების სამყაროში ხვდები. მინდა გამოვხატო ჟურნალის რედაქციის თითოეული წევრის დამოკიდებულება იმ საქმისადმი, რასაც ვემსახურებით: ვმადლობ უფალს იმისთვის, რომ ასეთი ჟურნალის შექმნის ღირსნი გაგვხადა, რომ ერთმანეთი გვაპოვნინა, რომ ადამიანთა გულებამდე მისასვლელი გზები გვასწავლა. ჩვენი პატარა ოჯახი — „კარიბჭე“ — ერთი ლამაზი კუნძულია დღევანდელობაში და ჩვენ, ყველანი, ძალიან ვუფრთხილდებით ამ ურთიერთობებს.

მადლობას მოვხსენებთ თითოეულ მღვდელმსახურს, რომლებიც გამოცემის დღიდან თანამშრომლობენ ჩვენს ჟურნალთან, რომლებიც ლოცვა-კურთხევასა და რჩევა-დარიგებებს არ გვაკლებენ.

მადლობა თითოეულ მკითხველს, რომელთა მადლიერებით საესე წერილები ყოველთვის გამომხევებდა და ენერგიით გვაგვებდა. მათი თანადგომა იყო ჩვენი საქმიანობის სტიმულიცა და ენერგიის წყაროც. განსაკუთრებული გრძობით ვიხსენებთ საპყრობილეებიდან პატიმრების მიერ გამოგზავნილ სინანულითა და სიყვარულით გაჯერებულ წერილებს. „კარიბჭე“ ათი წელიწადია თანამიმდევრულად ცდილობს, ამოხსნას ქრისტიანული სამყაროს ყველაზე დიდი ამოცანა — რა არის ქრისტიანობა. შევთხოვთ უფალს, გვატაროს სამეუფო გზით ჩვენს მკითხველთან ერთად, გვაშოროს ყოველგვარი ცდომილება ამ გზიდან, რათა ერთად ვეზიაროთ ერთადერთ ჭეშმარიტებას — უფალთან თანამყოფობას!

ტრისტან მაჭარაშვილი (ისტორიკოსი): — „კარიბჭე“ მეტად სასარგებლო საქმეს ემსახურება ერის სულიერ და ზნეობრივ განვითარებაში. მისი ფურცლებიდან მრევლი ეცნობა საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე თანამედროვე და წარსულ საერო და სასულიერო ცხოვრებას. აღწერს წმინდა მამებისა და წმინდანად შერაცხილი მეთევების მოღვაწეობას.

ჟურნალისთვის ათი წელიწადი არც ისე დიდია და არც ისე ცოტა. ვფიქრობ, „კარიბჭემ“

ამ დროის განმავლობაში თავისი სათქმელი თქვა და იმედია მომავალშიც ამ გზით ივლის.

ვანის ქვაბების მამათა მონასტრის იღუმენი მათე (ვაშაყმაძე): — სიყვარულით ვულოცავ ჟურნალ „კარიბჭეს“ იუბილეს. ათი წელი სიყმაწვილის ასაკია, თქვენ კი ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრის გაკეთება შეძელით, მნიშვნელოვანია თქვენი დეაქონი მორწმუნე საზოგადოების წინაშე. ვფიქრობ, თქვენი ჟურნალი ანთებული სანთელია, რომელიც გზას უნათებს ადამიანებს, სულიერი საზრდოა, რომელიც უამრავ ადამიანს აპურებს... თქვენ შეძელით და საზოგადოებას გააცანით ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტერი, იქ მოღვაწე სასულიერო პირები, დაბა, სოფელი თუ ქალაქი. ეს კარგი მაგალითია, რამხელა სიკეთის ქმნა შეუძლია ჟურნალისტიკას ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში...

მოამზადა თეა ცაგურიშვილმა



სტუმრად უწმინდესთან — „კარიბჭის“ მთავარი რედაქტორი თამარ მამაცაშვილი და მისი მოადგილე მანანა ჯანელიძე

„კარიბჭის“ 10 წლის იუბილეზე





ხუნი ჰანიზადი ალექსანდრე სუვოროვი

ალექსანდრე სუვოროვი სენ-გოტარდის უღელტეხილზე, 1799 წლის 13 სექტემბერს (ადოლფ შარლემანი, 1855 წ.)

ნაწილი II

1798 წელს მეორე ანტიფრანგულმა კოალიციამ (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, თურქეთი, ნეაპოლის სამეფო) რუსეთი დაიყოლია, მათ შეერთებოდა და ერთად ებრძოლათ საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. მოკავშირეთა გეგმის მიხედვით, სახმელეთო ოპერაცია რუსეთ-ავსტრიის გაერთიანებულ ჯარს უნდა წარემართა, სუვოროვის მთავარსარდლობით. პავლე I-მა სუვოროვს ფლიგელ-ადიუტანტი ტოლბუხინი გაუგზავნა და არმიაში მიიწვია. რუსეთში დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია ნაპოლეონის იტალიურმა ლაშქრობამ (1796-1797), რომლის დროსაც ფრანგებმა ავსტრიის იმპერია სასტიკად დაამარცხეს და იტალიის დიდი ნაწილი დაიკავეს. იმ დროისთვის, როცა მოკავშირეები იტალიაში შეჭრას აპირებდნენ, ნაპოლეონი ეგვიპტეში იბრძოდა მამლუქების, თურქებისა

და ინგლისელების წინააღმდეგ. თავდასასხმელად კოალიციამ კარგი დრო შეარჩია. საფრანგეთის არმიის სათავეში იდგნენ გამოცდილი გენერლები: ჟან ვიქტორ მორო, ბარტლომეო შერერი, ბარტელემი ჟუბერი, ეტიენ მაკონალდი და ანდრე მასენა. სუვოროვი გეგმავედა, როგორ ემოქმედა ახალი ყაიდის რევოლუციური არმიის წინააღმდეგ. მან შეიმუშავა წესები, როგორ უნდა ემოქმედა მეთაურს შეტევისას.

ფრანგების არმიის რიცხოვნობა ჩრდილოეთ იტალიაში 58 ათასს აღწევდა და მას გენერალი შერერი ხელმძღვანელობდა. ნეაპოლში (ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში) 34-ათასიან არმიას გენერალი მაკონალდი მეთაურობდა, შვეიცარიაში მდგარ 30-ათასიანი არმიას კი გენერალი მასენა. ანტიფრანგულ კოალიციას 86-ათასიანი არმია ჰყავდა

ფელდმარშალ მელასის მეთაურობით, ხოლო 22-ათასიან რუსულ კორპუსს გენერალი ანდრეი როზენბერგი სარდლობდა, ჩრდილოეთ იტალიაში. ამას გარდა, ზღვაში იდგა ადმირალ ფიოდორ უშაკოვის რუსული ესკადრა. კიდევ ერთი რუსული 11-ათასიანი კორპუსი მაქსიმ რეზინდერის მეთაურობით ოშში მოგვიანებით ჩაერთო.


სუვოროვი ვენაში 1798 წლის მარტში ჩავიდა. 15 აპრილს ის ვერონაში არმიას წვრთნიდა ბრძოლებისთვის. მან გერმანულად ათარგმნინა თავისი წიგნი „გამარჯვების მეცნიერება“ და ავსტრიელებსაც შეასწავლა. სუვოროვმა ლაშქრობა მამინე დაიწყო, როგორც კი მის არმიას იაკობ პოვალო-შეიკოვსკის დივიზია შეუერთდა. 22 აპრილს მან ბრევიას ციხე აიღო. ფრანგები 26-27 აპრილს მდინარე ადასთან, გენერალ მოროს ხელმძღვანელობით, დამარცხდნენ და უკუიქცნენ (ფრანგებმა 2,5 ათასმდე ჯარისკაცი დაკარგეს, მოკავშირეებმა კი 2 ათასამდე. ამას გარდა, ფრანგებმა დაკარგეს არტილერიის ნაწილიც. გამარჯვების შემდეგ სუვოროვი მილანისკენ დაიძრა, რომელშიც უბრძოლველად შევიდა 18 აპრილს.

20 აპრილს სუვოროვის ჯარი მდინარე პოსკენ დაიძრა, რათა მოროსა და მაკლონალდის არმიების გაერთიანება არ დაეშვა. მოკავშირეებმა ეს მართლაც შეძლეს და ფრანგულმა არმიებმა შეერთება ვერ მოახერხეს. 15 მაისს სუვოროვმა ტურინი აიღო. ფრანგებმა სამხრეთისკენ დაიხიეს. მათ მხოლოდ რამდენიმე, გარნიზონით გამაგრებული ციხე დატოვეს მტრის შესაფერხებლად (მანტუა, კონი). მათვე გადაწყვიტეს, მაკლონალდის არმიით (36 ათასი) ნეაპოლიდან დაერთყათ მტრისთვის, ხოლო მოროს არმიით (14 ათასი) — გენუიდან. სუვოროვმა მოროს წინააღმდეგ ჯარის ნაწილი დატოვა და თვითონ მაკლონალდისკენ დაიძრა. ორი არმია ერთმანეთს მდინარე ტრევიასთან შეხვდა 6 ივნისს. სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ფელდმარშალი თვითონვე ხელმძღვანელობდა ბრძოლას და თავს ალყენებდა მის მსვლელობას. მცირერიცხოვანი ფრანგები მამაცურად იბრძოდნენ. რუსთა ზოგიერთმა პოლკმა მტერს ზურგი აქცია კიდევ. სუვოროვმა არმიის ბრძოლაში მიბრუნება მოახერხა.

სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა მდინარე

ტრევიანზე და გამარჯვება მოკავშირეთა მრავალრიცხოვან ჯარს დარჩა. სუვოროვს ძალიან მოსწონდა ძველი კართაგენელი მთავარსარდალი ჰანიბალი, რომელმაც რომაელებზე გამარჯვება სწორედ ტრევიანზე მოიპოვა ძვ.წ. 218 წელს. ახალგაზრდობაში სუვოროვი ოცნებობდა, ჰანიბალივით დაემარცხებინა მტერი და ჯარი ალპებზე გადაეყვანა. მას ეს ოცნება აუხდა. საერთოდ, სუვოროვის ლაშქრობა ალპებში გარკვეულწილად თითქოს ჰანიბალისას მოგვაგონებს. თუნდაც ტრევიას ბრძოლა, რომელიც ჰანიბალმაც და სუვოროვმაც ოსტატურად წარმართეს და გამარჯვებას მიადწიეს. თუმცა, „რუსი ჰანიბალის“ წინაშე, ისევე როგორც ერთ დროს ჰანიბალის წინაშე, დიდი წინააღმდეგობა აღმართულიყო — ალპები. მაკლონალდმა გენუისკენ დაიხია. იქ ჩავიდა მოროს ჯარიც. ივლისის ბოლოსთვის გაერთიანებულმა ფრანგულმა ჯარმა, გენერალ ჟუბერის მეთაურობით, გენუიდან შეტევითი ოპერაცია დაიწყო. მათი მიზანი ქალაქი ალესანდრია იყო, სადაც მოკავშირეთა არმიის მთავარ ძალებს მოეყარათ თავი. მოწინააღმდეგეთა არმიები ერთმანეთს ქალაქ ნოვისთან შეხვდნენ.

გენერალმა ჟუბერმა მორო არმიაში დატოვა და მის რჩევებსაც ყურადღებას აქცევდა. მოროც ახალგაზრდა გენერალს ყველანაირად ეხმარებოდა. საფრანგეთის არმია ორ დიდ



გენერალი ანდრე მასენა, საფრანგეთის რუსპუბლიკის არმიის სარდალი შვეიცარიაში



გენერალი ბარტელემი შუბერი



გენერალი ჟან ვიტორ მორო

მასად იყოფოდა: მარცხენა ფრთას კატერინ-დომინიკ დე პერინიონი სარდლობდა. იგი შედგებოდა ემანუელ გრუშისა და ლუი ლემუანის დივიზიებისგან, ლუი პარტუნოს და ბერტრან კლოზელის ქვეითი ბრიგადისა და ანტუან რიშპანსას კავალერიული ბრიგადისგან. მარჯვენა ფლანგს გუვიონ სენ-სირი სარდლობდა, ის შედგებოდა ფრანსუა ვატრინის, პიერ გარნიე ლაბუასიეს, იან დომბროვსკის დივიზიებისგან და ჟან კოლის დივიზიისგან, ამას გარდა, მარჯვენა ფლანგს 2,8 ათასამდე ჯარისკაცი რეზერვში ჰყავდა. საშუალოდ ფრანგული არმია 35 ათას კაცს არ აჭარბებდა. შუბერმა და მორომ არმია ქალაქ ნოვისთან განალაგეს. სუვოროვმა გადაწყვიტა, მტერს გამლღობ ველზე დალოდებოდა, რათა კარგად გამოეყენებინა თავისი მრავალრიცხოვანი კავალერია.

სუვოროვმა ჯარისთვის პოზიციები შეარჩია, არმია განალაგა და მტერს პირველი ნაბიჯის გადადგმის საშუალება მისცა. კრაი ფონ კრაიოვას, პეტერ ოტის, ჰაინრიხ ფონ ბელგარდის, ოტო დერფელდენის, ივან ფერსტერის, იაკუბ პოვულო-შვეიკოვსკის, მიხაელ მელასის, იოჰან ლიხტენშტეინისა და მიხაელ ფროილიხის მეთაურობით, 45-ათასიანი კოალიციის არმია ფრანგებს ელოდა. ამას გარდა გენერალ ფრანც როზენბერგისა და კიდევ რამდენიმე სხვა გენერლის ძალები ფრანგთა სიმაგრეების ასაღებად და ქალაქების დასაკავებლად იყო გაგზავნილი. ამ ნაწილების ჩათვლით, მოკავშირეთა ჯარი 60 ათას კაცს აღწევდა. ფრანგებს თავიდანვე არ გაუმართლათ. ბრძოლის დაწყებისთანავე გენერალი შუბერი სასიკვდილოდ დაიჭრა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „წინ, შეტევაზე“. სუვოროვს კი შუბერის დაღუპვა არ სურდა, რადგან ფრანგების ველზე გამოტყუებას გეგმაჟდა აუსტრიელთა საშუალებით. გენერალმა მორომ თავისი ფლანგი გაამაგრა და შეტევაზე გადასვლა კატეგორიულად აღკვეთა.

გენერალ კრაის გაუჭირდა, რადგან ფრანგებმა მის წინააღმდეგ მებრძოლ ფლანგს ჯარი მიაშველეს. კრაიმ ადიუტანტი გაგზავნა გენერალ პეტრე ბაგრატიონთან, რათა დასახმარებლად თავისი ჯარი გამოეგზავნა. ბაგრატიონმა უარი თქვა, რადგან სუვოროვისგან არ ჰქონდა მიღებული ასეთი ბრძანება, მას სხვა რამ ევალებოდა. სუვოროვს სურდა, ფრანგებს ცენტრი დაესუსტებინათ,

რათა შემდეგ სწორედ ამ ადგილას დაერთვა ჯარის დიდი ნაწილით. დილის ცხრა საათისთვის კრავი უკვე მეორედ უკუაგდეს. როცა იგრძნო, რომ გადამწყვეტი წუთი მოვიდა, სუვოროვმა ბაგრატიონი და მილორადოვიჩი მტრის ცენტრისკენ, ქალაქ ნოვისკენ გაგზავნა. მოკავშირეებმა მტრის ტყვიებისა და ყუმბარების ცეცხლში გაიარეს, მაგრამ მათ წინ ქვის კედლები აღიმართა, რომელსაც რუსული მსუბუქი ზარბაზანი ვერაფერს აკლებდა. მაშინ ბაგრატიონმა ოთხი ბატალიონით დაიწყო ქალაქის აღმოსავლეთიდან შემოვლა. რუსებს აქ ვეტრენის ფრანგთა დივიზია დახვდათ, რომელმაც ისინი უკუაგდო. მილორადოვიჩისა და ბაგრატიონის მეორე შეტევასაც არ ჰქონია წარმატება. სუვოროვი თვითონვე ჩაუდგა სათავეში დერფელდენის დივიზიას და ფრანგთა ცენტრისკენ დაძრა. ფრანგებმა მესამე იერიშიც მოიგერიეს. ნოვის გარნიზონის მეთაურმა, გენერალმა კლოდ-მატიე გარდანმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია მტერს ამ ბრძოლაში და სარდლობის დიდი უნარი გამოავლინა. რუსების შეტევას ის ფინდიხით შეხვდა, შემდეგ კი მცირე შეტევებს აწყობდა ხიშტებით. რესპუბლიკის ჯარისკაცები გააფთრებით იბრძოდნენ. გენერალი მორო ყველაზე საშიშ ადგილებში ჩნდებოდა.

მას მოუკლეს ცხენი, მუნდირი კი ტყვიებით ჰქონდა დაფლეთილი. ფრანგი მეთაურები ტოლს არ უდებდნენ თავის მთავარსარდალს და ჯარი თავადვე გადაჰყვდათ ხიშტებით ან კავალერიულ შეტევაზე. ფელდმარშალი სუვოროვი მთელი დღე ბრძოლაში იყო. ჯარისკაცებს ამხნევებდა და ფრონტის ხაზზე მთელ პოლკებსა და დივიზიებს მიუძღოდა. რუსები შეტევაზე კი გადადიოდნენ, მაგრამ ფრანგები უკან ახევინებდნენ. იმავდროულად, საშინელი სიცხე იყო.

12 საათისთვის ბრძოლის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. ორივე მხარემ ამოწურა საკუთარი ძალები და ახლა მხოლოდ ახალ, დამხმარე ჯარის ნაწილს შეეძლო ბრძოლის ბედის გადაწყვეტა. სუვოროვმა გენერალ მელასს წერილი გაუგზავნა, რომელშიც წერდა, რომ მისი რეზერვის დახმარებას ელოდა. დღის სამი საათისთვის მელასის ჯარმა ფრანგთა მარჯვენა ფლანგს შეუტია. ამ დროს დადგა ბრძოლის გადამწყვეტი ფაზა. მელასის მოსვლის შემდეგ მოკავშირეთა მთელმა არმიამ შეტევა განაახლა. ფრანგებს რეზერვი არ ჰყავდათ და მალე იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. მელასმა კრაისთან ერთად ფრანგთა სუსტი მარცხენა ფლანგი უკუაგდო და ახლა ცენტრისკენ მოტრიალდა. გუვიონ სენ-სირმა



ნოვის ბრძოლა 1799 წლის
15 აგვისტოს გაიმართა
(ალექსანდრ კოცებუ)

უკან დაიხია. ბაგრატიონმა და ღერფელდენმა ნოვის დაცვა გაარღვიეს და ქალაქი დაიკავეს. გენერალმა მორომ სალამოს ექვს საათზე საერთო უკან დახევა ბრძანა. გენერალი გრუში რამდენჯერმე დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა.

სალამოს რვა საათზე ბრძოლა დამთავრდა. ღამემ იხსნა ფრანგები სრული განადგურებისგან. საფრანგეთის არმიამ 7 ათას კაცამდე დანაკარგი ნახა. 3 ათასამდე ტყვედ ჩავარდა. მოკავშირეებსაც არ დაჯდომიათ იაფი ეს გამარჯვება. 7 ათასამდე ჯარისკაცი დაეხოცათ და მიიმედ დაეჭრათ. გახარებულმა იმპერატორმა პავლე I-მა ბრძოლის მონაწილეები უხვად დააჯილდოვა, დაღუპული გენერლების ოჯახებს პენსია დაუნიშნა, სუვოროვს კი მიწა-წყრა, რომ მან ყველაზე მაღალ სამხედრო წოდებაზე უფრო მაღალი წოდება დაიმსახურა.

იტალიაში გამარჯვებებისთვის სუვოროვმა უმაღლესი სამხედრო წოდება გენერალ-სიმუსობა მიიღო. ავსტრიის იმპერატორმა გენერალ-სიმუსს საღვთო რომის იმპერიის გრაფობაც უბოძა. სუვოროვმა შეძლო და იტალია ფრანგებისგან მოკლე დროში გაწმინდა. გამარჯვებებს, რომელთაც მოკავშირეები აღწევდნენ, არა მარტო ჯარის სიძლიერე და რიცხოვნობა განაპირობებდა, არამედ მთავარ-სარდლის ჭკვიანური სვლებიც.

ჩრდილოეთ იტალიის გათავისუფლების შემდეგ სუვოროვი საფრანგეთში აპირებდა შეჭრას, მაგრამ ეს გეგმა მისმა მოკავშირეებმა ჩაშალეს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რუსები ამის შემდეგ ხმელთაშუა ზღვისპირეთს თავიანთი გავლენის სფეროდ აქცევდნენ.

ინგლისმა და ავსტრიამ მოინდომეს ჩრდილოეთი იტალიიდან რუსეთის ჯარის მოშორება. სუვოროვს უბრძანეს, ავსტრიის ჯარი იტალიაში დაეტოვებინა, თვითონ კი შვეიცარიაში გადასულიყო და იქ გენერალ ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს შეერთებოდა. ამის შემდეგ მას საფრანგეთში ლაშქრობა უნდა დაეწყო. რუსეთის ჯარმა ექვს დღე-ღამეში 150 კილომეტრი გაიარა და ალესანდრიიდან ტავერნომდე ჩავიდა. რუსთა და ავსტრიელთა არმია, რომელსაც სუვოროვი მეთაურობდა, ავსტრიელებმა კარგად არ მოამარაგეს სურსათ-სანოვაგითა და ტყვია-წამლით. ამით ლაშქრობა კიდევ უფრო გართულდა. 31 აგვისტოს რუსთა ჯარი შვეიცარიისკენ დაიძრა. და აი, სუვოროვმაც



სუვოროვის შესვლა მილანში 1799 წლის 18 აპრილს (ადოლფ შარლემანი, 1850 წ.)

დაიწყო თავისი საყვარელი სარდალივით, ჰანიბალივით, ჯარის ალპებზე გადაყვანა, თუცა ჰანიბალს იტალიაში გადაჰყავდა ჯარი, სუვოროვს კი შვეიცარიაში.

ორივე ალპური ლაშქრობა ისტორიის ფურცლებს ამშვენებს და ერთიმეორეზე საინტერესოა. მართალია, ჰანიბალის დროს ძვ.წ. III საუკუნე იყო, ხოლო სუვოროვის დროს — ახ.წ. XVIII, მაგრამ ალპებზე ლაშქრობა მაინც ისეთივე ძნელი იყო, როგორც ჰანიბალის დროს. სუვოროვმაც არანაკლები ზარალი ნახა ამ მთაგორების გადალახვისას და გმირული მცდელობის მიუხედავად, ლაშქრობას დაღებითი შედეგი არ მოჰყოლია. ფრანგებს ნიჭიერი, მამაცი და გამოცდილი გენერალი ანდრე მასენა სარდლობდა, იგი თავსაც კარგად იცავდა და მტერსაც ოსტა-



ტურად უტყვევდა. კარგად იცოდა თავდაცვითი ნაგებობებისა და ტერიტორიული ადგილმდებარეობის გამოყენება, გამოცდილი ტაქტიკოსი და სტრატეგოსი იყო, ამიტომ სუვოროვს ძალიან გაუძნელდა ასეთ მთავარსარდალთან გამკლავება. მასენას ხელქვეით მთელი ფრანგული არმია გაერთიანდა და მისმა რიცხოვნობამ 90 ათასს მიაღწია.

პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლები სუვოროვს სენ-გოტარდის უღელტეხილთან მოუხდა. გარშემო მთები იყო, ციცაბოები და უფსკრულები. ფრანგები უღელტეხილზე გამაგრდნენ და რუსების ორივე შეტევა მოიგერიეს. სუვოროვმა შემოვლითი მანევრისთვის თავისი საყვარელი გენერალი პეტრე ბაგრატიონი გაგზავნა გრენადერებით. ჯარისკაცები ცოცხვით აპყვნენ ციცაბო კლდეს. სენ-გო-

ტარდისთვის უნდა შემოველოთ ისე, რომ მტრისთვის ზურგში დაერტყათ. ფრანგებმა მაინც შენიშნეს ისინი და სროლა დაუწყეს. რუსები უკუიქცნენ. პეტრე ბაგრატიონმა თავგანწირული შეტევით მაინც აიყვანა ჯარი სენ-გოტარდზე, მას სუვოროვი მიეშველა და ფრანგებმაც უკან დაიხიეს. ბაგრატიონმა ამ ბრძოლაში სუვოროვის ქება დაიმსახურა.

სენ-გოტარდს რომ გასცდნენ, რუსები რეისას ხეობაში ჩავიდნენ. მდინარე რეისა სწრაფი მთის მდინარე იყო, რომელზეც ვიწრო ხიდი (ეშმაკის ხიდი) აეგოთ. ფრანგებს კი მისი ცენტრალური ნაწილი აფეთქებინათ და მოპირდაპირე მხარეს ჩასაფრებულყვნენ. რუსებმა რამდენიმეჯერ სცადეს ხიდთან მისვლა, მაგრამ ჩასაფრებული ფრანგები ზუსტი სროლით მუსრს ავლებდნენ მათ. რუსებმა დიდი მსხვერპლის ფასად მაინც მოახერხეს ფიცრების მიტანა ხიდთან, აღადგინეს აფეთქებული ნაწილი, გადავიდნენ მდინარეზე და მტერს უკან დაახვეინეს. რუსები გზას განაგრძობდნენ. საშინლად უჭირდათ და მტერთან შეტაკებები სულ უფრო ძნელი იყო, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ.

რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს სუვოროვმა ვერ მიუსწრო და ციურიხის მახლობლად მასენამ ის სასტიკად დაამარცხა 16-17 აგვისტოს. რუსებმა დიდი ზარალი ნახეს. ფრანგი გენერალი კლოდ-ჟაკ ლეკურბი სუვოროვს ხელს უშლიდა და წინააღმდეგობას უწევდა. ეს კიდევ უფრო ამძიმებდა რუსთა მდგომარეობას. ლეკურბმა მასენას, ედუარდ მორტიეს, გაბრიელ მოლიტორსა და ლუი-ანრი ლუ-აზონს შეატყობინა სუვოროვის მარშრუტი, მისი ჯარის მდგომარეობა და რიცხოვნობა.

სუვოროვის ჯარის ბოლო ნაწილები 18 სექტემბერს მუტენის ველზე იყვნენ. აქ მიიღო სუვოროვმა ცნობები რიმსკი-კორსაკოვის სასტიკი მარცხის შესახებ. რუსები ფრანგებზე უფრო ცუდად მომარაგებული იყვნენ და რაოდენობითაც ჩამორჩებოდნენ, ამიტომ იძულებული გახდნენ, უკან დახევა დაეწყოთ. მასენა იერიშზე გადავიდა. ფრანგებმა რუსები უკუაგდეს და ზარალიც მიაყენეს. ბაგრატიონი, რომელიც არიერგარდს მეთაურობდა, დიდ წინააღმდეგობას უწევდა ფრანგებს და მანაც რამდენჯერმე უკან დაახვეინა მათ.

სასტიკი ბრძოლები გაიმართა დასახლება ნეფელსთან, ეს ადგილი ხელიდან ხელში გა-



სუვოროვი ალპებში (ვახილი სურიაკოვი, 1899 წ.)

დადიოდა. ბაგრატიონი რუსეთის არმიასაც იცავდა და დროდარო თვითონაც უტევდა ფრანგებს. ამავე ადგილებში გაიმართა შვეიცარიის ლაშქრობის ყველაზე დიდი ბრძოლა. 10-ათასიანი ფრანგული ჯარი რუსთა 4-ათასიან არიერგარდს დაესხა თავს. ფრანგები შეაჩერეს და მილორადოვიჩის სამი პოლკის მოსვლის შემდეგ, რუსები შეტევაზე გადავიდნენ. როზენბერგმა ძალები 7 ათას ჯარისკაცამდე გაზარდა და ბრძოლისთვის მოემზადა. მასენამ მოკრიბა თავისი ძალები, დაახლოებით 15 ათასი ჯარისკაცი და ისევ შეტევაზე გადავიდა.

ფრანგებმა რუსებს ძლიერი ცეცხლით აიძულეს უკან დახევა და დაედევნენ კიდევამასობაში რუსთა დანარჩენი ძალები სამ ხაზად მოეწყვნენ. თითოეულ საბრძოლო ხაზს ერთმანეთს 300 მეტრი ამორებდა, კავალერია ფლანგებზე განლაგდა, რეზერვში ორი პოლკი იდგა. ამ ძალებით ისინი კონტრიერიშზე გადავიდნენ და ფრანგთა ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, მოახერხეს მიახლოება და ხელ-

ჩართულ ბრძოლაში ჩაბმა. ფრანგები დამარცხდნენ და 3 ათას კაცამდე დაკარგეს დაჭრილებისა და დაზოცილების სახით. რუსებმა 700-მდე ჯარისკაცი დაკარგეს. როზენბერგის გამარჯვებამ ლაშქრობას წარმატებულის ელფერი მისცა. ავსტრიელებმა და რუსებმა ილანცესკენ დაიხიეს, სადაც სურსათ-სანოვაგის მარაგი მიიღეს, იქიდან კი სოფელ კურს მიადგნენ.

სუვოროვის შვეიცარიული ლაშქრობა უმედგოდ დასრულდა. მალე სუვოროვს რიმსკი-კორსაკოვიც შეუერთდა თავისი ჯარის ნარჩენებით. სუვოროვმა ახალი ჯილდოები მიიღო, მათ შორის მარია ტერეზას პირველი ხარისხის ორდენი. რუსთა ჯარი ბავარიისა და ბოჰემიის გავლით მიდიოდა, ის ერთხანს ციხესიმაგრე შკვორეცში გაჩერდა და ფრანგებთან ბრძოლის განახლებას ელოდა. თუმცა ომი აღარ განახლებულა და რუსებმა სამშობლოში დაბრუნება დაიწყეს. კრაკოეში სუვოროვმა მთავარსარდლობა როზენბერგს გადააბარა. გზად მოხუცი რუსი ფელდმარშალი ავად გახდა და დაბა კობრინში გაჩერდა. მალე სუვოროვი მომჯობინდა და გზა განაგრძო. პეტერბურგში ჩასვლამდე სუვოროვი დმიტრი ხვოსტოვის სახლში გაჩერდა. პავლე I-მა უარი თქვა იტალიის კამპანიის გმირის მიღებაზე. შვეიცარიის კამპანიის შედეგებით უკმაყოფილო იმპერატორმა, რომელსაც არც მანამდე მოსწონდა სუვოროვი, შერისხა მოხუცი ფელდმარშალი და თავიდან მოიშორა. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ სუვოროვმა თქვა: „შზად ვარ უფალს ჩავაბარო ანგარიში, მაგრამ ხელმწიფეზე ახლა ფიქრიც კი არ მინდა“. 1800 წლის 18 მაისს სუვოროვი გარდაიცვალა. ის ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაკრძალეს. საფლავზე უბრალო, მაგრამ მეტყველი წარწერაა: „აქ განისვენებს სუვოროვი“.

ალექსანდრე სუვოროვი როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარია. მან 35 დიდი ბრძოლა მოაწყო და არ დამარცხებულა. სუვოროვმა მსოფლიოს თავისი სამხედრო ნიჭი და უნარი რამდენიმე ბრწყინვალე კამპანიით დაანახვა და დაამტკიცა, რომ იმ დროისთვის რუსეთის ჯარები და მისი მთავარსარდლები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ.

ნიკა სოფიერიძე

ჰიტლერის პირი ბელაჯობაში უნგრეთი საკისფარ და წითელ ჭირს შორის



ოტო სკორცენი ბუდაპეშტში ხელმძღვანელობდა გადართალების ოპერაციას, სახელწოდებით „მიკი მაუსი“

ბერლინი, 1944 წლის 16 სექტემბერი.

რაიხსფიურერმა ჰიმლერმა მოხსენება დაამთავრა. ჩაფიქრებული ჰიტლერი ჩუმად იჯდა. მაშ, ადმირალი ჰორტი სეპარატისტული ზავის დადებას აპირებს? გერმანიას უკვე ბულგარეთი და რუმინეთი ჩამოშორდნენ, ახლა უნგრეთის ჯერი დადგა.

— ჰორტის დამხობა აუცილებელია, — წყნარად წარმოთქვა ჰიტლერმა, — ისმის კითხვა, ვინ შეცვლის მას?

— დღეს კანდიდატურა მხოლოდ ერთია, ფერენც სალაში, — მიუგო ჰიმლერმა.

ოპერაციის გეგმა თვით ჰიტლერმა დაამტკიცა. მისი კოდური სახელწოდება „მიკი მაუსი“ გახდა. მალე ბუდაპეშტში SS-ის შტურმბანფიურერი ოტო სკორცენი ჩავიდა. ჰორტის დამხობის ოპერაცია მას უნდა შეესრულებინა.

თბილისელი სომხის შვილიშვილი

ექსტრემისტები თავისებური ფსიქიკის ხალხია, განსაკუთრებით ისინი, ვინც რასობრივ სინდრომზე გაჰყვირის. ასეთები ხშირად თავად არიან ფრიად „საეჭვო“ წარმომობისა. ჰიტლერი ავსტრიელი გახლდათ, რუმინელ „რკინის გვარდიელთა“ ლიდერი კოდრიანუ (ზელინსკი) ნახევრად პოლონელი, ნახევრად ებრაელი ბრძანდებოდა,

უნგრულ ნაციისტთა ფიურერი სალაში კი წარმომობით სომეხი იყო.

ფერენც სალაში ოფიცრის ოჯახში დაიბადა. ბაბუამისი ამოტ სალაშიანცი თბილისელი იყო. საქართველოს დედაქალაქში მას პატარა დუქანი ჰქონდა. ამოტი გაკოტრდა და თბილისი დატოვა. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ ბუდაპეშტში დასახლდა, სადაც ნაყინით ვაჭრობდა. ამოტის ვაჟმა სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, თუმცა სომხური



ფერენც სალაში

წარმომავლობა კარიერაში ხელს ძალიან უშლიდა. აშოტის შვილიშვილი ფერენციც მსგავს პრობლემებს წააწყდა.

ჭაბუკ სალაშიანცს ხშირად შეახსენებდნენ ხოლმე, რომ ე.წ. „ნამდვილი უნგრელი“ არ იყო. მართლაც, მამამისი სომეხი გახლდათ, დედა კი ნახევრად უნგრელი, ნახევრად სლოვაკი, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი.

ფერენცი მამის მსგავსად ოფიცერი გახდა. სამხედრო სასწავლებელში კარგად სწავლობდა. 1917 წლის მარტში კურსანტი სალაშიანცი თავის ჯგუფელს წაეჩხუბა. ამ უკანასკნელმაც მიამახა:

— აი, შე სომეხო, შენა!

ფერენცმა შეურაცხყოფელი დუელში გამოიწვია და მძიმედ დაჭრა. ციხეს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ფრონტზე მოხალისედ წავიდა. პირველ მსოფლიო ომში ავსტრია-უნგრეთი დამარცხდა, 1918 წელს კი უნგრეთში საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა. ამან სამოქალაქო ომი გამოიწვია. შემოთუბულმა ანტანტამაც უნგრეთში ინტერვენცია მოაწყო. საბჭოთა რესპუბლიკა გააუქმეს, უნგრეთი კი დაანაწილეს. მას ჩამოშორდა აღრიატიკის სანაპირო, ვოეოდინა, ბუკოვინა,

იმიერკარპატისპირეთი, სლოვაკეთი, ტრანსილვანია... ქვეყანაში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სამხედრო-სახლგაო ფლოტის აღმირალის, მიკლოშ ჰორტის ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა.

— თავდაპირველად უნგრელები ჰორტის უაყოფითად შეზღუნენ. ანტიპათიას ისიც ამდაფრებდა, რომ ჰორტი პროტესტანტი იყო, უნგრელთა უმრავლესობა კი კათოლიკე, — წერს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირხი.

ჰორტიმ უნგრეთი სამეფოდ გამოაცხადა, თუმცა მეფის ნაცვლად რეგენტის პოსტი არსებობდა. პარლამენტმა ეს ტიტული ჰორტის მიანიჭა. რეგენტს უდიდესი ძალაუფლება გააჩნდა, შეეძლო პარლამენტი დაეთხოვა ან მისი ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის ვეტო დაედო. რეგენტს ემორჩილებოდა მთავრობა, არმია, პოლიცია. რეგენტი ნიშნავდა ქალაქების მერებს, მამასახლისებს და სხვ. 1934 წელს პარლამენტმა რეგენტის პოსტი მემკვიდრეობითად გამოაცხადა. ჰორტის ვაჟიც ოფიციალურად მისი მემკვიდრე გახდა.

— აღმირალი, ფაქტობრივად, მეფის უფლებებით სარგებლობდა. უნდა აღინიშნოს, რომ მან ეს ქვეყნისთვის სასიკეთოდ გამოიყენა, — წერს უილიამ შირერი.

ჰორტიმ შეძლო წესრიგის დამყარება. მიაღწია, რომ დამარცხებული, გაპარტახებული ქვეყანა ფეხზე დამდგარიყო. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული უნგრეთი ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილი საერთაშორისო სისტემის გადახედვას ესწრაფვოდა. ბუნებრივია, პატარა ქვეყანას ამის გაკეთება მართო არ შეეძლო. უნგრეთიც „ღერძის ქვეყნების“ ბლოკს (გერმანია-იტალია-იაპონია) შეუერთდა, თუმცა ამას ქვეყნის ფაშიზაცია არ მოჰყოლია. ჰორტის რეჟიმი შორს იდგაროგორც გერმანული ნაციზმისგან, ასევე იტალიური ფაშიზმისგან. ავტორიტარიზმის მიუხედავად, უნგრეთში არსებობდნენ ოპოზიციური პარტიები, ოპოზიციური პრესა, მოქმედებდა პარლამენტი. ებრაულ კაპიტალს კი ეკონომიკაში წამყვანი პოზიციები ეკავა.

— ჰორტი ტიპური ევროპელი კონსერვატორი იყო. ცნებები — ოჯახი, რელიგია, ტრადიციები, მისთვის წმიდააწმიდა გახლდათ. ის ყველაფერს აკეთებდა დიდი უნგრეთის ასაღორძინებლად. შოვინისტური განწყობილებებიც მაშინდელ უნგრეთში ფართოდ

გაგრცვლდა, — წერს სერ უინსტონ ჩერჩილი.

ასეთ ვითარებაში მოვიდა პოლიტიკაში ნიჭიერი ოფიცერი ფერენც სალაშიანცი. ბრძოლამ მას პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც მოუწია. როცა უნგრეთი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოვიდა, მან თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და უნარიანმა ოფიცერმა. სალაშიანცი ნაციის დამცველთა ჯვრით დააჯილდოვეს. მაიორის ჩინსაც ახალგაზრდულ ასაკში მიაღწია. თუმცა ჰორტიმ სალაშიანცი არ შეიყვანა იმ ოფიცერთა რიცხვში, რომელთაც საკუთარ საყრდენად განიხილავდა. ჰორტისტულ არმიაში რაინდების ორგანიზაცია არსებობდა. სწორედ ეს ოფიცერთა კასტა მიაჩნდა ჰორტის თავის დასაყრდენად. სალაშიანცი რაინდთა რიგებში ვერ მოხვდა, თუმცა ამას გულმოდგინედ ცდილობდა.

ფერენცმა ეს მტკივნეულად აღიქვა და ჰორტის მოწინააღმდეგე შეიქნა. იმავდროულად, ტყვეიდან ძვრებოდა ნამდვილი უნგრელობის დასამტკიცებლად. ჯერ გვარი გადაიკეთა და სალაში გახდა, შემდეგ იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ნება“ შექმნა. მისი მიზანი ჰორტის დამხობა და უნგრეთის იმპერიის აღდგენა იყო. კონტრდაზვერვამ სალაში დააპატიმრა. მართალია, მაშინდელი პრემიერის, დიულა გიომბიომის დახმარებით ციხეს თავი დააღწია, მაგრამ არმიაში მისი კარიერა დასრულდა. მალე სალაშმა შექმნა პარტია „ჯვარედინი ისრები“ (უნგრულად „ნილაშპარტ“, აქედანაა ტერმინი ნილაშისტი) და ლეგალური პოლიტიკური საქმიანობა წამოიწყო. ნილაშისტური პარტია უნგრეთის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ძალა შეიქნა. ამან ჰორტი შეაშფოთა. სალაში დააპატიმრეს. გისოსებს მიღმა აღმოჩნდა მისი რამდენიმე უახლოესი თანამებრძოლიც. სალაში ერთხანს საგიჟეთში მოათავსეს, შემდეგ ციხეში გადაიყვანეს, გაასმართლეს და ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. ნილაშისტური პარტია აიკრძალა. მიუხედავად ამისა, ჰორტიმ მისი განადგურება ვერ შეძლო. „ჯვარედინმა ისრებმა“ სახელი შეიცვალა და ჰუნგარისტულ მოძრაობად იქცა, შემდეგ კი არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ სალაში ციხეში იჯდა, პარტია მეორე ადგილზე გავიდა.

1940 წელს სალაში გაათავისუფლეს. ის იტალიაში გაემგზავრა და ჰუნგარისტულ მოძრაობაშიც კრიზისი დაიწყო.

სალაში და მისი მომხრეები აშკარა პოპულისტური, რასისტული, ანტისემიტური ლოზუნგებით გამოვიდნენ. მათი ეკონომიკური პროგრამა ძალიან ჰგავდა კომუნისტებისას. ნილაშისტები აღიარებდნენ კლასთა ბრძოლის თეორიას, იმას, რომ კაპიტალიზმი უნდა დაემხოს და სანაცვლოდ მუშურ-გლეხური სახელმწიფო შეიქმნას. მხარს უჭერდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერებას, მოითხოვდნენ მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას. კომპარტიის მსგავსად, „ჯვარედინი ისრებიც“ წარმოადგენდა ტოტალიტარულ სტრუქტურას ბელადის კულტით. სალაშის მომხრეების უმრავლესობა მუშები და ღარიბი გლეხები იყვნენ. ნილაშისტებს კომუნისტებისგან მხოლოდ რასიზმი, ანტისემიტიზმი და უკიდურესი შოვინიზმი განასხვავებდა. სალაშის აზრით, უნგრეთი რასობრივად წმინდა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო, ყველა ისტორიულად უნგრული ტერიტორია შემოეერთებინა. ასეთად კი მთელი დასავლეთ უკრაინა, ტრანსილვანია, სლოვაკეთი და იუგოსლავიის ნახევარი მიიჩნეოდა. ამგვარმა ექსტრემიზმმა თვით პიტლერიც კი შეაშფოთა. ფიურერმა ჰორ-



ადმირალი მიკლოშ ჰორტი



გერმანული და უნგრული დროშები ბერლინში



მიკლოშ ჰორტი და ჰიტლერი

ტი-სალაშის დაპირისპირებისას მხარი თავ-დაპირველად ადმირალს დაუჭირა.

— ჰორტი გონიერია, რასაც სალაშიზე ვერ ვიტყვი, — ამბობდა ჰიტლერი.

პატიმრობიდან გათავისუფლებულმა განაწყენებულმა სალაშიმაც იტალიაში რამდენიმე ანტიჰიტლერული განცხადება გააკეთა. პასუხად ჰიტლერმა სალაშისთან და მის პარტიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ბრძანა. სალაში მხოლოდ 1942 წელს გაიხსენეს, როცა რუსეთში ელვისებური ომის ჰიტლერული გეგმა ჩაიშალა. ნილაშისტების ფიურერი ბერლინში მიიწვიეს. ის თავად ალფრედ როზენბერგმა მიიღო. ამის შემდეგ სალაში უნგრეთში დაბრუნდა და დაქუცმაცებული ჰუნგარისტული მოძრაობა აღადგინა. სალაშის მომხრეები კვლავ ანგარიშგასაწყე ძალად იქცნენ.

ზაშის ძიგა

1942 წელს ადმირალმა ჰორტიმ დასაგლეთთან სეპარატისტული მოლაპარაკებები დაიწყო. დასაგლეთში იმხანად რუსულ საფრთხეს ნაკლებ აღიქვამდნენ. ინგლისელებმა და ამერიკელებმაც ჰორტის თანხმობა განუცხადეს, ოღონდ უნგრეთს მანამდე რუსეთთან უნდა დაედო ზავი. ჰორტი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სტალინის მუხანათობის ამბავი კარგად იცოდა. ამიტომ ამჯობინებდა, ხელშეკრულება ჯერ ინგლის-აშშ-სთან გაეფორმებინა.

— ქვეყანაში ანტიფაშისტთა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული ჯგუფები არსებობდნენ. მათ რიგებს არა მხოლოდ კომუნისტები განეკუთვნებოდნენ. საბჭოთა აგენტებმა ამ ხალხისგან ე.წ. უნგრეთის ფრონტი შექმნეს და გადატრიალებისთვის ემზადებოდნენ, — იხსენებდა ჰორტი მემუარებში.

დასაგლეთის ქვეყნების პოზიცია აიძულებდა ჰორტის, სტალინთან მოლაპარაკებები დაეწყო და ლოიალური ყოფილიყო „უნგრეთის ფრონტისადმი“. ადმირალიც იმას დასჯერდა, რომ ფრონტის ხელმძღვანელობაში თავისი ხალხი ჩანერგა, მათი მემკვიბით კონტაქტი დაამყარა როგორც კრემლთან, ასვე იუგოსლავი პარტიზანების ბელად ბროზ ტიტოსთანაც. მალე ჰორტის ემისარი გენერალი ლაკატოში მოსკოვს გაემგზავრა. ის პირადად სტალინმა მიიღო.

ჩვენი პოზიცია მტკიცე იყო: უნგრეთი

ომიდან გამოვა და ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს. ვალდებულებას ვიღებთ, რომ საბჭოთა არმიას ჩვენს ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად გავატარებთ. იმპედროულად, სტალინმაც უნდა ვალდებულება იკისროს, რომ ჩვენს შინაურ საქმეებში არ ჩაერევა და უნგრეთის სოვეტიზაცია არ მოხდება, — წერდა თავის მეუბარებში ჰორტი.

სტალინმა უნგრეთის რეგენტის პირობები მყისვე მიიღო. მეტიც, ლაკატოშს განუცხადა, რომ მოსკოვი უნგრეთს ყველა იმ ტერიტორიის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა, რომელიც 1939 წლის შემდეგ შეიერთა. ამრიგად, რუსეთთან ზავის კონტურები რეალურად გამოიკვეთა, თუმცა ჰორტი მაინც შემფოთებული იყო.

— ვგრძნობდი, რომ სტალინი რაღაც მუხანათობას გვიშადებდა. ჩემს სასოწარკვეთილებას ისიც ამძაფრებდა, რომ მასთან კავშირის გაწყვეტა არ შემეძლო, აკი ინგლისელები კატეგორიულად მოითხოვდნენ, ზავი ჯერ რუსეთთან დადებულიყო, — იხსენებდა ჰორტი.

ბერლინისა და ვიენის შემოღობვა

ჰიტლერს უნგრეთში კარგად ორგანიზებული და განშტოებული აგენტურული ქსელი ჰქონდა. ჰორტის თამაშების შესახებ ჰიტლერი დეტალურად იყო ინფორმირებული. გერმანიისთვის ამ ქვეყნის დაკარგვა კატასტროფას ნიშნავდა, ამიტომაც 1944

წლის 18 მარტს უნგრეთში გერმანული არმია შევიდა. ჰორტი ხვდებოდა, რომ შექმნილ ვითარებაში წინააღმდეგობის გაწევა ქვეყნისთვის საშინლად დასრულდებოდა. რეგენტი დათანხმდა, პროინგლისურად განწყობილი პრემიერი მიკლოშ კალაი გერმანული ორიენტაციის დიომე სტოიით შეეცავალა. მოხდა ნილაშისტური პარტიის ლეგალიზაცია. მიუხედავად ამისა, ჰორტიმ იმდენს მიაღწია, რომ არც ებრაელთა დევნა და არც მასობრივი რეპრესიები არ დაწყებულიყო. ის მოთმინებით უცდიდა ხელსაყრელ დროს, რათა ჰიტლერულ ბლოკს ჩამოშორებოდა და ქვეყანა ომიდან გამოეყვანა. ასეთი მომენტი 1944 წლის შემოდგომისთვის დადგა. გერმანული არმია მთელ ფრონტზე უკან იხევდა. ჰიტლერს ჩამოშორდა ბულგარეთი და რუმინეთი, საბჭოთა არმია კი უნგრეთის საზღვრებს მიაღწა. ჰორტიმაც სტოიი თანამდებობიდან გადააყენა. პრემიერის პოსტი ლაკატოშმა დაიკავა. აღმირალმა სალაშის დაპატიმრების ბრძანება გასცა.

— გერმანელებმა სალაში დროულად გააფრთხილეს, მანაც თავი გერმანიის საელჩოს შეაფარა, — წერს ტიპელსკირხი.

საელჩოში სალაში შნაიდერის გვარით იმყოფებოდა. ნილაშისტების ფიურერს სისტემატური კავშირი ჰქონდა ოტო სკორცენისთან.

სკორცენის ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა SD-ს რეზიდენტმა უნგრეთში,



გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცები ბუდაპეშტში, 1944 წ.

SS-ის შტანდარტენფურერმა გიუნტერმა — გადასცა მაგნიტოფონის ფირი, სადაც „უნგრეთის ფრონტის“ ლიდერებისა და რუსეთის დაზვერვის ემისრის საუბარი იყო ჩაწერილი. ნათელი გახდა, რომ რუსები გადატრიალებას ამზადებდნენ.

— ჰორტიმ ამის თაობაზე უკვე იცის? — შეეკითხა სკორცენი.

— ჩვენ მას ყველაფერი ვაცნობეთ, აღმირალი ამკარად დაბნეულია.

გიუნტერმა სკორცენის თავისი აგენტი მაიორი იშტვან კომოროცი გააცნო. ის ჰორტის პირადი დაცვის ოფიცერი გახლდათ, ამიტომ დეტალურად იცოდა ყველაფერი, რაც რეგენტის კარზე ხდებოდა. კომოროცისთან საუბრის შემდეგ სკორცენიმ ოპერაცია „მიკი მაუსის“ გეგმაში შესწორებები შეიტანა.

— სამზადისი დამთავრდა, ჩვენ ნებისმიერი ვითარებისთვის მზად ვართ, — აცნობა ბერლინს სკორცენიმ.

მზანათობა

1944 წლის 16 ოქტომბერს ჰორტიმ მოსახლეობას რადიოთი მიმართა და უნგრეთის ომიდან გამოსვლის შესახებ ამცნო. გახარებული ხალხი ქუჩაში გამოეფინა, თუმცა მალე სინარული იმედგაცრუებამ შეცვალა. ბუდაპეშტის თავზე რამდენიმე საბჭოთა თვითმფრინავი გამოჩნდა. ქალაქის მთავარ მოედანზე შეკრებილ ხალხს ყუმბარები სეტყვასავით დააყარეს.

— ბუდაპეშტში პანიკა დაიწყო. სტალინსაც ეს სურდა. ქაოსისა და არეულობის პირობებში ხომ პრორუსული გადატრიალების ორგანიზება ძალიან ადვილია! — წერს არპად ჰენეი (უპორტფელო მინისტრი სალაშის მოძავალ მინისტრთა კაბინეტში).

გერმანია ამ ვითარებისთვის მზად იყო. სკორცენი SD-ს კონსპირაციულ ბინაზე მაიორ კომოროცის შეხვდა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ჰორტი რუსებთან მოლაპარაკებებს მაინც განაგრძობს.

— მან ტიტოს სთხოვა, სტალინთან მოლაპარაკებებში შუამავლის როლი ეკისრა. დღეს ბუდაპეშტში ტიტოს ემისარი ჩამოვა. მას ჰორტის ვაჟი ნიკლასი შეხვდება. — კომოროციმ სიგარეტს მოუკიდა და ნაფაზი დაარტყა.

— სად, როდისაა დანიშნული შეხვედრა? კომოროციმ გაიღიმა, სიგარეტი გამოიღო,



შემდეგ კი შეხვედრის ზუსტი დრო და ადგილი დაასახელა.

ბატაცმბა

სკორცენი, კომოროცისა და რამდენიმე უნგრელი ოფიცრის თანხლებით, ხსენებული ბინისკენ გაემართა. ყველას უნგრული სამხედრო ფორმა ეცვა. სახლის წინ მდგომმა დაცვამ კომოროცი უმაღ იცნო. მაიორმა მათ ჰორტის ხელმოწერილი საგანგებო საშვი წარუდგინა და ყველანი ბინაში შეუშვეს.

ელვისებური მოძრაობით სკორცენიმ იუგოსლავი პარტიზანების ემისარს გულში დანა გაურჭო. კომოროციმ რეოლევერი იძრო და ნიკლას ჰორტის შუბლზე მიადო.

— არ გაინძრე, თორემ გაგათავე!

თავდამსხმელებმა აღმირალის ვაჟი ძირს დასცეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, პირში კი ჩვარი ჩასწარეს. სკორცენიმ კვდიდან ვეებერთელა სპარსული ხალიჩა ჩამოსხნა და ჰორტის ვაჟი მასში გაახვიეს...

გარეთ მდგომი დაცვა თავდაპირველად ვერაფერს მიხვდა. თავდამსხმელებიც ხალიჩაში გახვეულ ნიკლას ჰორტისთან ერთად მანქა-



პარტია „ჯვარედინი ისრების“ (უნგრულად „ნილაშპარტ“) წევრები ბუდაპეშტში

პუტჩი

ნახევარი საათის შემდეგ სალაშის მომხრეები ქუჩაში გამოვიდნენ. ბუდაპეშტის გარნიზონი სრული შემაღენლობით მათ მხარეს გადავიდა. ნილაშისტებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ფოსტა, ტელეგრაფი, რადიო, მინისტრთა კაბინეტის შენობა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები. ბუდაპეშტი მათ ხელში აღმოჩნდა. პორტი, რომელიც ქალაქგარეთ თავის რეზიდენციაში გამაგრდა, ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდა.

ადმირალმა ბუდაპეშტისკენ ორი საღესანტო დივიზია გადმოისროლა, რომელთაც პუტჩის ჩახშობა და მოთავეების დაპატიმრება უბრძანა. ჯარმა ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადა და ნილაშისტებს შეუერთდა.

— სალაშის სახით უნგრეთში მართლაც საიმედო საყრდენი გვყავდა. ნილაშისტებმა იმდენი მოახერხეს, რომ მთელი უნგრული არმია პორტის განუდგა. გამონაკლისს მხოლოდ გენერალი მიკლოში და კიდევ რამდენიმე ოფიცერი წარმოადგენდნენ, რომლებიც რუსების მხარეს გადავიდნენ, — წერს თავის მემუარებში ოტო სკორცენი.

სალაშის პორტის შეპყრობა და ჩამოხრჩობა სურდა. გერმანელებმა ამის უფლება არ მისცეს. ჰიტლერს პორტისთან დაკავშირებით სხვა გეგმები ჰქონდა. ადმირალის რეზიდენციის შტურმი სკორცენის დაეკალა.

ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. სკორცენის მეთაურობით გერმანულმა სპეცრაზმმა პორტის რეზიდენცია ყოველგვარი დანაკარგების გარეშე აიღო. სკორცენის დატყვევებული ადმირალიც მიჰკვარეს. პორტის ამაყად ეჭირა თავი და ცდილობდა, ასეთ ვითარებაშიც ღირსება შეენარჩუნებინა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — თავიანად წარმოთქვა სკორცენიმ, — ფიურერმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენი და თქვენი ოჯახის უსაფრთხოება დაცული იქნება! გადავიყვანთ ბაუარიამში, უსაფრთხო ადგილას, სადაც ომის დამთავრებას დაელოდებით.

— მე უნგრეთის რეგენტი ვარ! — ამაყად მიუგო პორტიმ, — ეს ტიტული პარლამენტმა მომანიჭა. შესაბამისად, ჩემი უფლებამოსილების შეჩერებაც მხოლოდ პარლამენტს შეუძლია!..

ნაში დაუბრკოლებლად ჩასხდნენ. უეცრად ერთ-ერთმა მცველმა წარმოთქვა:

— გვაჩვენეთ, რა მიგაკვთ!

პასუხად სკორცენიმ რევოლვერი იძრო და ცეცხლი გახსნა. ტყვიით განგმირული მცველი დაეცა. სახურავეებზე კი სკორცენის ხალხი იყო დადარაჯებული. მათ დაცვას ცეცხლი გაუხსნეს. სანამ მცველები გონს მოეგებოდნენ, თავდამსხმელთა კვალიც გაქრა. მათ თან ხალიჩაში გახვეული პორტის ვაჟიც წაიყვანეს.

ნიკლას პორტი შვების მთაზე SD-ს რეზიდენციაში მიიყვანეს. სკორცენიმ უნგრეთში SD-ს რეზიდენტს, პოლკოვნიკ გიუნტერს მოასხენა, ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. გიუნტერმა შვებით ამოისუნთქა.

— მაღლობა ღმერთს! ჩვენებიდან ვინმე ხომ არ დაღუპულა?

— საბედნიეროდ არა. სალაში სად არის?

— გუშინდელს აქეთ ჩვენს საელჩოშია.

სკორცენი აპარატს დასწვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ სალაშისთან დააკავშირეს.

— დაიწყეთ! — სკორცენის ღირექტივა მოკლე და კონკრეტული იყო.



ფერენც სალაში ბუდაპეშტში, დუნაის სანაპიროზე. ის ორი წლის შემდეგ ჩამოახრჩვეს

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გირჩევთ დაფიქრდეთ! მით უმეტეს, რომ თქვენი ვაჟი ჩვენ ხელთაა.

— რაო?! — ჰორტიის თავბრუ დაეხვა.

— დიახ, ნიკლასი ჩვენს ხელთაა! ასე რომ, გაჯიუტება არ ღირს.

...იმავ დღეს ჰორტიმ რადიოთი გადადგომის შესახებ გამოაცხადა, თუმცა ძალაუფლების სალაშისთვის გადაცემაზე კატეგორიული უარი განაცხადა. სკორცენი არ მისძალბია, მას ყველაფრის სწრაფად დამთავრება სურდა. მისი ბრძანებით, ჰორტიის გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს. იმავ დღეს ადმირალმა რძლისა და პატარა შვილიშვილის თანხლებით უნგრეთი დატოვა. ჰორტი ომის დამთავრებამდე ბავარიის, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა.

ჰორტიის გადადგომიდან ორ საათში უნგრეთის პარლამენტის სესია მოიწვიეს. ზოგიერთი დეპუტატი არ გამოცხადებულა, მაგრამ კვორუმი შედგა. პარლამენტმა დააკმაყოფილა ჰორტიის თხოვნა გადადგომის შესახებ, შემდეგ კი რეგენტად ფერენც სალაში გამოაცხადა. პარლამენტმა მას ერის ბელადის ტიტული მიანიჭა. უნგრეთმაც განაგრძო ომი უკვე დასაღუპავად განწირული ჰიტლერული გერმანიის მხარეს.

ოპერაცია „მიკი მაუსი“ დასრულდა.

მიკლოშ ჰორტი ტყვეობიდან ამერიკელებმა გაათავისუფლეს, მისი ვაჟი ნიკლასი კი ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. ნიურნბერგის ტრიბუნალზე ითქვა, რომ ჰორტი სამხედრო დამნაშავეთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა. ამის შემდეგ ადმირალი ლისაბონში გაემგზავრა. გარდაიცვალა 1957 წელს. უნგრეთში კომუნისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ, ჰორტიის ნეშტი გადაასვენეს და საგვარეულო სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს.

ფერენც სალაში 1946 წელს გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს. რაც შეეხება მაიორ კომოროციის, ის ომის შემდეგ არგენტინაში გადაიხვეწა და ხუან პერონის კონტრდაზვერვაში მუშაობდა. პერონის დამხობის შემდეგ კომოროცი მადრიდში გადასახლდა. ოტო სკორცენი, რომელიც იქ ცხოვრობდა, პატარა რესტორნის გახსნაში დაეხმარა. კომოროცი 1970 წელს გარდაიცვალა. სკორცენიც მადრიდში აღესრულა 1975 წელს.

ნიკა თაგაზაძე

ისტორიის დოქტორი



გადარჩენილთა ფერადი ფოტო, გადაღებული თვითმფრინავის უკანა ნაწილში ნაპოვნი ფოტოკამერით

1972 წლის „ანდების სანაული“

2013 წლის 13 ოქტომბერს 41 წელი გავიდა 571-ე რეისის კატასტროფიდან, რომელმაც მსოფლიო შეძრა. 45 მგზავრიდან ცოცხალი მხოლოდ 16 გადარჩა. მათ არგენტინის ანდებში 72 დღე გაატარეს. საკვების უქონლობის გამო იძულებული შეიქნენ, დაღუპული მეგობრების გვამები ამ მიზნით გამოეყენებინათ...

ახალგაზრდა ურუგვაელ მორაგბეთა გუნდმა, რომელსაც ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში უნდა ეთამაშა, თვითმფრინავი დაიქირავა. ვინაიდან მოთამაშეები ძალიან ახალგაზრდები იყვნენ (18-დან 23 წლამდე ასაკისა), მათ ურუგვაის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი დაიქირავეს, რაც გაცილებით იაფი ჯდებოდა. გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე მორაგბეებს აცნობეს, რომ ათი ადგილი თავისუფალი იყო და მათ ახლობლების წაყვანა შეეძლოთ. 1972 წლის 12 ოქტომბერს ურუგვაელები ჩილეში უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ ამინდის გაუარესების გამო პილოტი იძულებული გახდა, არგენტინის ქალაქ მენდოზაში დაფრენილიყო.

მეორე დღეს პილოტმა გზა განაგრძო. ამჯერად მან კურსი შეცვალა და დანიშნულების ადგილამდე ჩაფრენა შემოვლითი გზით (მენდოზა-კურიკო-სანტიაგო) გადაწყვიტა, რაც საშუალებას მისცემდა, დაბალ სიმაღლეზე ეფრინა.

თვითმფრინავში 45 ადამიანი იმყოფებოდა. ახალგაზრდები მხიარულობდნენ და შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ. მოულოდნელად ამინდი გაუარესდა, რამაც ხილვადობა თითქმის ნულამდე დაიყვანა. პილოტს დიდი პრობლემა შეექმნა — მას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იმყოფებოდა. აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავი 5 ათასი მეტრის სიმაღლის ანდების ერთ-ერთი მწვერვალისკენ მიფრინავდა. როცა შეცდომა შეამჩნიეს, უკვე დაგვიანებული იყო.

შეჯახება საშინელი აღმოჩნდა. ორად გაპოხილი თვითმფრინავის წინა ნაწილი თოვლზე სრიალს განაგრძობდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სადაცაა, საბედისწერო შეჯახება უნდა მომხდარიყო. თუმცა თვითმფრინავი თოვლში ცხვირით ჩაესო და შეჩერდა.

პირველი დღეები

45 მგზავრიდან 12 დაიღუპა. გადარჩენილთათვის პირველი დღე განსაკუთრებით მძიმე



571-ე რეისის თვითმფრინავი FH-227

გამოდგა. ისინი აღმოჩნდნენ უდაბურ ადგილას, რომლის კლიმატი ურუგვაელთათვის სრულიად უცხო იყო. მზე დღის ოთხ საათზე ჩავიდა და თითქმის 15 საათს არ ამოსულა. ამას ერთვოდა ძლიერი სიცივე და ჰაერის უკმარისობა. პირველი ღამის გადატანა ყველამ ვერ შეძლო. დაიღუპა კიდევ 5 ადამიანი.

მეორე დღეს ურუგვაელებს ზემოდან თვითმფრინავის ხმა მოესმათ, რომელმაც ისინი ვერ შეამჩნია. უნდა ითქვას, რომ სამძებრო სამუშაოებში სწრაფად ჩაერთვნენ ურუგვაის, არგენტინისა და ჩილეს სამამუველო დანაყოფები, მაგრამ თვითმფრინავის კარკასის თეთრი ფერის გამო მისი შემჩნევა თოვლში პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. გადარჩენილები იმედს მაინც არ კარგავენ, მაგრამ მათი იმედები მალევე გაქარწყლდა — მცირე რადიოგადამცემით შეიტყვეს, რომ სამძებრო სამუშაოები მალე შეწყდებოდა და მათ დაღუპულებად მიიჩნევდნენ.




ურუგვაელ მორაგბეთა გუნდს ჩილეში უნდა ეთამაშა

იპულებითი კანიზალიზმი

გადიოდა დღეები და კატასტროფაში მოყოლილთ, რომელთაც არ გააჩნდათ თბილი ტანსაცმელი, პრაქტიკულად შიშველი ხელებით უწევდათ ძლიერ ყინვასთან გამკლავება. წყლის პრობლემაც დადგა, თუმცა ეს შედარებით მარტივად აღმოფხვრეს, ლითონის ფირფიტებზე თოვლს დებდნენ და შხის სითბოთი ალღობდნენ. ხოლო საკვების მარაგი — რამდენიმე შეკვრა შოკოლადი და მცირეოდენი ღვინო, მალე ამოიწურა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ახლომასლო არ იყო მცენარეულობა და არც ცხოველები ჩანდა სადმე, რათა მათი შემწეობით შიმშილი რამდენადმე შეემსუბუქებინათ.

ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მონაწილე კარლიტოს პაესი იხსენებს: — როცა ნანდო პარადოს საკვები მარაგის ამოწურვის შესახებ უთხრეს, მან უნებლიეთ წამოიძახა, რომ მზად იყო შეეჭამა პილოტები, რადგან ყოველივე, რაც მათ შეემთხვათ, სწორედ პილოტების ბრალი იყო. ამ ვარიანტის განხილვა ყველასთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მაგრამ შიმშილმა და სიცოცხლის შენარჩუნების მძაფრმა სურვილმა ეს საკითხი მალე კვლავ დასვა დღის წესრიგში და თანაც მკაცრად. მდგომარეობას მხოლოდ ის ართულებდა, რომ დაღუპულები მათი ოჯახის წევრები ან მეგობრები იყვნენ.



მეზაერების სიის დეღანი

მთები ანდებში, სადაც თვითმფრინავი ჩამოვარდა





მეორე ფერადი ფოტო, გადაღებული იმავე კამერით

პირველი, ვინც ძალა მოიკრიბა და ამის გაკეთება შეძლო, იყო რობერტო კანეზა, — მან პირველმა მოაჭრა გვამს ხორცის რამდენიმე ნაჭერი.

ამის შემდეგ, სიკვდილის პირას მისულნი, წინასწარ იძლეოდნენ უფლებას, რომ გარდაცვალების შემთხვევაში გადარჩენილებს მათი გვამები საკვებად გამოეყენებინათ.

ზვავი

ანდები ცნობილია თოვლის ხშირი ჩამოწოლით. გადარჩენილებმა არაფერი იცოდნენ


იმის შესახებ, რომ ჩამოვარდნილი თვითმფრინავი სწორედ ზვავსაშიშ ზონაში იმყოფებოდა. ზვავის ჩამოწოლა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მეტერამეტრე დღეს, საღამო ჟამს გაისმა კიდევ შემზარავი გრუსუნები. ეს იყო უხვი თოვლის ჩამოწოლის ხმა. თოვლი პირდაპირ თვითმფრინავის კაბინაში შევარდა და რამდენიმე წამში იქაურობა ამოავსო. პირველი, ვინც თოვლისაგან თავის დაღწევა შეძლო, როი ჰარლი იყო. მას მოჰყვა კარლიტოს პავსიც. გადარჩენილებმა სწრაფად დაიწყეს თოვლიდან მეგობრების ამოყვანა, მაგრამ



1993 წელს ფრენკ მარშალმა ურუგვაელ მორაგბეთა ამბაზე მხატვრული ფილმი „ცოცხლები“ გადაიღო. კატასტროფის ადგილი მან ასე დაინახა



მარცხნიდან: ნანდო, ჩილეელი ფერმერი სერხიო კატალანო და რობერტო კანეზა



წერილი, რომელიც ნანდომ კატალანოს დაუწერა



მარცხნიდან: ნანდო, ჩილეელი ფერმერი სერხიო კატალანო და რობერტო კანეზა (2005 წლის მარტი)

მსხვერპლი მაინც საგრძნობი აღმოჩნდა — ზვავის შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა. ცოცხალი მხოლოდ 19 დარჩა. თოვლმა მათ გარეთ გასასვლელი ჩაუხერგა. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ზვავმა დადებითი როლიც შეასრულა — თვითმფრინავს ღია მხარე ჩაუხერგა, საიდანაც სიცივე აღარ შემოდიოდა. ისიც „კარგი“ იყო, რომ მიეცათ კიდევ 8 გვამი... მათი შემწვობით, დაახლოებით თვე-ნახევრით შეეძლოთ არსებობის გახანგრძლივება.

ხსნის გზა

კატასტროფიდან ორი თვის შემდეგ 45 მგზავრიდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 16.

ერთ-ერთი გადარჩენილი ნანდო პარადო ხვდებოდა, რომ უბედურებიდან თავის დაღწევის გზა თვითონვე უნდა მოეძებნათ, რადგან სხვაგვარად ყველანი დაიღუპებოდნენ. მის ამ სურვილს ისიც აძლიერებდა, რომ ჯერ კიდევ ხელუხლებელ გარდაცვლილთა შორის მისი დედა და დაც იყო; თუ ვერ გაბედავდნენ გადარჩენის გზის საძებნელად წასვლას, მათი შეჭმაც გარდაუვალი გახდებოდა. პარადო ხვდებოდა იმასაც, რომ მარტო წასვლა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ ის თანამგზავრს ეძებდა. მასთან ერთად წასვლა მხოლოდ რობერტო კანეზამ და ანტონიო ვისენტინიმ გაბედეს.

წასვლის წინ მეგზურებს კარლიტოს პაესმა საძილე ტომრები დაუმზადა, რომელიც მან სავარძლების სახურავებისგან შეკერა. ჩანთები აავსეს რამდენიმე დღის სამყოფი ხორციით და გზას გაუდგნენ.

ჯგუფის მეთაურობა ნანდო პარადომ ითავა. ის ამხნევებდა და ყველანიარად ეხმარებოდა ღონემიხდილ მეგობრებს. სადამოებით მორაგბეები სვლას წყვეტდნენ და საძილე ტომრებში ითბუნებოდნენ. სამი დღის სიარულის შემდეგ ვისენტინი საკმაოდ დაუძლურდა. ნანდო პარადომ სთხოვა, უკან დაბრუნებულიყო. ვისენტინის უარი არ უთქვამს. ის უკან გაეშურა და მშვიდობიანად დაბრუნდა თვითმფრინავთან.

გზა მხოლოდ პარადომ და კანეზამ განაგრძეს. ნელ-ნელა გაყინულ ფერდობებს სიმწვანე ჩაენაცვლა, იგრძნობოდა ტემპერატურის მომატებაც, მაგრამ ეს მთლად სასიკეთოდ არ წაადგათ — სითბოში ხორცმა სწრაფად დაიწყო გაფუჭება.

მგზავრობის მეცხრე დღეს მაიტენესის

ხობას მიადგნენ. მორაგბეებს აქ გაჩერებამ მოუწიათ, რადგანაც დიზენტერიით დაავადებულ კანეზას სიარულის ძალა აღარ შესწევდა. მხოლოდ მომდევნო დღეს განაგრძეს წინსვლა. მალე დაინახეს, რომ მდინარის პირას ძროხა ძოვდა ბალახს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — მიხვდნენ, რომ სადღაც ახლოს დასახლებული პუნქტი უნდა ყოფილიყო.

ათი დღის სიარულის შემდეგ მათ თითქმის 65 კილომეტრი ჰქონდათ გავლილი. კატასტროფიდან 70-ე დღეს მდინარის მეორე მხარეს მათ ჩილეელი ფერმერი, სერხიო კატალანო შენიშნეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ მდინარის ხმაურის გამო მას ხმა ვერ მიაწვდინეს. უკიდურესი დაუძლურების გამო, გადაცურვასაც ვერ შეძლებდნენ. მეორე დღეს იგივე მამაკაცი კვლავ გამოჩნდა. ნანდომ მას ხელი დაუქნია. უცნობმა გონიერება გამოიჩინა — მორაგბეებს ქვას გამობმული ქაღალდი და ფანქარი გადაუგდო. ახალგაზრდებმა ფურცელზე დაწერეს თავიანთი უბედურების ამბავი და უკანვე გადაუგდეს. წერილი წაიკითხა თუ არა, სერხიო კატალანომ ხელით ანიშნა ახალგაზრდებს, რომ მასველებს მოიყვანდა. წასვლის წინ მან



ზემოთ ნანდო და მამუელები ვერტმფრენით კატასტროფის ადგილას გაფრენის წინ. ქვემოთ პირველი დახმარება





მემორიალი კატასტროფის ადგილას (2002 წელი)



რობერტო კანეზა სახელოვანი პედიატრი კარდიოლოგი გახდა და 1994 წელს საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყრიდა კენჭს



გადარჩენილების შეკრება ტრაგედიის 30 წლისთავზე

მცირედენი პური და ყველიც გადაუგდო ურუგვალებს.

უცნობმა მამაკაცმა დაპირება შეასრულა. მაშველები მოვიდნენ და სიკვდილმაც უკან დაიხია. გადარჩენილთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშველებმა ნანდოს უთხრეს, რუკაზე ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც მისი მეგობრები იყვნენ. მას შემდეგ, რაც ნანდომ ადგილმდებარეობა მიუთითა მაშველებს, ისინი გაოცდნენ, მითითებული ადგილი არგენტინის ტერიტორია იყო, ხოლო ისინი ჩილეში იმყოფებოდნენ.

კატასტროფის ადგილას დარჩენილებმა რადიოგადამცემით შეიტყვეს, რომ ანდებში ჩამოვარდნილი თვითმფრინავიდან ორი გადარჩენილი ადამიანი აღმოაჩინეს. ამ სასიხარულო ამბების მომსმენნი ცრემლს ვერ იკავებდნენ, რადგანაც მათი ტანჯვა დასასრულს უახლოვდებოდა.

მცირე ხანში ვერტმფრენების ზმაც გაისმა, რომელთაც მეგზურად ნანდო პარადო მოჰყვებოდა. ყველანი გამოვიდნენ დამტვრეული თვითმფრინავიდან და სიხარულით შეეგებნენ. იმავე დღეს ყველას შეველა ვერ მოხერხდა, მხოლოდ ნაწილი გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილას. მეორე დღეს კი დარჩენილებიც იხსნეს.

ცხოვრება გადარჩენის უმძღო

ანდებიდან სამშობლოში დაბრუნებულებს გაზეთებში ხვდებოდათ შემწარავი სტატიები, სადაც მათ კანიბალიზმში ადანაშაულებდნენ. თუმცა მათ ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა არავის სურდა. გადარჩენილები როგორც ანდებში, ისე სამშობლოშიც, ვაჟ-კაცურად უმკლავდებოდნენ მათდამი აგორებულ ზიზღს.

კარლიტოს პაესი იხსენებს: „აქ ყველა ცდილობს ცოცხლად შეჭამოს ახლობელი. ჩვენ კი იქ ერთმანეთისადმი გვექონდა წმინდა და მეგობრული გრძნობები. „ყველაფერს დაეთმობდი, რათა იგივე განმეცადა“, — ამ სიტყვებით პაესმა ცილისმწამებლებს ნამდვილი გმირობის ფასი დაანახვა.


ყოველი წლის 22 დეკემბერს, 571-ე რეისის გადარჩენილი მგზავრები იკრიბებიან და 72 დაუსრულებელ დღეს იხსენებენ. ამით ისინი დალუპულ მეგობრებს მიაგებენ პატივს.

კონსტანტინე ბარამიძე

ისტორიის პაკალავარი

ინფორმაცია, რომელიც მიზანში ხვდება!

საქმიანობა



სამხედრო-ანალიტიკური
ყოველთვიური ურნალი

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!
წიგნები ადგილზე მითანიონ-elva.ge; ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

პოტალა



„ადგილი, რომელიც სამოთხეს აფრქვევს“

1994 წელს იუნესკოს მიერ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული ციხე-დარბაზი პოტალა ტიბეტელი ხალხის სიამაყეა. ტიბეტის დედაქალაქ ლჰასაში წითელ ბორცვზე აგებული, თურად და წითლად შეღებილი ტრაპეციის ფორმის ციხე-დარბაზი უნიკალურია მდებარეობითა და გრანდიოზულობით. მისი გამოსახულება კი ტიბეტისა და ლჰასას ემბლემაა. აღსანიშნავია, რომ კომუნისტურ ჩინეთში პოტალა, ტიბეტის სხვა რელიგიური ძეგლებისგან განსხვავებით, 1960-1970-იან წლებში გადაურჩა ე.წ. ხუნვეიბიების („წითელი მცველების“) მიერ დანგრევას და ნაგებობაცა და ექსპონატებიც კარგად არის შემონახული.

ტიბეტურად პოტალა არის „ადგილი, სადაც ბინადრობს ჩენრეზი“, იგივე ავალოკიტეშვარა (სანსკრიტ. — მეფე), რომელიც ყველას მოწყალეობით უმზერს. ბუდიზმის ეს იდეალური არსება, სრულყოფის მიღწევის შემდეგ უარს ამბობს ნირვანაში წასვლასა და ბუდად გახდომაზე და მოკვდავთა შორის რჩება, რათა მათ ტანჯვა შეუმსუბუქოს. ავალოკიტეშვარა იყო ბუდა შაკიამუნის (სიდჰარტჰა გაუტამას) ერთ-ერთი მოწაფე, ვისაც თვით ბუდამ უწინასწარმეტყველა დიდი როლი ტიბეტის ისტორიაში.

ბორცვს, რომლის კალთაზეცაა აგებული ციხე-დარბაზი, ბუდისტურ რელიგიურ ლიტურატურაში პუტო ეწოდება და წმინდად ითვლება, რადგან ლევანდის თანახმად, სწორედ ამ მთაზე გამოჩნდა ბოდჰისატვა ავალოკიტეშვარა. ბოდჰისატვა — ბუდისტური რელიგიის ტერმინია. სიტყვასიტყვით ნიშნავს — „ის, ვისი არსებაც არის სრულყოფილი ცოდნა“, ანუ ის, ვინც ბუდად უნდა იქცეს ამ ცხოვრებაში ან რომელიმე მომავალ განსხვავებაში. სხვათა შორის, ჩინეთის პროვინცია ჩენძი-



ანშიც არის ასევე მთა პუტო — პუტომანი, რომელიც ზუსტად იმავე მიზეზითაა წმინდა.

3 700 მეტრის სიმაღლეზე, ლჰასას ტაფობში მდებარე წითელ ბორცვზე (მარპო რი) აგებული ციხე-დარბაზის სიმაღლე საძირკველიდან 119 მეტრია. სიგრძე შეადგენს 350, ხოლო სიგანე 270 მეტრს, ნაგებობის ფართობი 130 ათასი კვმ-ია, ხოლო წინა ეზოსა და ნაგებობის უკან განლაგებულ ტბორთან ერთად, საერთო ფართობი 360 ათას კვმ-ს აღწევს. ციხე-დარბაზის მშენებლობა VII საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, როცა იმდროინდელ ტიბეტელთა მძევინარე იმპერიის — ტუფანის მეფემ სრონცზანგამპომ (იგივე სონგცენგამპო) გადაწყვიტა, ლჰასა დედაქალაქად ექცია.

პირველ რიგში, მეფემ ბრძანა, ლჰასაში წითელ ბორცვზე, სადაც მისი სამედიტაციო გამოქვაბული იყო, სამეფო სასახლე აეგოთ. შემდეგ სრონცზანგამპო ტანას პრინცესა ვენჩენზე დაინიშნა. როცა პრინცესა ტიბეტში ჩაბრძანდა, მეფემ წითელ ბორცვზე 999 ოთახის აგება ბრძანა და ადრე აგებულ

სასახლესთან ერთად მთელი კომპლექსი შეიქმნა, რომელსაც ოთხივე მხრიდან 500-500 მეტრი სიგრძის კედლები შემოაგლეს. გალავანს ჰქონდა დამცავი თხრილი, საგუშაგო კოშკები და ოთხი კარიბჭე. VIII საუკუნეში ციხე-დარბაზის ხის ნაგებობა მუხით გაჩენილ ხანძარში დაინთქა. ამასთან, ტუფანის სამეფოს არსებობის ბოლო წლებში ადგილობრივ ტომთა შორის ომები გაჩაღდა. პოტალასგან მხოლოდ ფა-ვანას მღვიმე და პაბალაკანის დარბაზი გადარჩა...

ამჟამინდელი სახით ციხე-დარბაზი XVII საუკუნიდან, რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში შენდებოდა. V დალაი-ლამამ, ნგაიანგ ლობსან ჯიაცომ 1645 წელს პოტალას დანგრეული სასახლის აღდგენა ბრძანა. უკვე 1652 წელს, პეკინში ჩინეთის იმპერატორთან ვიზიტის შემდეგ, რეზიდენცია მონასტერ დრუპუნგიდან პოტალას თეთრ სასახლეში („პოტრანგ კარპო“) გადაინაცვლა. ნგაიანგ ლობსან ჯიაცომ საკუთარი თავი დედამიწაზე ბოდჰისატვა ავალოკიტეშვარას განსახიერე-



ლჰასას ტაფობში ბორცვზე აგებული ციხე-დარბაზის სიმაღლე საბირკელიდან 119 მეტრია

წითელი სასახლე



ბად გამოაცხადა. დალაი-ლამას ძალაუფლება იმდენად დიდი იყო, ხალხს მისი რეინკარნაციის (ანუ გარდაცვალების) ამბავს ტიბეტის მმართველები მრავალი წლის განმავლობაში უმაღლავდნენ. ნგაიანგ ლობსან ჯიაცოს სიკვდილიდან მერვე წელს (1690) პოტალას წითელი სასახლის („პოტრანგ მარპო“) მშენებლობა ცანგიანგ ჯიაცომ ბრძანა. მანვე ააგებინა მემორიალური სტუპები პოტალას კომპლექსში.

სტუპა სანსკრიტულად ქვის ან მიწის გროვას, ბორცვს ნიშნავს. ეს ნახევრად სფერული მოყვანილობის სვეტისებრი ნაგებობა, სადაც თავდაპირველად მხოლოდ რელიკვიებს ინახავდნენ. მოგვიანებით ის ძველი გახდა, რომელსაც ბუდიზმში რამე მოვლენის აღსანიშნავად აგებდნენ. სტუპები უკავშირდება მეფეთა და ბელადთა საფლავების ყორღანებს — ინდოეთში პირველი სტუპები ბუდამდე გაჩნდა, სადაც ნეშტის კრემაციის შემდეგ დარჩენილ ნაწილებს ინახავდნენ...

სამუშაოებში 7 ათასი ხელოსანი და მუშა იყო ჩართული, დაიხარჯა 2134 ლიანი (ანუ 150 გ) ვერცხლი. ჩინური ცინების დინასტიის იმპერატორმა კანსიმ მშენებლობაზე გაგზავნა 114 ოსტატი ხანიდან, მანჯურიიდან და ნეპალიდან. სამუშაოები 1693 წელს დასრულდა.



წითელი სასახლე აკურთხეს, ხოლო პოტალას წინ მშენებლობის დასრულების აღსანიშნავად სამახსოვრო სვეტი დადგეს. მას შემდეგ პოტალა დიდად ადარ შეცვლილა...

სასახლის წინა მოედნიდან კარი შიდა ეზოში გადის, რომელიც სამი მხრიდან მაღალი კედლითა შემორტყმული, დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებიდან ციხე-დარბაზში შესასვლელებია. აღმოსავლეთის, ანუ მთავარი შესასვლელიდან საფეხურებიანი ბნელი ტალანი 1600 კვმ ფართის სწორ მოედანზე — უშუალოდ თეთრი სასახლის კართან გადის. აქ დაღაი-ლამასთვის, სასულიერო პირებისა და მოხელეებისთვის თეატრალური წარმოდგენები ეწყობოდა. მოედნის სამხრეთითა და ჩრდილოეთით გალერეებია, ხოლო აღმოსავლეთითა და დასავლეთით სათავსები წარჩინებული ბერებისთვის სასწავლო კლასებად გამოიყენებოდა.

თეთრი სასახლე აერთიანებს აღმოსავლეთის დიდ პავილიონს (ტიბეტურად — ცოცინსია), მზის პავილიონს, რეგენტისა და დაღაი-ლამას მასწავლებლების საცხოვრებელ პალატებს, ასევე სამთავრობო ოთახებს.

„ცოცინსია“ თეთრი სასახლის ყველაზე დიდი პავილიონია, აქ ეწყობოდა პოლიტიკური და საკულტო ღონისძიებები, მათ შორის,

თეთრი სასახლე

V დაღაი-ლამას სტუპა დაფარულია 3700 კვ ოქროთი





დალაი-ლამას ცარიელი სამოსი სიმბოლურად მის არყოფნას აღნიშნავს პოტალაში



XIII საუკუნის ხატი „ტანკა“ პოტალაში

დალაი-ლამას ინტრონიზაცია. პავილიონის ცენტრში დალაი-ლამას ტახტი დგას, კედლებზე მრავალი ფრესკაა. მათ შორის ორი ჯგუფი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს: „პრინცესა ძინჩენის ისტორიისა“ და „მაიმუნის ადამიანად ქცევის“ შესახებ.

შვის პავილიონი აღმოსავლეთის დიდი პავილიონის თავზეა განლაგებული. შვის პავილიონი ორია — აღმოსავლეთისა და დასავლეთის. ამ პავილიონებში დალაი-ლამების საცხოვრებლებია. დასავლეთის შვის პავილიონი XIII დალაი-ლამას მმართველობის ბოლო წლებში ააგეს. დალაი-ლამა სწორედ ამ პავილიონიდან განაგებდა და წმინდა ტექსტებსაც აქ კითხულობდა. დასავლეთის შვის პავილიონში ინახება ბუდას ოქროს ქანდაკება, იასპისგან დამზადებული ავლოკიტეშვარას ქანდაკება, წმინდა ტექსტების გრაგნილები, ფაიფური, ოქროსა და იასპისგან დამზადებული ჩაის სერვიზი, ძვირფასი ფარჩეული და სხვ. აღსანიშნავია, რომ პოტალა დალაი-ლამას ზამთრის რეზიდენციას წარმოადგენდა, ხოლო ზაფხულსა და შემოდგომას საზაფხულო რეზიდენცია „ნორბულინკაში“ ატარებდა.

წითელი სასახლე იყო ბუდასადმი ღოცვებისა და საკულტო რიტუალების ადგილი.

აქაც მთავარი ადგილები პავილიონებია, რომლებშიც დალაი-ლამების მემორიალური სტუპები და სხვადასხვა საკულტო დანიშნულების სათავსებია. სულ სასახლეში რვა მემორიალური სტუპაა, მათგან ყველაზე მდიდრულია V და XIII დალაი-ლამებისა. სტუპას ზომები და შემკულობა სიმბოლურად ასახავს დალაი-ლამას ღვაწლს ქვეყნისა და საზოგადოების სამსახურში.

სასახლეშია ასევე მრავალი საკულტო ძეგლი, ძვირფასი ლითონებისა და პატიოსანი თვლებისგან მაღალ დონეზე დამზადებული ნაკვეთი თუ მოვარაყებელი ნივთები, წმინდა ტექსტების იშვიათი გამოცემები, ბუდისტ წმინდანთა ქანდაკებები, „ტანკას“ ხატები და სხვ. წითელი სასახლის მეხუთე სართულის გალერეაში ფრესკების მთელი ჯგუფი მშენებლობის ეპიზოდებსაც ასახავს.

V დალაი-ლამას სტუპას მეოთხე სართული უჭირავს, თუმცა თავად სტუპა ხუთსართულიანი ნაგებობის სიმაღლისაა — 14,5 მეტრი. ბაჯადლო ოქროსგან დამზადებული ეს სტუპა ყველაზე მაღალია პოტალაში. სიმაღლით მეორე ადგილზეა XIII დალაი ლამას სტუპა (14


მეტრი), რომლის მშენებლობა სამ წელიწადს გაგრძელდა (1934-1937). ფრესკა პავილიონის შიდა კედელზე დალაი-ლამას ცხოვრების აღწერას ეძღვნება. მათ შორისაა დალაი-ლამას პეკინში სტუმრობის ეპიზოდი, სადაც ის ცინების დინასტიის ბოლოსწინა იმპერატორმა გუანსიუმ მიიღო.

დასავლეთის დიდი დარბაზი (ტიბეტურად — სისიპინცო) სტუპებიანი პავილიონების აღმოსავლეთითაა და მისი ფართობი 680 კვმ-ია. ის წითელი სასახლისა და მთელი პოტალას ყველაზე ვრცელი დარბაზია. ამ დარბაზში აწყობდა V დალაი-ლამა მიღებებს, მსხვერპლშეწირვებსა და სხვა რიტუალებს. დასავლეთის დარბაზში ინახება ოქროს ძაფებისგან მოქსოვილი მოზრდილი წვეილი ფარჩა — ეს ძაფები 1696 წელს ჩინეთის იმპერატორმა პოტალას წითელი სასახლის მშენებლობის დასრულების აღსანიშნავად აჩუქა დალაი-ლამას. დალაი-ლამას ტახტის ზემოთ კი გაკრულია იმპერატორ ციანლუნის მიერ მოძღვნილი ტრანსპარანტი იმპერატორისეუ ხელრთვით „ადგილი, რომელიც სამოთხეს აფრქვევს“.

წითელი სასახლის ყველაზე მაღალი პა-



დასავლეთის დიდი დარბაზის ფრესკები წითელ სასახლეში



სასახლის ინტერიერი

ვილიონის დასავლეთ კედელთან დადგმულია თურთმეტსახინი და ათასხელიანი ბოდპისატვა ავლოკიტეშვარას ქანდაკება, რომელიც XIII დალაი-ლამას ბრძანებით მთლიანად ბაჯადლო ოქროსა და ვერცხლისგანაა ჩამოსხმული...

პოტალას ყველაზე ადრეული ნაგებობებიდან შემორჩენილია მხოლოდ მღვიმე ფა-ვანა და პავილიონი პაბალაკანი. მღვიმე, რომლის ფართობი სულ 27 კვმ-ია, მოწყობილია სადად. ითვლება, რომ აქ სწვდებოდა წმინდა ტექსტების მნიშვნელობას ტუფანის მეფე სრონცხანგამპო. მღვიმეში დადგმულია მისი და პრინცესების — ვენჩენის, ჩიძულის, ლუდუნმანას — ტუფანის სამეფოს რჩეულ პირთა ქანდაკებები. აქვე შემონახულია ნივთები (კერია, ქვის ქვაბი, სტუპა), რომელთაც სრონცხანგამპო იყენებდა. პავილიონი პაბალაკანი, რომელსაც ასევე ავლოკიტეშვარას პავილიონს უწოდებენ, პირდაპირ ფა-ვანის მღვიმის თავზეა განლაგებული.

პავილიონებს V, VII, VIII, IX, XIII დალაი-ლამების სტუპებით, ასევე პაბალაკანსა და რამლაკანს ერთიანად მოვარაყებული სახურავები აქვთ და ყველა ერთად ოქროს სახურავების ანსამბლს ქმნის. სახურავების უმეტესობა ტრადიციული ჩინური ფორმისაა

აპრენილი კუთხეებით, რომლებიც მიუთითებუდისტური ცხოველების მომცრო ფიგურებითაა შექმული.

პოტალას ციხე-დარბაზი ტიბეტელი ერის საგანძურია, სადაც თავმოყრილია ფასდაუდებელი ხელოვნების ნაწარმოებები და ისტორიული ძეგლები. აქ ფრესკებისთვისაც კი ძვირფასი ლითონებითა და პატიოსანი თვლებით მომზადებულ საღებავებს იყენებდნენ. შედეგად, ციხე-დარბაზის ფრესკები დღესაც ახალივით გამოიყურება და მნახველებს სიკამკამით ატყვევებს. პოტალაში ინახება დაახლოებით 10 ათასი ხატი „ტანკა“, რომელთა უმრავლესი ნაწილი ძველი დროის გამოჩენილი ოსტატების მიერაა შესრულებული. აქვეა წმინდა ტექსტების გამოცემათა მდიდრული კოლექცია, ბევრი მათგანი მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული და ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევა. არაერთი გამოცემა უნიკალურია. კოლექციაში ძველი ინდოეთიდან და სხვა ადგილებიდან ჩამოტანილი კანონების ასამდე გრავნილია, პალმის ფოთლებზეა შესრულებული. ყველაზე ძველი ტექსტები რამდენიმე ათასი წლის წინანდელია. ხელნაწერები შესრულებულია ოქროსა და ვერცხლის მელნით, ხოლო ამობურცული შრიფტი მოვარაყებულია ოქროთი. მაგალითად, გამოცემა „განჟური“

შესრულებულია ოქროს, მარგალიტის, ვერცხლის, სხვადასხვანაირი მარჯნის, რკინის ფხვნილის, სპილენძის მტკრისა და ნიჟარებისგან დაშზადებული საღებავებით. ხოლო მკვრივი და ელასტიკური ქაღალდი მედეგია სინესტის, ლპობისა და მწერებისგან დაზიანების მიმართ. პოტალაში წარმოჩენილია ტიბეტელთა მიღწევები არქიტექტურაში, ქვისა და ლითონის დამუშავებაში, ფერწერაში, ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალ სხვა დარგში და ის ძველი ტიბეტის მეცნიერებისა და კულტურის მუზეუმს წარმოადგენს. ციხე-დარბაზმა შემოინახა სხვა ხალხებთან ტიბეტელთა სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაც — ნეპალელებთან, ჩინელებთან, ინდოელებთან.

ამჟამად მომლოცველები პოტალასა და წითელი ბორცვის გარშემო დადიან ანუ ასრულებენ „კორას“ — წმინდა ადგილის რიტუალურ მიმოვლას. თუმცა „კორას“ გასწვრივ, მრავალრიცხოვანი სალოცავი დაფის გვერდით, უამრავი საფაჭრო რიგიცაა.

რამაზ გურგენიძე



სასახლის ფანჯრები



ძველი ტიბეტელი ოსტატების ნახელავი



თხილამუხი



გზა სკანდინავიური ნადირობიდან კოსმოსურ ტექნოლოგიებამდე

თხილამური კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გონივრული გამოგონებაა. თხილამურებით სრიალი შესანიშნავი გრძნობაა, ზოგს თოვლიან ტყეში აუჩქარებლად მოძრაობა მოსწონს, სხვას ის აზარტი ხიბლავს, სისწრაფეში შეჯიბრებას რომ ახლავს თან. არიან ისეთებიც, ვისთვისაც მთის მწვერვალიდან თხილამურებით დაშვებას არაფერი შეედრება და ისეთებიც, ვისაც ტრამპლინიდან ხტომა ურჩევნია ყველაფერს. თუმცა არსებობისთვის ბრძოლაში ჩაბმულმა უძველესმა ადამიანმა თხილამური გასართობად კი არ გამოიგონა, არამედ თოვლზე სწრაფად გადაადგილებისა და ნადირობისთვის.

მას შემდეგ, რაც ცეცხლისა და ცხოველის ტყავის გამოყენება დაიწყო, უძველესი ადამიანი ისეთ ადგილებშიც დასახლდა, სადაც ზამთარში თოვლი მოდიოდა. შესაბამისად, ისეთი საშუალების გამოგონება დასჭირდა, ნადირობისას ღრმა თოვლზე მოძრაობაში რომ დაეხმარებოდა.

მეცნიერთა ვარაუდით, პირველყოფილი, საბიჯებელი თხილამურები ზედა პალეოლითის ეპოქის ბოლოს (დაახლოებით 15-20 ათასი წლის წინ), დედამიწის ჩრდილოეთ რეგიონებში, სკანდინავიისა და რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე ალტაის მთებში მცხოვრებმა ადამიანებმა შექმნეს. ეს იყო წყვილი ფიცარი, ზედ გადაკრული ცხოველის ტყავით და ფეხებზე თასმებით ამოსაკრავი.

საბიჯებელი თხილამურების ისტორია

მრავალ ათასწლეულს რომ ითვლის, ამას ნორვეგიაში გამოქვაბულის კედლებზე აღმოჩენილი, დაახლოებით 7 ათასი წლის წინანდელი ნახატებიც ადასტურებს.

თხილამურებით სრილის „ბედნიერება“ ადამიანებს უკვე ნეოლითის ხანაში ჰქონდათ. თეთრი ზღვის სანაპიროზე კლდეებზე აღმოჩენილი ნახატები, სადაც ადამიანები ვიწრო, გრძელ თხილამურებზე დგანან, ცალ ხელში ჯოხით, რომელსაც არა მხოლოდ საყრდენად ან გაჩერებისთვის, არამედ იარაღადაც — შუბად იყენებდნენ. ეს ნახატები ძვ.წ. III ათასწლეულითაა დათარიღებული.

არსებობს ცნობები, რომ ალტაისა და ციმბირის სამხრეთით მთიან მასივებში მცხოვრები ხალხები თხილამურებს ძვ.წ. II ათასწლეულში მოიხმარდნენ. ომსკის ოლ-

ქში აღმოჩენილია ბრინჯაოს დანა, რომლის ტარზეც ამოტვიფრულია ცხენზე გამობმული თხილამურზე შემდგარი ადამიანი.


არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ თხილამურებსა და მის ფრაგმენტებში უძველესად მიჩნევენ 110 სმ სიგრძისა და 10 სმ სიგანის შვედეთში ნაპოვნ თხილამურს, რომელიც მეცნიერთა აზრით, სულ ცოტა, 4,5 ათასი წლისაა. რუსეთში, სენიციის ტბის ფსკერზე კი თელისგან დამზადებული თხილამური იპოვეს, რომელიც ძვ.წ. 2620-2160 წლებით დაათარიღეს.

სხვათა შორის, ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობით, საბიჯებელ თხილამურებს კავკასიის მთებში მცხოვრები ხალხები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ზამთარში თოვლზე. ზაფხულში კი ჭაობში სამოდრაოდ.

თოვლზე საბიჯებელი თხილამურები გავრცელებული იყო საქართველოს მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში. სხვადასხვა მხარეში შემორჩენილია თხილამურების ძველი სახელები, მაგალითად, სვანეთში — „ლაჩირხალალი“, თუშეთში — „ქოკი“, მთიულეთში — „კაგდები“.

განსხვავებული იყო მათი ტიპებიც. ხევსურეთში ე.წ. გირკალისებურ თხილამურს იყენებდნენ, სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთსა და მთიულეთში — მრგვალს, ხოლო ქართლსა და რაჭაში — ელიფსურს. ოვალურჭვინტიან თხილამურებს ხმარობდნენ აჭარაში, გურიაში და ლაზეთში. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „თხილამურები გრკალი არს, ფერხთა დაიკურნენ დიდთა თოვლთა ზედა სასველელად, რათა თოვლთა სიღრმეს არა ჩაიჭრენ“.

ეთნოლოგ ალექსანდრე რობაქიძეს აღწერილი აქვს გურიაში საბიჯებელი თხილამურის დამზადების ძველი წესი: „გურიაში თხილამურს აკეთებენ თხილის, წაბლის, ნეკერჩხლის ან ჭნარის ხისგან, ზოგჯერ ეკლის მწიფე ლერწმისგანაც. გამოსჭრიან სწორსა და უტოტებო ღეროს დასახელებული ხეებისა, შესდებენ ცხელ ღაღარში და ამყოფებენ შიგ, სანამ კანი არ დაიწვება. როცა კანი შემოიწვის, ხე უკვე მოთუშულია. გამოიდებენ, ორ თანასწორ ნაწილად დახლეჩენ, კანს შემოაცლიან და სანამ ხე თბილია, მორკალავენ ოვალურად: წვერისაკენ მიაღებინებენ ოვალურ ფორმას, ქუსლისკენ — კუთხურს.



თოვლში სასიარულო პირველყოფილი საშუალებები ჩრდილოეთის ხალხებში

მონადირე თხილამურებზე





კლდის მხატვრობა მოთხილამურის გამოსახულებით (შვედეთი, საგარაულოდ, ძვ.წ. 1050 წელი)



საამი მონადირეები და ნადირობის ქალღმერთი თხილამურებით (ოლაფ მაგნუსი, 1555)



კლდის მხატვრობა მოთხილამურის გამოსახულებით (ალტაი, ძვ.წ. 1000 წელი)

მორკალულ ბოლოებს ოდნავ შეათხელებენ და ერთმანეთზე გადაადებენ. ქუსლთანაც ოვალური რომ არ გამოდგეს, ორივე მხარეს შიგნიდან დანით ოდნავ ამოსჭრიან. ამ ამონაჭრებთან მოხრიან და მიიღებენ კუთხეს. ახლა ამ ბოლოებს ერთმანეთზე გადაადებენ და მაგრად შეკრავენ სუროს თასმით. ამგვარად სათხილამურე ხე მორკალულია. ახლა საჭიროა გვერდების დახვეტა. გაახურებენ წვეტიან რკინას (საწვავს ეძახიან) და ორივე გვერდს გამოსწვავენ რვა ალაგს — ოთხი ნახვერეთი თითო მხარეს. ამ ნახვერეტებში გაუყრიან დაგრებილ, წვრილ წნელს (წყავის ან ბამერისას) და დაბანდავენ გარდიგარდმო იმ მოყვანილობით, რომ ფეხი იმედიანად დაედას. ბოლოს ქუსლთან ორ ადგილს გამოსწვრეტავენ, გაუყრიან და დაბამენ ორ წვრილ თოკს. ამ თოკებით თხილამურს ამოიკრავენ ფეხზე“.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა როგორც თხილამურები, ისე მისთვის საჭირო ფეხსაცმელი და ჯოხები. თავდაპირველად ფეხსაცმელს მყარი ძირი არ ჰქონდა და იგი ხეზე თასმებით მაგრდებოდა. ასე იყო XX საუკუნის 30-იან წლებამდე, როცა გაჩნდა სპეციალური სათხილამურე ჩექმა („ბათინკი“).

XIX საუკუნის დასასრულამდე მოთხილამურეები მხოლოდ ერთს ჯოხს იყენებდნენ, წვეილად მისი მოხმარება კი სათხილამურო სპორტის გაჩენის შემდეგ დაიწყო. ადრინდელი ხის ან ბამბუკის ჯოხი დაახლოებით ადამიანის სიმაღლისა იყო. დღეს ჯოხები მაღალტექნოლოგიური ნაწარმია და იგი მსუბუქი ალუმინისგან ან კომპოზიტური მასალებისგან მზადდება.

თხილამურები ბრძოლის ველზე

პირველი ცნობები თხილამურების ბრძოლის ველზე გამოყენების შესახებ 1199 წლით თარიღდება და მას ფინელებს მიაწერენ.

1550 წელს ნორვეგიაში იმ მებრძოლებისგან, რომლებსაც თხილამურებით მოძრაობა კარგად ეხერხებოდათ, შენაერთები ჩამოყალიბდა, 1689 წლიდან კი იქ უკვე მოთხილამურეთა სპეციალური ბატალიონი არსებობდა.

შუა საუკუნეებში თხილამურებზე შემდგარი მებრძოლებით დაკომპლექტებული შენაერთები ჰყავდათ რუსებსაც და ამის წყალობით, წარმატებით ლაშქრობდნენ ზამთრობით. ცნობილია ისიც, რომ 1610 წელს, რუსეთ-შვე-



ლევენდის თანახმად, XII საუკუნის სკანდინავიაში, სამოქალაქო ომების ეპოქაში, მოთხილამურე ბირკეებიერებმა (ძირითადად გალარიბებულმა გლეხებმა) გაარიდეს უფლისწული დაღვევებულ ბავლეებს (ძირითადად არისტოკრატიული წარმოშობისა)

დეთის ომში, შვედთა მხარეს მოთხილამურეთა 4-ათასიანი რაზმი იბრძოდა.

მოგვიანებით, სკანდინავიურ ქვეყნებში თხილამურების გამოყენებაში მთელი ჯარის ორგანიზებულად გაწაფვა გადაწყვიტეს. 1814 წელს ოსლოში, ეკერ მოთხილამურეთა კორპუსის პირველი საჩვენებელი გამოსვლა მოეწყო, 12 წლის შემდეგ კი თხილამურებით სრიალის ცოდნა ქვეითთა ყველა ნაწილის ჯარისკაცისთვის სავალდებულო გახდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თხილამურების ფლობით განთქმული იყვნენ ფინელ მსროლელთა ბატალიონები.

XX საუკუნის დასაწყისში მოთხილამურეთა შენაერთი პრაქტიკულად ყველა დიდი ევროპული ქვეყნის არმიას ჰყავდა. პირველ მსოფლიო ომში ასეთი ნაწილები მოქმედებდნენ ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის არმიებში.

დიდი როლი შეასრულეს მოთხილამურე

რე ჯარისკაცებმა მეორე მსოფლიო ომშიც. ცნობილია, რომ ლენინგრადთან ბრძოლების დროს გერმანელები ძალიან უფროთხოდნენ სწრაფმავალ მოთხილამურე-მებრძოლებთან შეხვედრას, რომელთაც „თხილამურიან სიკვდილს“ ეძახდნენ...

შეჯიბრებები და მოზაურობა

გასაკვირი არ არის, რომ თხილამურებით სრიალში სპორტული შეჯიბრების გამართვა პირველად სკანდინავიელებმა მოიფიქრეს. ისტორიკოსთა აზრით, თხილამურებით რბოლაში პირველი დიდი შეჯიბრება ნორვეგიაში, ქალაქ ტრომსეში 1843 წელს გაიმართა.

მაღლე თხილამურებით შეჯიბრება მთელ სკანდინავიაში გახდა პოპულარული. და ამაში თავისი წვლილი ძველ ლევენდასაც უნდა მიუძღოდეს, რომელიც შვედ აზნაურსა და მომავალ მეფეს, გუსტავ ვაზას (გუსტავ ვოსას) უკავშირდება. ლევენდის თანახმად, XVI სა-

დღემდე შემონახული უძველესი თხილამურები, რომელიც საგარაუდოდ, 5200 წლისაა (შვედეთი, კვალტრასკი)





არქტიკის მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი და მისი მეუღლე ვა თხილამურებით (1890)

უკუნეში, დანიელთა წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყების მოთავე ვაზამ, დადევნებულ მტერს, ქალაქ სელენიდან მორომდე, სწორედ თხილამურებით დააღწია თავი.

„ვაზას რბოლა“ ტრადიციული გახდა და ის სელენში (სამთო-სათხილამურო კურორტი შვედეთში) დღესაც ეწყობა, რომელშიც ათასობით მოყვარული მოთხილამურე მონაწილეობს.

1883 წლიდან დღემდე იმართება ზამთრის სპორტის ტრადიციული ზეიმი ნორვეგიის ქალაქ ჰოლმენკოლენში (ჰოლმენკოლენის თამაშები).

სამთო-სათხილამურო სპორტის დასაბამად კი ნორვეგიის საგრაფო ტელემარკში, 1879 წელს გამართული შეჯიბრება უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ადგილობრივებსა და ქრისტიანიის (ოსლოს ძველი სახელწოდება) მკვიდრთა შორის მოეწყო. ასპარეზობას უამრავი მაყურებელი ჰყავდა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ციცაბო ფერდობებზე

მონაგარდე მოთხილამურეთა ოსტატობით. ჯადოსნური შოუს შესახებ ხმები მთელ ევროპას უმალ მოედო და სულ მალე სპორტის ამ სახეობას უამრავი მიმდევარი გაუჩნდა.

XIX საუკუნის ბოლოსთვის სამთო-სათხილამურო სპორტმა ევროპისა და ამერიკის მთიანი რაიონები დაიპყრო. განსაკუთრებით კი ის ალპებში აიტაცეს და რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, თანამედროვე სამთო-სათხილამურო სპორტის დამაარსებლებად არა ნორვეგიელები, არამედ ავსტრიელები მიიჩნევიან. ავსტრიელმა ალპინისტმა და მოთხილამურე მათიას ზდარსკიმ 1896 წელს პირველმა მოაწყო შეუჩერებლად დშვება მოხვევებით. მანვე გამოსცა პირველი წიგნი სამთო-სათხილამურო ტექნიკაზე, სადაც აღწერა გაცილებით უკეთესი ფორმის თხილამური და სამაგრი და ჯგუფური წვრთნის მეთოდიც წარმოადგინა.

სწრაფდაშვებაში პირველი შეჯიბრება შვეიცარიის ალპებში, მონტანას სიახლოვეს, 1911 წელს გაიმართა. თუმცა სათხილამურო სპორტის ჩემპიონატებში სწრაფდაშვება და სლალომი მოგვიანებით, მხოლოდ 1931 წელს ჩართეს, როცა მსოფლიოს პირველობას შვეიცარიამ უმასპინძლა.

ტრამპლინიდან ზტომით კი თავდაპირველად სკანდინავიელები იქცეოდნენ თავს, რომლებიც ზამთრის სახალხო დღესასწაულებზე, გორაკებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველი ჩემპიონატი 1866 წლით თარიღდება. სპორტსმენები ხელში ჯოხმომარჯვებული და ჩაცმული ზტებოდნენ. მოგვიანებით ჯოხებზე უარი თქვეს და თანამედროვე აეროდინამიკული დგომი აითვისეს.

მსოფლიოში სათხილამურო სპორტის განვითარება-პოპულარიზებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ნორვეგიელ მოგზაურს, არქტიკის მკვლევარ ფრიტიოფ ნანსენს. 1889 წელს გრენლანდიანზე თითქმის ხუთასკილომეტრიანი მონაკვეთი პირველმა მსოფლიოში, მარტომ განვლო. ამ მოგზაურობაზე სამი წლის შემდეგ წიგნი გამოიცა, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და მისი წყალობით მთელ მსოფლიოში ბევრი რამ შეიტყვეს თხილამურების შესახებ.

„ისე არაფერი ამაგრებს კუნთებს და ხდის სხეულს ძლიერსა და ელასტიკურს, ავითარებს რეაქციასა და სისწრაფეს, აყალიბებს



1936 წლის ზამთრის ოლიმპიადის გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენმა უმასპინძლა და იგი კანცლერმა პიტლერმა გახსნა

ხასიათსა და ახალისებს გონებას, როგორც თხილამურები“, — უთქვამს ნანსენს.

XIX საუკუნის ბოლოდან უკვე მრავალ ქვეყანაში გაჩნდა სათხილამურო სპორტის მოყვარულთა კლუბები და სპორტული საზოგადოებები.

დიდი სორტი

სათხილამურო სპორტის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ზამთრის პირველ ოლიმპიურ თამაშებს. 1924 წელს საფრანგეთში, შამონიში გამართული თამაშების პროგრამაში არა მხოლოდ თხილამურებით რბოლა, არამედ ტრამპლინიდან ხტომა და ორჭიდიც (რბოლა და ხტომა) შედიოდა. 1936 წლის გარმიშ-პარტენკირხენის თამაშებში კი სწრაფდაშვებისა და სლალომის დებიუტი მოეწყო.



კორტინა დ'ამპეცოს 1957 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში



სადღეისოდ თხილამურებით სრიალში სისწრაფის მსოფლიო რეკორდი იტალიელ სიმონე ორიგონეს ეკუთვნის და იგი 251,4 კმ/სთ-ს შეადგენს

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS) 1924 წელს დაარსდა, დღეს აქ ასზე მეტი ეროვნული ფედერაციაა გაწევრიანებული.

ამჟამად სათხილამურო სპორტი ოთხ დიდ კატეგორიად შეიძლება დაეყოთ:

1. თხილამურებით რბოლა, სპორტული ორიენტირება, ტრამპლინიდან ხტომა, სათხილამურო ორჭიდი.

2. სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობები: სწრაფდაშვება, სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი, კომბინაცია (სწრაფდაშვება და სლალომი) და გუნდური შეჯიბრებები.

3. ფრისტაილი (დაშვება აკრობატული ელემენტებით).

4. სნოუბორდი (სრულდება ერთი „დიდი თხილამურით“, სპეციალური დაფით).

ამას გარდა, არსებობს სახეობები, რომლებიც სათხილამურო სპორტის ელემენტებს შეიცავს და კიდევ, სათხილამურო სპორტის არაოლიმპიური და ნაკლებად გავრცელებული სახეობები.

ბიატლონი — რბოლა თხილამურებით და

სროლა მიზანში შამხანიდან, ძალიან ბევრ ქვეყანაშია პოპულარული და ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შედის. მისი მსგავსია არჩერი-ბიატლონი — მასში თხილამურებით რბოლა და მშვილდიდან სროლაა გათვალისწინებული.

ბოლო დროს პოპულარული გახდა ფრი-რაიდი, კერვინგი, ჯგუფური ფიგურული სრიალი თხილამურებით.


XX საუკუნის 30-იან წლებიდან მოყოლებული, მუდმივად მიმდინარეობდა აღჭურვილობის სრულყოფა. დღეს თხილამურების დასამზადებლად ისეთ ტექნოლოგიებსა და მასალებს იყენებენ, როგორსაც კოსმოსურ სფეროში მიმართავენ, პროფესიონალ მოთხილამურეთა ოსტატობა და შედეგები კი უბრალოდ საოცარია.

ცნობისთვის, სადღეისოდ თხილამურებით სრიალში სიჩქარის მსოფლიო რეკორდი იტალიელ სიმონე ორიგონეს ეკუთვნის და იგი 251,4 კმ/სთ-ს შეადგენს. ქალთა შორის ამ მხრივ საუკეთესო შვედი სანო ტიდსტრანდია, რომლის შედეგი 242,6 კმ/სთ-ია.

გალა უზარინძე

ბიორბი შენბელაია

„ყველაფერი გლახებისგან მაქვს ნასწავლი“



გიორგი
შენგელაია

გინახავთ, როგორ ბალიშისპირებს
კერავდნენ ძველი ქართველი ქალები?
ღარაიის კაბებს, მოჩითულ ხილაბანდებს,
მიტკლის პერანგებს, ჩითის წინსაფრებს
რომ შეიკერავდნენ, მორჩენილ ნაკუწებს
სამკუთხედებად დაჭრიდნენ, ერთმანეთს
შეუსამებდნენ და გადააკერებდნენ
ყვავილებად. მერე ამითი საბნისა და
ბალიშისპირებს კერავდნენ. მარტო
ულამაზესი კი არ იყო ასეთი საბან-
ბალიში, თითქოს წარსულსაც გიყვებოდა
და დედის კალთის სითბოც ახლდა.

ერთი-ორჯერ მინახავს ჭრელ-ჭრელი
ბალიშები... და კიდევ ჩარჩოში ჩასმული

ასეთი „ტილო“, სინამდვილეში ქართველი გლეხი ქალის შეკერილი ბალიშისპირი,
გიორგი შენგელაიასთან ვნახე. ეს პატარა ნიუანსი ჩემთვის ძალიან მეტყვევლია, ისევე,
როგორც მისი ფაქსიმილე... ხომ იშვიათია, ადამიანი პირად ხელმოწერაში მამის სახელის
ინიციალსაც წერდეს — გ. ნ. შენგელაია... ყველაფერს თავისი მიზეზი და ახსნა აქვს...
ყველაფერი მისი ცხოვრების „ვითარებანი“ საზრდოობს...

— ჩემი პირველი მოგონებები, სამწუხა-
როდ, ძალიან მძიმე ამბავს უკავშირდება. ად-
რეული ბავშვობიდან მამაჩემის — ნიკოლოზ
შენგელაიას გარდაცვალება ჩამრჩა მქსიერე-
ბაში. მაშინ ოთხწლიანხვედრისა ვიყავი... მამა
სულ ახალგაზრდა — 42 წლის იყო.

ეს ტრაგედია მთელი სიცოცხლე გამყვა...

ოთხ წლამდე მოგონებების რაღაც ფრაგ-
მენტები მიტოვებებს გონებაში. მახსოვს, მამა
მოვიდოდა, ნანადირევს მოიტანდა და დაყრი-
და. მერე ჩვენ გვავალედა მეზობლებისთვის
მოკითხვას. თბილისურ ეზოში ვცხოვრობდით.
მე და ჩემი ძმა დავდიოდით სართულ-სართულ
და მეზობლებს ვურიგებდით ნანადირევს.
ასეთი წესით ცხოვრობდნენ, უფრო გასცემ-
დნენ, ვიდრე მოიხვეჭდნენ. სულ სხვა ხალხი
იყო მაშინ.

მაგონდება დელაჩემის გაუბედურებულო
სახე. მამა ვუკვაცი იყო, მომღვინი, მონადირე.
ვიდრე რუჟისორი გახდებოდა, ლექსებს წერ-
და. მასთან მეგობრობდნენ გოგლა ლეონიძე,

სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე გამსახურდია,
ლევო ქიაჩელი... ჩვენთან იკრიბებოდნენ, ილ-
ხენდნენ, მსჯელობდნენ... ერთ დღეს კი დაი-
ცალა ჩვენი სახლი.

მერე დედამ შეცვალა ყველაფერი. მან
გადაგვატანინა ეს უბედურება, თორემ დეპ-
რესიული ბავშვობა მქონდა.

ომის დრო იყო. ფილმებს არ იღებდნენ და
ნატო ვაჩნადისტისაც კი ლუკმაპური საფიქ-
რალი გახდა. დედა დადიოდა რაიონებში ვასო
გომიაშვილთან, თამარ ჭავჭავაძესთან, კირა
ანდრონიკაშვილთან (დელაჩემის და), მწერ-
ლებთან ერთად... კონცერტებს მართავდნენ,
რომ ცოტა რამ ემოკათ.

თხუთმეტი წლის ვიყავი, დედა რომ დაი-
ღუპა... ცხადია, ძნელია საქვეწმოდ ვილაპა-
რაკო, როგორ განვიცადე ეს...

ადამიანი ასეა მოწყობილი, რაც უნდა გა-
დახდეს, ეჩვევა. მამა რომ ცოცხალი იყო, სხვა
ცხოვრება იყო ჩვენთან, დედა რომ ღარჩა —
სხვა... დელაჩემის მერე — სხვა...



ნიკოლოზ შენგელაია



ნატო ვაჩნაძე

ნიკოლოზ შენგელაია და ნატო ვაჩნაძე პატარა გიორგი შენგელაიასთან (1942 წელი)



დედის გარდაცვალების შემდეგ მე და ელდარმა გადავწყვიტეთ, მამის გზა გაგვეგრძელებინა. მოსკოვში ძალიან გვიჭირდა მარტო სტიპენდიით თავის რჩენა. საქართველოში ერთი ბიძალა გვყავდა — სანდრო, ინჟინერი იყო და დიდი ოჯახი ჰყავდა შესანახი, ჩვენ რას დაგვებმარებოდა... ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე ფილმებში არ ვითამაშე და შემოსავალი არ გამიჩნდა...

რეზო ჩხეიძემ „ჩვენ ეზოში“ სოფიკო ჭიაურელი მიიწვია — მაშინ მოსკოვის კინოინსტიტუტში, სამსახიობოზე სწავლობდა. ექვტენ დათოს როლის შემსრულებელს... სოფიკო, მოგეხსენებათ, როგორი თამამი და ახტაჯანა იყო. უთხრა: — რატომ კარგავ დროს, მე მოგიყვან ბიჭის როლის შემსრულებელსო. მე და სოფიკოს უკვე გვიყვარდა ერთმანეთი, ფილმის მერე ხელიც მოვაწერეთ...

„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ რომ დაიწყო მიხეილ ჭიაურელმა, უკვე მათი ოჯახის წევრი ვიყავი. გვითხრა, ამ ფილმში თქვენ უნდა ითამაშოთო.

ვიდრე მხატვრული ფილმების დადგმას მოგვიდებდი ხელს, დოკუმენტურს მივადექი. ჩემი პირველი სურათი ფიროსმანზე იყო. ინსტიტუტს რომ ვამთავრებდი, გადავიღე „ქართული ხელნაწერები“. უნიკალური სურათია იმ მხრივ, რომ იმ ხელნაწერების გადაღება განათებით არ შეიძლება. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ელო მეტრეველს მოველაპარაკეთ, ავითანეთ კომბინირებული გადაღების უშველებელი კამერა, რომელსაც შეუძლია თითო კადრი გადაიღოს და განათება არ სჭირდება...

საბჭოთა დროს არავინ ფიქრობდა ფილმის გაყიდვა-გაქირავებაზე. ამ პრობლემას სახელმწიფო აგვარებდა, თუმცა იყო ცენზურა — მოითხოვდნენ, ძირითადად, მუშებსა და გლეხებზე გადაგველო სურათები. მაგრამ სტალინის დროინდელი მარწუხები უკვე მოსუსტებული იყო. გავაძვრინეთ რაღაცნაირად მე და ოთარ იოსელიანმა მოკლემეტრაჟიანი ფილმები, მე — „ალავერდობა“, ოთარმა — „აპრილი“. ეს ორი სურათი ალმანახად გამოვიდა დიდ ეკრანზე. მან განსაზღვრა ჩემი რეჟისორული გზა...

სწორედ „ალავერდობა“ იყო ჩემი პირველი მხატვრული სურათი, რომლის შექმნაც გურამ რჩეულიშვილთან, ერლომ ახვლედიანთან, ფელიქს ღლონტთან, ზურაბ ნიჟარაძესთან,



დიდა ერისთავთან მეგობრობამ განაპირობა...

დედაჩემი და მამაჩემი გეიდარ ფალავან-დიშვილის მშობლებთან მეგობრობდნენ. მე და გეიდარი კი საბავშვო ბაღიდან ერთად ვიზრდებოდით. ბევრი ვეძებე „ალავერდობის“ პერსონაჟი, მაგრამ გეიდარი იმდენად გამოკვეთილი გარეგნობისა იყო, ვარჩიე, გადამელო... ბედმა გამიღიმა.

პირველად რომ ვიღებდი მხატვრულ ფილმს, მეშინოდა, არ ვიცოდი, რა გამოვიდოდა. ახლაც რომ გადავიდო, ნერვიულობა მომკლავს — აბა, რა გამოვა, როგორი გამოვა-მეთქი. სურათი არ ჩამვარდნია. ზოგი ამბობდა, — „ალავერდობის“ მერე „სიყვარული ყველას უნდას“ როგორ იღებსო... ისეთ სურათებზე, როგორიც არის „ვერის უბნის მელლოდიები“, სულიერად ვისვენებ...

ძალიან მეხმარება რუქისურამი ის, რომ თავად მაქვს მსახიობობის პრაქტიკა. „ხარება და გოგის“ რომ ვიღებდი, ლევან თეღიაშვილი და ომარ ფხაკაძე იდგნენ გაქვავებული, ვერაფერს აკეთებდნენ. დაეიწყე თამაში ორივეს მაგივრად.

ფიროსმანის როლის განმასახიერებელს

გონა აბაშიძე, სოფიკო ჭიაურელი და ვიორჯი შენგელაია — კადრი მხატვრული ფილმიდან „ჩვენი ეზო“. რეჟისორი რეზო ჩხეიძე (1956 წელი).

ვიორჯი შენგელაია და სოფიკო ჭიაურელი





კადრი მხატვრული ფილმიდან „ფიროსმანი“. რეჟისორი გიორგი შენგელაია (1969 წელი)



„ფიროსმანის“ გადაღების დროს



„ისეთ სურათებზე, როგორც არის „ვერის უბნის მელაღიები“, სულიერად ვისვენებ...“

დიდხანს ვეძებდი. ფილმის მხატვრად ავთო ვარაზი მყავდა. მეუბნებოდნენ, ვიღას ეძებ, ავთო ათამაშეო... მე მხატვრულ ფილმს ვიღებ, დოკუმენტურს კი არა-მეთქი. მერე მაინც გადაწყვიტე, ავთო გადამელო, იმიტომ, რომ

ფიროსმანს მხოლოდ მსახიობური ოსტატობით ვერ ითამაშებ. ეს განცდილი უნდა გქონდეს... ამიტომ გამოუვიდა ავთოს კარგად... ცოცხალი რომ ყოფილიყო, უშანგი ჩხეიძეს გადავიღებდი ფიროსმანის როლში.

„ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაში“ 1924 წლის ამბებია. ბატონი ოთარ ჩხეიძე მიაშობდა, ნამდვილი ამბები მაქვს აღწერილიო. მსახიობების არჩევასაც ვცდილობდი, არისტოკრატიული გარეგნობის, კარგად აღზრდილი ხალხი ამყვანა. ასეთი იყო ლევან აბაშიძე. შევაწუხე ჭაბუა ამირეჯიბი, ლილი იოსელიანი, თემო ჯაფარიძე, ზურა ყიფშიძე... მათ არაჩვეულებრივი სახეები შექმნეს.

ფული არასოდეს მქონია... არც მიფიქრია, რომ მქონოდა. ფასობდა ის, რომ რეჟისორი ვიყავი და ამითაც ვკამყოფილდებოდი. ბინა მქონდა და საჭმლის ფული, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე.

გენეტიკური მენსიერებაც არსებობს... მაგრამ ჩემი შვილები იძულებული არიან, მიესადაგონ დღევანდელ კულტურას...

შვილების გამო ჩარევა მჭირდებოდა ხოლმე უბნის ამბებში... უმცროსი გიორგი ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლობს პოლიტოლოგიას... ბევრს მეცადინეობს. რომ დაამთავრებს, მაინც რეჟისორობა უნდა. არ ვუშლი, ვნახოთ, რა იქნება.

კახეთში ვენახი მაქვს. ღვინო გამოუშვი, „ნატო ვაჩნაძე“ ჰქვია. მაგრამ არ იყიდება... ადრე კვირაში ერთხელ დავდიოდი ვენახში. ახლანდელი ბენზინის ფასის გამო სად უნდა იარო?! ამიტომ ხალხი მყავს დაქირავებული და ისინი უგლიან. მეც ვიცი ვენახის მოვლა. საპატიო ადგილი მაქვს საქართველოს მეღვინეობის პროფესორებს შორის. მათი კონსულტაციებით დავიწყე სწავლა. ახლა თვითონვე მეუბნებიან, რომ ვაზის ერთ-ერთი მაგარი სპეციალისტი ვარ. როგორი ვენახი გაუაშენე, არ მკითხავთ? ძველი ჯიშების გადარჩენაზეც ვმუშაობ...

ყველაფერი გლქებისგან მაქვს ნასწავლი. ისიც, რასაც მერე ფილმებში ვიყენებ. კახეთში რომ ჩემს ვენახს უგლიან, იმათ ბრიგადირს თაფლა ჰქვია. თაფლივით კაცია. მასთან ყოფნას რა სჯობია!

ჩემი მშენებლობის ამბავიც უნდა მოგიყვით... საოცარი ქალი იყო დოდო აბაშიძის დედა, ნინა ანდრონიკაშვილი. დედაჩემის ბიძაშვილი გახლდათ. დედა ნინას დამსახუ-

რებაა, დედაჩემის მუხეუმი რომ მოგაწყვეთ. მან შეგვიტია: რატომ არაფერს აკეთებთო. თენგიზს, ელდარს და მე გვერიდებოდა, ვინმე შეგვეწუხებინა. წავიდა თვითონ გურჯაანის რაიკომის მდივანთან და სულ ხელი ურტყა მაგიდაზე: ნატო ვაჩნაძე გყავს და მისი სახლი დანგრეული და მოუვლელიაო. დაგვაწყებინეს მშენებლობა. ზღაპრებში რომ არის, ხომ იცით? ყველაფერი უმცროს ძმაზე რომ გადაიფარება. ამ ამბავში მე მოვყევი. კარგი ორი ფილმის ენერჯია ჩავდე შიგ. ყველაფერი ხელისუფლებამ გააკეთა, მაგრამ სჭირდებოდა ყურადღება...

ჩემი ბოლო ფილმი, „მიდიოდა მატარებელი“, როგორც სატირა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

რომ იტყვიან, „ცხოვრება ვირის კუდივით მოკლეა“... ვნანობ, რომ მცირდება ჩემი მეგობრების წრე. ჯერ ახალგაზრდობაში გამომეცალა ლადო ქოქიაშვილი, მერე გურამ რჩეულიშვილი. ახლაც ბევრი წავიდა, ბევრი აუღმყოფობს. არ მუშაობენ, როცა კაცი არ მუშაობს, ძალიან უჭირს ფსიქოლოგიურად. რა მოკლე ყოფილა წუთისოფელი... ორმოცი წლის რომ ხარ, ამაზე არ ფიქრობ, ბევრი რამ წინ გვეულება. ახლა მოიხედავ და აღარ არიან შენი თანატოლებიც კი, მშობლების თაობა ხომ აღარ არის და აღარ...

რას შევცვლიდი, რომ შემეძლოს წარსულში? რა გითხრათ... ჩემი მშობლების სიცოცხლის ხანგრძლივობას შევცვლიდი. მინდა ახლაც ცოცხლები მყავდნენ — დედაც და მამაც...

და კიდევ... სოციალიზმი დროებითი მოვლენა გვეგონა, ვებრძოდით მას და ვფიქრობდით, რომ აღდგებოდა ძველი კულტურა... ამას გადაეფარა ადებ-მიცემობა, ფული... ახლა, თუ ფული არ აქვს კაცს, არავინ არაფრად აგდებს. წინათ ინტელექტი ფასობდა. ახლა უბედურებაა... გლობალიზაციააო და ყველაფერი ცენტრებში იყრის თავს... ჩვენ პერიფერიაში ვართ. რომ ვთქვათ, ჩვენი მეცნიერება გვექნებაო, ვის უნდა? არავის! დროა ეგეთი... ბერდიავეი ამბობდა, ცივილიზაცია გამოირიცხავს კულტურასო. ასე ყოფილა... ახლა კულტურა უკვე გამოირიცხა და ჩვენთვის ცივილიზაციაც არ ჩანს. ჩვენი შემეცნების წყარო წიგნი იყო, ახლანდელ თაობას წიგნი არ სჭირდება. ეს მაგიჟებს... ეს დამლუპველია. სხვა რა უნდა მქონდეს სათქმელი?..

ლილა ჯიჭაშვილი



გიორგი და ელდარ შენგელაიები

„ჩვენი შემეცნების წყარო წიგნი იყო, ახლანდელ თაობას წიგნი არ სჭირდება. ეს მაგიჟებს... ეს დამლუპველია“



მხიარული ამბები „ივერიის“

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ ასევე ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე და ფილიპე გოგიანიშვილი.

ნაკვესები:

ერთი მეცხვარე შევიდა თავის ადასთან და ერთი ქოთანი მაწონი მიუტანა. ადამ ცხვრის ამბავი იკითხა.

მეცხვარემაც უამბო:

— ორმოცი ცხვარი კლდეზე გადაიჩეხა, ორმოცი ჭირმა დახოცა და ოციც მგელმა შეჭამაო. ერთი ცხვარი-ლა დარჩა და იმასაც ჩემი ცოლი არც შენ გაძღვეს, არც მეო.

ადას გული მოუვიდა და მაწვნით სავსე ქოთანი თავზედ გადაასხა. მეცხვარეს პირისახე მაწვნით გაეთხუპნა.

მეცხვარე გარეთ გამოვიდა, მაწვნით გათურებულ წვერზედ ხელი ჩამოისვა და სთქვა:


— მაღლობა ღმერთს, ჩემის ალის სახლითგან პირ-ნათლად გამოვედიო.

„ივერია“, 1886 წ. N272

კრომველს როდესაც შესანიშნავი სახელმწიფო ჰქონდა ხოლმე, თავის მდივანს სამს ან ოთხს, აზრით ერთმანეთის წინააღმდეგს, წერილს აწერინებდა. ამითი ჰმაღავდა სახელმწიფო საიდუმლოს, რადგან მდივანი ვერ მიმხვდარიყო რომელს გაგზავნიდა.

„ივერია“, 1894 წ. №17

ერთს გურულს დუხჭირი ცოლი ჰყავდა. ერთხელ გადაეკიდა ქმარს: „დღეობაში წამიყვანეო“. ქმარმა ჰკითხა: „რა საქმე გაქვს დღეობაშიო“? ცოლმა უპასუხა: „მეც თვალს გავახელო“.



— „შენ კი გაახელ თვალს, მარა, მე კი უნდა დავხუჭოვო“, წარმოსთქვა გულსაწვეტილმა ქმარმა.

„ივერია“, 1886 წ. N133

ერთი გურული გადმოვიდა ქართლში და ზემო ჭალაში ერთი ლამაზი ქალი დაინახა. ძრიელ მოეწონა და ცქერა დაუწყო. ქალი დარცხვა და მიწურს სახლში ჩაიბრინა. მაშინ გურულმა მიამახა: „კაი კი ხარ, მარა საფლავეში თან ვერ ჩამოგყვებიო“!

„ივერია“, 1886 წ. N136



ოლივერ კრომველი



ქე

ყველა დროის საყვარელი სპორტული ბაზეთი ყოველდღე
ყოველ შაბათს „ლელო“ ჟურნალის სახით!



პეტრე I



პიერ დე მარიუო (1688-1763), ფრანგი რომანისტი და დრამატურგი

ვოლტერმა მწერალ მარიუოს შესახებ სთქვა: „ამ კაცმა ყოველი ბილიკი იცის კაცის გულისა, მაგრამ ღიღის შარა გზისათვის-კი ჯერ ვერ მიუგნიაო“.

„ივერია“, 1894 წ. №37

როცა ხელმწიფე პეტრე ჰოლანდიაში მიდიოდა, ღამე ერთს ყავახანაში გაათია. მეორე დღეს ასი ოქრო მოსთხოვა ყავახანის პატრონმა.

— ჩემო ძამიაო, უთხრა ალერსიანად ხელმწიფემ, ჩვენ მხოლოდ ერთო კვერცხი შეეჭამეთ ვახშმად და პატარა ნაჭერი ყველი. ნუთუ ასე ძვირად ღირს თქვენი კვერცხი?

— კვერცხი-კი არა ღირს, ძვირად, თქვენო უდიდებულესობავ, ხელმწიფე ღირს, რომელიც ფარულად ჰმოგზაურობსო, მოახსენა სიცილით ყავახანის პატრონმა. მე რომ რუსეთის ხელმწიფე ვიყო, ათას ოქროსაც მიეცემდი ერთს კვერცხში, რომ ეთხოვათო. ხელმწიფემ გაიცინა და უბრძანა მიეცათ ფული.

„ივერია“, 1894 წ. №13

გეინორი, განთქმული თავისის მოსწრებულის სიტყვითა და ხუმრობით, ერთს პარასკევს დღეს დაპატიჟებული იყო სადილად თავის მეგობართან. რადგან მარხვა დღე იყო, თევზეულობა ჰქონდათ მომზადებული სადილისათვის. გეინორს განსაკუთრებით უყვარდა ვირთუზა და საითაც ეს თევზი იდგა, იქით მიიწია, მაგრამ მაშინვე სუნით შეიტყო, რომ თევზი ძველი იყო. ადგა და ჯერ ტუჩები მიადო ამ თევზს და მერე ყური დაადო, თითქო ელაპარაკება რასმეო: დიასახლისმა ჰკითხა:

— რას სჩადიხართო.

გეინორმა უპასუხა:

— არაფერს, ქალბატონო, მე მხოლოდ ამ თევზს ჩემის მეგობარის კაპიტან მორფის ამბავი ვკითხე, რომელიც წარსულ ორშაბათს დაირჩო ზღვაში, მაგრამ ეს მეუბნება, რომ არა ვიცი-რა იმისი, რადგან ამ სამის კვირის წინად ამომიყვანეს ზღვიდანაო.

ერთი ძუნწი კაცი მოსამსახურის დასაქირავებლად რომ გავიდოდა, ბიჭისათვის პირველყოვლისა უნდა ეკითხნა: იცი სტვენა თუ არაო. თუ ბიჭი უპასუხებდა: ვიციო, — ხომ დაიჭერდა მოსამსახურედ, თუ არა და — არა.

ერთხელ მეგობრებმა ჰკითხეს:

— რათ გინდა, იცის ბიჭმა სტვენა, თუ არაო?

ძუნწმა უპასუხა:

— როცა ბიჭს მარტოკასა ვგზავნი მა-

რანში ღვინის ამოსატანად, პირობა მაქვს ჩამორთმეული, რომ მანამ ჩავიდოდეს და უკანვე ამოვიდოდეს, განუწყვეტლივ უნდა უსტვენდეს, და მეც ამაზე შევატყობ ხოლმე, ჰსვამს ქურდულად ღვინოსა, თუ არაო.

„ივერია“, 1887 წ. №142

ერეკლე-ხანი

ცამა დაიწყო ღრუბლობა,
სულ დედამიწამ ღვარაო;
ერეკლე აწყვერ მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
რუსმა აართვა ღალატი,
ქურდულეზ გეპარაო;
უკანაც ვეღარ დაბრუნდა,
ჯავახეთ მიეჩქარაო.
ასპინძის ბოლოს ავიდა,
იქ მტერი დეჰნალაო,
იქა ქნეს დიდი „დოგუში“
დელიბაშს უყვეს ძალაო.
სად მიხვალ, ჩემო ერეკლე,
სად მისდევ, ჩემო ლალაო,
ხმალ-და-ხმალ შევა ქართველი
ცხვარივით წამოშალაო.
შექეცეს „არტანულაში“,
სულ წყალი გაამშრალაო
ასპინძის ბოლოს ლეკები
ავლაბარს გაიტანაო.

„ივერია“, 1894 წ. №15

როდესაც შესანიშნავი ექიმი დიუმულენი სიკვდილის პირად იყო და გარს მწუნარე თანამომემენი ეხვინენ, სხვათა შორის, სთქვა:


— ბატონებო, ვკვდები და ჩემს შემდეგ სამს დიდებულ ექიმსა ვსტოვებო.

სხვა ექიმები ემუდარებოდნენ, ჩქარა და-ასახელე, სამარეში არ ჩაიტანო ეგ საიდუმლო, ასე ეგონათ, ჩვენთაგანს დაასახელებს ვისმესო.

— ეს სამი ექიმიო, სთქვა დიუმულენმა: წყალი, ვარჯიშობა და ზომიერება.

„ივერია“, 1894 წ. №7

ერთხელ ჰერცოგმა ორლეანემ ღარიბების ჯვრისწერა ნახა და სთქვა: — შიმშილი წყურვილზედ იწერს ჯვარსო.



მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ.წ. 106-43)

ციცერონს ძალზედ ეჯავრებოდა მრავალსიტყვაობა. ერთმა ორატორმა წარმოსთქვა მასთან: ეს კაცი ის გახლავთ, რომელიც დედამ ცხრა თვე ატარა მუცლითო.

— განა სხვა დედანი ჯიბით ატარებენ თავიანთ შვილებსო? — შენიშნა ციცერონმა.

„ივერია“, 1894 წ. №3.

ერთმა მოდილო ცხვირის პატრონმა რკინის გზის ვაგონში ფანჯრილამ ყურება დაიწყო და ფათერაკად ფანჯრის მინა გასტეხა, თვითონაც ცხვირი გაეფხვანა და სისხლმა დენა დაეწყო. კონდუქტორები შემოეხვინენ და მინის ფული სამი მანათი მოსთხოვეს. დიდის ცხვირის პატრონმა უთხრა:

— ამ ფულს კი გადავიხდო, მაგრამ ცხვირს ვილა მიზღავსაო.

კონდუქტორმა ხუმრობაზედ ხუმრობით უპასუხა!

— შე დალოცვილო, მაგოდენა ცხვირი ვაგონში რად შემოგქონდა, „ბაგაჟად“ უნდა მიგეცაო.

„ივერია“, 1886 წ. №43

მოამზადა თუა ცაგურიშვილმა

ბახბახოსები

350 წლიდან მოყოლებული, ძველი იმპერიები მარცხეულის უკმარისობის, ეპიდემიებისა და ეკონომიკური დაკნინების წინაშე აღმოჩნდნენ. დაუსტებულ იმპერიებს ბარბაროსი ტომები უტყვევდნენ, რადგან მათი მარცვა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება იოლი იყო. ძველი იმპერიები განადგურდა ამ შემოსევების შედეგად, რომელთა სულისჩამდგმელები წერა-კითხვის უცოდინარი ბარბაროსები იყვნენ. ცივილიზაცია განადგურების პირას იყო, რადგან საბრძოლო მოქმედებები სწრაფად ვრცელდებოდა და მაშინდელი მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა განუხრელად იკლებდა.

○ გუთები ძველგერმანელი ხალხი იყო. აღმოსავლეთით, შავი ზღვის სიახლოვეს მცხოვრებ გუთებს ოსტგუთებს უწოდებდნენ, ხოლო დუნაის ნაპირებზე მობინადრეებს – ვესტგუთებს. სწორედ ვესტგუთებმა, მეფე ალარიხის მეთაურობით, 410 წელს რომი აიღეს.

○ დაახლოებით 380 წლისთვის დევანდულ ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დასახლდა სხვა ძველგერმანელი ხალხი, ვანდალები. ტერმინი „ვანდალი“ მათი გამანადგურებელი თავდასხმების შემდეგ დამკვიდრდა სხვადასხვა ხალხის ენაში.

○ მონღოლური წარმომავლობის ჰუნები აღმოსავლეთ აზიაში ევროპაში 370 წელს მოვიდნენ. მათ დაამარცხეს ყველა, ვინც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, თუმცა საბოლოოდ 455 წელს მათი სამეფოც განადგურდა. ყველაზე დაუნდობელი ჰუნი იყო მეფე ატილა.

○ 476 წელს კონსტანტინოპოლი (ახლანდელი სტამბოლი თურქეთში) აღმოსავლეთ რომის იმპერიის, ანუ ბიზანტიის დედაქალაქი გახდა. ათასობით წლის განმავლობაში იგი დასავლური ცივილიზაციის ცენტრი იყო.

○ ბიზანტიის იმპერიას მუდმივად ესხმოდნენ თავს ბარბაროსები, მაგრამ მას გამძლე გალავანი იცავდა.

○ ბარბაროსების შემოსევების დროს რომაელი გენერლები ადგილებზე თავდაცვის სისტემის რეორგანიზაციას ახდენდნენ. ზოგიერთ ადგილზე ასე ჩაუვარდა ძალაუფლება ხელში ადგილობრივ მეთაურებს ბრიტანელი მეფის, ვორტიგერნის (425-450) მსგავსად.


○ ვორტიგერნმა ძველგერმანელი ხალხები, ანგლები და საქსები დაიქირავა, რომ ერთად ებრძოლათ პიქტებთან. მაგრამ დაქირავებულები ვორტიგერნს აუჯანყდნენ და ათასობით მათგანი დამკვიდრდა ბრიტანეთში, რომელიც მალე ინგლისად იქცა.

○ 318 წელს გარდაიცვალა ჩინეთის იმპერატორი ლიუ უეიენი. ვიდრე მისი მემკვიდრეები ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ, ბარბაროსები ჩინეთში შეიჭრნენ. მათ დაანგრეს მდინარე იანძის ჩრდილოეთით მდებარე ყველა ქალაქი. ბარბაროსთა თავდასხმები ჩინეთში მხოლოდ 507 წლისთვის შეწყდა.

○ თავისი ძლიერების ხანაში კონსტანტინოპოლს ამშვენებდა ძველი მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი ნაგებობები. ამ სურათზე ნაჩვენებია სასახლის წყნარი უბანი. ქალაქის დანარჩენი ნაწილი ხმაურიანი და ხალხით გადაჭვდილი იყო.

იპოდრომი რომში არსებული ცირკუს მაქსიმუსის მიხედვით ააგეს

60 000 მაყურებელი თავს ადევნებდა ეტლებით რბოლას



გასაოცარია
ბარბაროსების შემოსევებმა გამოიწვია მასობრივი სისხლის ღვრა, შიმშილობა, სიძულველი. მეცნიერების აზრით, რომის იმპერიის მოსახლეობა 50%-ით შემცირდა.



დასაწყისი ის. „ისტორიანი“ № 34-38

ნაწყობები წიბნიდან „ცოლნის სამყარო“. ბამოცემლობა „კალიტრა ს“

○ 457 წელს მომთაბარე ჰეფ-ტალიტებმა (თუთრმა ჰუნებმა) სპარსეთი დაიპყრეს. მათ ათასობით ადამიანი დახოცეს, ააოხრეს ქალაქები მერვი და პერაითი.

○ 475 წელს მეომარი მეირაგულა ჯარს ინდოეთისკენ წარუძღვა. 50 წლის განმავლობაში მარცვავდნენ და თავს ესხმოდნენ ინდოეთს, შემდეგ მთების გავლით ჩრდილოეთისკენ დაიხიეს.

○ 550 წლისთვის ბარბაროსთა თავდასხმები შეწყდა. ჩინეთის გარდა, ძველი იმპერიები განადგურდა. არსებობა დაიწყო ახალმა სამეფოებმა და ხალხებმა.

ამჟამად მუზეუმად ქცეულია აია-სოფია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა



ⓘ ანგლოსაქსების სოფელში სამშენებლო მასალად იყენებდნენ ხეტყვს, ჩალას და წნულის ღობებს (ერთმანეთში გადაწნული წნელები და ჯოხები).

გუთიზის ლიდერი

ალარიზი გუთების დიდი მეთაური იყო, რომელმაც მათ 410 წელს რომი ააღებინა. მან გაცარცვა ქალაქი, მაგრამ არაფერი აუნო ეკლესიებს. ალარიზი აფრიკაში დასახლებას გეგმავდა, მაგრამ ქარიშხალმა ის სამხრეთ იტალიაში, ქალაქ კოზენცაში შეაფიუნა, სადაც გარდაიცვალა კიდევც.



ოუსტინიანე I

ოუსტინიანე I ბიზანტიის იმპერიის ყველაზე ძლევამოსილი იმპერატორი იყო, თუმცა იმპერატორის გენერლის, ველიზარიუსის მდივნად მომუშავე მწერალი პროკოპი კესარიელი მას „ხორცშესხმულ დემონს“ უწოდებს. ოუსტინიანე სახელმწიფოს მართავდა უმშვენიერეს ცოლთან, ცირკის ყოფილ მსახიობ თეოდორასთან ერთად. ოუსტინიანე ხშირად მიმართავდა მას მზარდაჭერისა და რჩევისთვის. თეოდორას წყალობით შეიცვალა იმპერიის კანონები ქალებისა და ღარიბების სასარგებლოდ.



ⓘ 1939 წელს სამხრეთ ინგლისში, სიუტონ ჰუში გათხრების დროს აღმოაჩინეს მეთაურ რედუალდის (გარდ. 625 წ.) დასაკრძალავი ნაღი.

ახალი სახეცენიფოები


დახლოებით 550 წლისთვის ბარბაროსებმა შეწყვიტეს დაუსრულებელი გადაადგილება ნაძარცვისა და ნადავლის ხელში ჩასაგდებად. ისინი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი. რაკი ხალხთა გადასახლებები დასრულდა, მოსახლეობის რიცხოვნობამ მატება დაიწყო. თუმცა ძველი მსოფლიოს ცივილიზაციები და იმპერიები განადგურდა ან საგრძნობლად დაზარალდა. ქაოსში წარმოიქმნა ახალი სამეფოები და სახელმწიფოები, საფუძველი ეყრებოდა ცხოვრების ახალ წესსაც.

გემი გადაადგილდებოდა შალის ქსოვილისგან დამზადებული დიდი, ოთხკუთხა იალქნის დახმარებით

გემის მაღალ წინა ნაწილზე ხშირად დრაკონის თავი იყო ამოჩუქურთმებული

ფარები გემის ორივე მხარეს, ნიჩბებს შორის იყო ჩამატებული

როცა ქარი არ ქროდა, გემი მენიჩბეების დახმარებით გადაადგილდებოდა



○ ჩინეთის იმპერატორი იანგ დი 618 წელს სიცოცხლეს გამოასალმა ერთ-ერთმა მისი 3000 საყვარლიდან. მისმა მინისტრმა, ლი იუანმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და დააარსა ტანის დინასტია. ვაჭრობის ხელშეწყობის წყალობით ჩინეთი გამდიდრდა, ყვავდა ხელოვნება და მეცნიერება.

○ 800 წელს ტანის დინასტია დაეხო. წესრიგი მხოლოდ 960 წელს აღდგა, როდესაც სონის ოჯახმა ქალაქ ხაიგენიდან მართვის სადავეები ჩაიგდო ხელში. ისინი ჩინეთს მართავდნენ 1276 წლამდე, მონღოლების მიერ ჩინეთის დაპყრობამდე.

○ ისლამის გავრცელება მას შემდეგ დაიწყო, რაც წინასწარმეტყველმა მუჰამედმა 622 წელს ქალაქი მექა დატოვა. მუსლიმმა არაბებმა დაიპყრეს ერაყი (637), სირია (640), ეგვიპტე (641) და სპარსეთი (650). 661 წლისთვის მათი იმპერია გადაჭიმული იყო ტუნისიდან ინდოეთამდე, დედაქალაქით დამასკოში.

○ ფუჯივარას ოჯახი იაპონიას ხუთი ასწლეული მართავდა, VII ს-დან. 858 წელს ოჯახი ქორეინების წყალობით საიმპერატორო კარს დაუმოყვრდა. მისი ყველაზე ძლიერად მოსილი წარმომადგენელი იყო მიჩინაგა (966-1028).

○ ვიკინგების ხის გემები გემთშენებლობის შესანიშნავი ნიმუში იყო – მსუბუქი და ბრტყელიძირიანი, რათა ადვილად ეცურა როგორც სწრაფ მდინარეებში, ისე გაშლილ ზღვაში.



○ მინაქრისა და ოქროსგან დამზადებული ეს სამკაული ქალაქ ათენისში აღმოაჩინეს. მასზე ძველ ინგლისურ ენაზე წარწერაა: „აღფრედმა ბრძანა ჩემი დამზადება“.

ზამტაში
ვიკინგები პირველი მეზღვაურები იყვნენ, რომლებსაც ნაპირისგან მოშორებით ცურვა შეეძლოთ. ღია ზღვაში ნავიგაციისთვის ისინი ვარსკვლავებსა და უმარტივეს კომპასს იყენებდნენ.

პირველი სახალხმელანდიელები

2000 წლის წინ ახალ ზელანდიაში არც ერთ ადამიანს ფეხი არ დაეგდა. მისი პირველი მცხოვრებნი მათის სახელით ცნობილი პოლინეზიელები იყვნენ. მათი ახალ ზელანდიაში წყნარი ოკეანის კუნძულებიდან კანოეებით ჩავიდნენ. ისინი სანაპიროებზე ცხოვრობდნენ.



☛ ყველა ვიკინგი მეკობრე არ ყოფილა. შინ ისინი გლეხები, მეფეზეები, ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. ბევრი მათგანი მეკობრეებს გაჰყვა და დასახლდა ჩრდილოეთ საფრანგეთში, ჩრდილოეთ ინგლისსა და დუბლინში.



☛ ანგლები, საქსები და იუტები დანიისა და გერმანიის მკვიდრი ხალხები იყვნენ, რომლებიც 450-600 წლებში ბრიტანეთში დაემკვიდრნენ. ყოველ ტომს საკუთარი სამეფო ჰქონდა, კიდევ 600 წელი დასჭირდა იმას, რომ ამ ხალხს საკუთარი თავი ინგლისელებად ჩაეთვალა.

☛ ალფრედ დიდი (849-899) ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი მეფე იყო. სიმაგრეების მშენებლობის, არმიის რეორგანიზებისა და ინგლისის პირველი ფლოტის შექმნის წყალობით მან ვიკინგების თარეში აღკვეთა.



გემს მიმართულებას აძლევდა უკან დამაგრებული საჭის დიდი ნიჩაბი

☛ ვიკინგები წარმოშობით ნორვეგიიდან, შვედეთიდან და დანიიდან იყვნენ. 800-1100 წლებში თავიანთი გრძელი გემებით თავს ესხმოდნენ ჩრდილოეთ ევროპის სანაპიროებს ნადავლის ხელში ჩასაგდებად.

☛ 563 წელს თანამედროვე შოტლანდიის ტერიტორიაზე ოთხი სამეფო არსებობდა: სკოტების – დასავლეთით; პიქტების – ჩრდილოეთით; ბრიტების – სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო აღმოსავლეთში ინგლისი მდებარეობდა.

ვიკინგთა მოგზაურობები

ამ რუკაზე ნაჩვენებია ვიკინგების ზოგიერთი მოგზაურობის მარშრუტი, შესაბამისი თარიღები და ის სახელები, რომლებიც მათ აღმოჩენილ ტერიტორიებს დაარქვეს.



☛ ვიკინგების საომარ აღჭურვილობას შეადგენდა შუბი, დანა, დამცავი ფარი. ისინი იარაღს თვალისწინებით უფრო ხილდებოდნენ.



ფეოდალური ეპოქა

VIII საუკუნისთვის თითქმის მთელ ევროპაში ახალი სოციალური სისტემა – ფეოდალიზმი იყო ფეხმოკიდებული. მიწას მეფე ფლობდა, რომელიც მას წარჩინებულებსა და რაინდებს ურიგებდა. ისინი სანაცვლოდ მეფეს სამხედრო ან სხვა სახის სამსახურს უწევდნენ. წარჩინებულები მიწას ურიგებდნენ გლეხებს, რომლებიც ამუშავებდნენ მას, ხოლო მოწყველი მოსავლის ნაწილს მიწის პატრონს აძლევდნენ. საზოგადოების ყოველ წევრს დანარჩენი წევრების მიმართ უფლებები და ვალდებულებები ჰქონდა. ამ სისტემის გარეთ ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფი არსებობდა: ვაჭრები და სამღვდლოება.

○ მაღიარები რუსეთში მღვდლები მდინარის, დონის ნაპირებზე ბინადრობდნენ. 889 წელს თავიანთი მეფის, არპადის მეთაურობით, ისინი დღევანდელი უნგრეთისკენ დაიძრნენ.

○ 100 წლის განმავლობაში ინგლისის დიდი ნაწილი ვიკინგებს ხელიდან გამოეცალა, მაგრამ 918 წელს ალფრედ დიდის ვაჟი ედუარდი და ქალიშვილი ეთელფილი ინგლისში დაბრუნდნენ.

○ 900-1000 წლების განმავლობაში შოტლანდიის სამეფო ტახტს მრავალი პრეტენდენტი ჰყავდა. ამ დროისთვის შოტლანდია უკვე ერთიან სამეფოდ იყო ჩამოყალიბებული. მეფე დუნკან I მისმა გენერალმა, მაკბეტმა მოკლა, თავად მაკბეტი მოგვიანებით მალკოლმ III-მ გამოასალმა სიცოცხლეს.

○ ნორმანდიის პერცოგი უილიამი 1066 წელს ინგლისში შეიჭრა, რადგან მისი სიტყვებით, გარდაცვლილი მეფე ედუარდი მას ქვეყნის ტახტს შეჰპირდა. ინგლისელებმა მეფედ პარალელ გოდვინსონი აირჩიეს, მაგრამ პასტინგზის ბრძოლაში უილიამმა პარალდი სიცოცხლეს გამოასალმა.

○ გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია 1806 წლამდე არსებობდა. მას საფუძველი ჩაეყარა 800 წელს, როცა რომის პაპმა ლეო III-მ ფრანკთა მეფე კარლოს დიდი რომის იმპერატორად აკურთხა.

გასაოცარი
ყოველ რაინდს საკუთარი გერბი ჰქონდა, რომელსაც გამოსახავდა ფარსა და წამოსასხამზე, რათა ბრძოლის დროს მეგობრებს ეცნოთ. თითოეული რაინდის გერბი განსხვავებული იყო.



○ 1250 წელს გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია ჩრდილოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაჭიმული (აღნიშნულია ყავისფრით). პაპის ოლქი (გამოყოფილია ყვითელი ფერით) ასევე იმპერატორის კუთვნილი ორი სიცილიის სამეფოსგან დამოუკიდებლად არსებობდა.

თაპისუფლების დიდი ქარტია

ინგლისის მეფემ, ჯონ უმიწაწვლომ, ხელი მოაწერა თავისუფლების დიდ ქარტიას, რომელიც აღიარებდა ბარონების უფლებებს და ზღუდავდა მეფისას. 1215 წელს ბარონებმა აიძულეს მეფე, თავისი ბეჭდით დაემოწმებინა ქარტია და ჩამოთვლილ წესებს დამორჩილებოდა. ეს დოკუმენტი თანამედროვე მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქვაკუთხედაა.

○ 1337-1453 წლებში ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიმდინარეობდა ასწლიანი ომი, რომლის მიზეზი იყო ინგლისის მეფის პრეტენზია საფრანგეთის სამეფო ტახტზე.

○ ასწლიანი ომის დროს ინგლისელებმა ბრძოლების უმეტესობა გამარჯვებით დაასრულეს, მაგრამ ომში გამარჯვება ფრანგებს დარჩაო, რადგან მათი რესურსები სამჯერ აღემატებოდა დამპყრობლისას.

○ ჯვაროსნული ომების მიზანი იერუსალიმის მუსლიმთაგან გათავისუფლება იყო. როცა თურქებმა იერუსალიმისკენ მიმავალ პილიგრიმებს გზა გადაუკეტეს, პაპმა 1096 წელს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა. ჯვაროსნებმა აღადგინეს კონსტროლი წმინდა მიწაზე და 200 წელიწადს ინარჩუნებდნენ მას.

○ როცა 1378 წელს პაპი გრიგოლ XI გარდაიცვალა, ეკლესიაში დიდი სქიზმა (განხეთქილება) მოხდა. 1417 წელს დიდი სქიზმა დასრულდა, მაგრამ მან მნიშვნელოვნად შეარყია ეკლესიის ავტორიტეტი.

○ რაინდები ბრძოლის პრაქტიკას ტურნირების დროს გადიოდნენ. ათასობით მაყურებლის თვალწინ ერთმანეთს სახელგანთქმული რაინდები ერკინებოდნენ.



შუა საუკუნეების მონასტრები

მონასტრები საკანძო როლს თამაშობდნენ შუა საუკუნეების ევროპაში, განსაკუთრებით XII საუკუნეში. მონასტრების უმრავლესობა სააბატო იყო და ბევრი მათგანი უზარმაზარი შუასაუკუნეოვანი ნაგებობებისგან შედგებოდა. ინგლისის ყველაზე ცნობილ მონასტრებს შორისაა XII ს-ში აგებული ცისტერციანელთა მონასტერი უელსში მდებარე ტინტერნში, რომელიც მეფე ჰენრი VIII-მ დაანგრია.



აბჯრის ნაწილები	
საგერბე	პატარა ოთხკუთხა დამცავი ფირფიტები, რომლებზეც გამოსახული იყო რაინდის გერბი
სამხრე	მაგრდებოდა მუზარადზე, იცავდა კეფსა და კისერს
ჯაჭვის საფარი	მუზარადის სახეობა
ჩაჩქანი	ზარადის თასის ფორმის ნაწილი ნიკაპის დასაცავად
ზარადის სანიკაპე	ნაწილი
საილიფი ფირფიტა	პატარა მრგვალი ფირფიტები იცავდა ილიუმს
მუზარადი	თავის ქალის დამცავი
საშუბლე	ცხენის აბჯრის ნაწილი, რომელიც მის თავს იცავდა
კოლფი	კაპიუმონიანი ჯაჭვი, რომელიც იცავდა თავს
საიდაყვე	იდაყვის დამცავი თასის ფორმის ელემენტი
ბეგთარი/კირასა	აბჯრის ნაწილი, გულმკერდისა და ზურგის დამცავი ნაწილებით
ხელთათმანი	ხელის მტვენების დამცავი ლითონის ხელთათმანი
გორუეტი	კეფის დამცავი ლითონის ფირფიტა
ცხაურა	სახის დამცავი, ლითონის ბადე
სამხრე	მხრის დამცავი ლითონის ფირფიტა
სამუხლე	მუხლის დამცავი თასის ფორმის ლითონის ელემენტი
ზედა სამკლავური	იცავდა მკლავს იდაყვიდან მზრამდე
ლითონის ფეხსაცმელი	ლითონისგან დამზადებული ტერფის დამცავი ფეხსაცმელი
ნიფთანი	აბჯრის ქვეშ ჩასაცმელი ნაჭრის სამოსი
საბარკული	ბარძაყის დამცავი ლითონის ფირფიტა
ქვედა სამკლავური	ხელის გასაყრელი მომრგვალებული ჯაჭუშანი, რომელიც იცავდა ხელს იდაყვიდან მჯამდე



➔ ასწლიანი ომის ძველამოსილი რაინდი იყო ედუარდი, „შავი პრინცი“ (1330-1376), კრესის, პუატიესა და ნავარეტის ბრძოლების გმირი.

ინდოეთის საეპოქები

ინდოეთის უზარმაზარი სუბკონტინენტი აზიის დანარჩენი ტერიტორიებისგან პიმალაის მთებითა გამოყოფილი. ინდოეთში მცხოვრებმა ხალხებმა საკუთარი კულტურა შექმნეს და ცხოვრების წესი ჩამოაყალიბეს. ინდოეთის მთელი ისტორიის განმავლობაში ძლევამოსილი მმართველები ქვეყნის ერთ იმპერიად გაერთიანებას ცდილობდნენ. ზოგჯერ ასეთი იმპერიები მეტ-ნაკლებად დიდხანს არსებობდნენ, მაგრამ სხვადასხვა მხარეში წარმოქმნილი განხეთქილება მუდმივად ერთიანი იმპერიების დაშლით მთავრდებოდა.

○ ძვ. წ. 321 წელს პირველი ასეთი იმპერია ჩამოაყალიბა ჩანდრაგუპტამ (ძვ. წ. 325-297) მაურიების დინასტიიდან. ქვეყნის დედაქალაქი იყო განგის ნაპირზე მდებარე პატალიპუტრა.

○ მაურიების იმპერია თავისი ძლიერების ხანაში მოიცავდა თანამედროვე პაკისტანის, ბანგლადეშისა და ინდოეთის ტერიტორიებს ამ უკანასკნელის უკიდურესი სამხრეთის გამოკლებით.

○ მაურიების დინასტიის იმპერატორებიდან ყველაზე ცნობილი იყო ჩანდრაგუპტას შვილიშვილი აშოკა (ძვ. წ. 265-238).

○ აშოკას მოხელეები მთელ ინდოეთში ღარიბთა დასახმარებლად თხრიდნენ ჭებებს და აშენებდნენ წყლის რეზერვუარებს, მგზავრებისთვის კომფორტულ დასასვენებელ სახლებს, ზოლო ახალი გზების გასწვრივ ბანიანის ხეებს რეგავდნენ, რომლებსაც კარგი ჩრდილი აქვს.

○ გუპტას იმპერიის პერიოდში ფართოდ გავრცელდა ინდუიზმი და ბუდიზმი.

○ ინდოელმა მათემატიკოსებმა გამოიგონეს თვლის ათობითი სისტემა, რომელსაც დღესაც ვიყენებთ.

○ გუპტას იმპერიის დაცემა V ს-ში გამოიწვია ჰუნების გაზშირებულმა თავდასხმებმა.

○ მოგოლი იმპერატორი ჰუმუ-იუნი ტახტს 15 წლით ჩამოაშორეს. მხოლოდ ძალის სათანადოდ მოკრების შემდეგ შეძლო ხელახლა გამეფება.



განსაზრებია
პრინცმა გაუტამა სიდჰარტამ მიატოვა თავისი მდიდრული სახლი და ულამაზესი ცოლი ნეპალში და სიდატაკეში ცხოვრება დაიწყო. იგი ბუდისტური რელიგიის შემქმნელია. პრინცმა 80 წლამდე იცოცხლა.

○ პირველი მოგოლი იმპერატორი იყო ბაბური (1483-1530), რომელმაც ინდოეთი სწრაფი ცხენების გამოყენებით დაიპყრო. ცხენებს წინ ვერ აღუდგნენ ინდოეთის არმიის ზანტი სპილოები. ბაბურის მიერ დაარსებული მოგოლთა დინასტია ჩრდილოეთ ინდოეთს 2 საუკუნე მართავდა.



❶ მოგოლები, იგივე მუგალები, დინასტია იყო, რომელიც ჩრდილოეთ ინდოეთს 1526-1748 წლებში მართავდა. მოგოლების იმპერიაში ძლიერების მწვერვალს შაჰ-ჯაჰანის დროს (1592-1666) მიაღწია. აიგო უამრავი შესანიშნავი ნაგებობა, მათ შორის – სახელგანთქმული თაჯ-მაჰალი, შაჰის საყვარელი მეუღლის განსასვენებელი. ლევენდის თანახმად, შაჰ-ჯაჰანმა თაჯ-მაჰალის ხუროთმოძღვარს ხელები მოჰკვეთა, რომ მას მსგავსი სილამაზის სხვა ნაგებობა ვეღარ აუშენებინა.

სტუპა

აშოკას მეფობის დროს მოელი ინდოეთის ტერიტორიაზე სტუპების მშენებლობა დაიწყო. სტუპა სამლოცველოა, სადაც ბუდას რელიკვია ინახება.



გუპტაძი

გუპტას ოჯახი ჩრდილოეთ ინდოეთს 320-500 წლებში მართავდა. ეს პერიოდი ინდოეთის ისტორიის ოქროს ხანაა, როცა განვითარების მწვერვალს მიაღწია ძველი ინდოეთის მწერლობამ, ქანდაკებამ და ხელოვნების სხვა დარგებმა. გუპტას პერიოდის ინდუისტური და ბუდისტური ქანდაკება და მხატვრობა მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ინდური ხელოვნების მისაბამი ნიმუში იყო.



❷ აქბარი (1556-1605) ერთ-ერთი უდიდესი მოგოლი იმპერატორი იყო – მან დაიპყრო თითქმის მთელი ინდოეთი და მმართველობის ეფექტური სისტემა შექმნა.

❸ აურანგზები (1618-1707) უკანასკნელი მოგოლი მმართველი იყო. გადასახადების ზრდამ და ისლამის წესების მკაცრად დაცვის მოთხოვნამ მის წინააღმდეგ აჯანყება გამოიწვია.

❹ ბუდისტური სამლოცველო ტაილანდში, აზიაში. უფლისწული გაუტამა სიდჰარტა, ანუ გასხივოსნებული, ბუდა, ასეთ სამლოცველოებში სხვადასხვა პოზაშია გამოსახული, ფეხზე მდგომი ან მჯდომარე. თითოეული ასეთი ქანდაკება ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის ძიების სხვადასხვა ეტაპს ასახავს, რაც ბუდიზმის არსია.



